ლიტერატურული გაზეთი

№106 4 - 17 ოქტომბერი 2013 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 50 თეთრი

ვაჟა გიგაშვილი

კირზის ჩექმები, ბეშბარმაკი, ნასვაი, ნურიევი და ა.შ.

...ეს ბათინკები „Protector“ ეხლა აგერ, მაღაზია „დიანაში“ იყიდება... მაგარი რამეა... და კაი ძვირიცაა...

...პირველად ასეთები 80-იანებში ვნახე... რ. ბ.-მ ჩამოიტანა ერთი წყვილი... სიახლე იყო აშშ არმიის ამუნიციაში... ისე არ იყიდებოდა და როგორ დაითრია რ. ბ.-მ, აზრზე არა ვარ...

...პროფილიანი ბათინკები ადრევე გაჩნდა ჩემს ცხოვრებაში... მერვე კლასში გადასულმა ზაფხული გეოლოგებთან გავატარე, ავადჰარასა და ამტყელზე... იქ მივიღე პირველი ბათინკები საჩუქრად... შავი, ღორის ტყავის, მაგარი, რეზინის პროფილიანი (მგონი, ჩინურები)... მაშინ არც ესენი იშოვებოდა მაღაზიებში... საერთოდ არაფერი იშოვებოდა, კედებიც კი არ იყო გამოსული და „ტაპოჩკებით“ თამაშობდნენ ჩემი კალათბურთელი ძმაკაცები... ისე მომეწონა ეს ბათინკები, რომ მერე ქალაქშიაც ამეებით დავდიოდი... მიბრაზდებოდნენ: ზოგი „უწესობად“ მითვლიდა, ზოგი „მეტიჩრობად“, ზოგიც „დურაკობად“... ფაქტი ის იყო, რომ მსიამოვნებდა ამეებით სიარული (მსუბუქი ამორტიზაცია)... თავს უკეთესად და ყოჩაღად ვგრძნობდი... ვერ ველეოდი ამ შეგრძნებას...

...წლების განმავლობაში ბევრნაირი ბათინკი გაიცვითა, მაგრამ რ.ბ.-ს ჩამოტანილი სასწაულს გავდა: მაშინ ახალი მასალა იყო — სპეციალური სინთეთიკა, მთლიანი... შიდა ვენტილაცია... ელასტიკური, რბილი, მსუბუქი, ურღვევი... ფეხზე თბილ წინდასავით მორგებული... თავად ლანჩაც კი ორად იკეცებოდა... თან ისეთი პროფილი ჰქონდა, კლდეს პირდაპირ ებღაუჭებოდა... მერეც, წლების მანძილზე, მიუღწეველ ოცნებად რჩებოდა... დიდხანს...

...ეხლა, აგერ, „დიანაში“ გვიჭირავს ხელში და ფეხზე ვისინჯავთ... ძვირი კია, მაგრამ ღირს...

...და უცებ აქ, ამ „დიანაში“ ამოტივტივდა შორეული 60-იანები და... კირზის ჩექმები!..

...ინილჩეკი, მაიდადირის სირტი, ბოლო „ზასტავა“ ჩინეთის საზღვარზე... „ზასტავის“ უფროსმა, დაძმობილებულმა პოლკოვნიკმა გოვორუხინმა (ვიქტორმა) ორი თვის წინანდელი შეპირებული ნანადირევი მომთხოვა... ორი თვე ზემოთ ვიყავი, ეხლა ისევ სირტში ვარ და დანაპირებს ასრულება უნდა... მომცა სამი ცხენი, ორი სერჟანტი და აკმ-ავტომატები... ავტომატი მე არ მჭირდებოდა... ჩემი საქმისათვის ჩემი კარაბინი ჯობდა...

...ნაშუადღევს გავედით, გვერდით შენაკად ხეობას მაისტი-ბულაკს შევყევით კუდებამდე, სანამდეც უსაფრთხო იყო ამ ცხენების მოძრაობა... ცხენები საუკეთესო ჰყავდათ, ჯიშიანები, ლამაზები, მოვლილები... მაგრამ დიდ სიმაღლეზე, ციცაბოებში ყირგიზების მწლიკვი, ჩონჩორიკა ცხენები ჯობნიდნენ... ესენი კი ადვილად იტეხდნენ ლამაზ, გრძელ ფეხებს... მათი ფრიალოში აყვანა საცოდაობა და უსინდისობა იქნებოდა... ცხენები დავტოვეთ და შევუდექით ზემოთკენ... ეს სერჟანტებიც ხოშიანი, ყოჩაღი, ნავარჯიშევი, ღონიერი ბიჭები იყვნენ, მაგრამ როგორც კი დაკიდებულებს მივადექით, დაიწყო უბედურება: ელემენტარული ჩვევა არა ჰქონდათ ფერდაში ბიჯებისა და ეს ბრტყელძირა კირზის ჩექმები ხომ... ვაახ!.. ყოველ ნაბიჯზე უსხლტოდათ, გაჰქონდათ ბღლარძა-ბღლურძი, ცხვირით ასკდებოდნენ ქვებში, ცვიოდა ხრეში და ღორღი, გასდიოდა ხრიალი... ვჩერდებოდი ხოლმე და ველოდებოდი მათ ამობობღებას... მზე გადახრაზე წავიდა და უცებ ბრაზმა დამარტყა: რა ჯანდაბად მინდა ეს მუდაკები?.. რაში მჭირდება?.. სისინით ვუბრძანე: ეხლავე ცხენებთან ჩაბრუნდით-მეთქი... არავითარი მოძრაობა, ან ხმაური!.. ნადირობა ჩაიშლება და თქვენი ბრალი იქნება-მეთქი... „ჟელეზნად დატორმუზდნენ“, ბრძანების ასრულებას კარგად იყვნენ ჩვეულნი...

II-III

თეონა დოლენჯაშვილი

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

რეალური არსებები

ადამიანის ცხოვრება სიცრუის გაუთავებელი ჯაჭვია.

მიშელ უელბეკი

1. სარაცენია

ზუსტად მაშინ, როდესაც აუზის წყალში ბოლომდე ჩაყურყუმალავდება, მოდიან ხილვები. ერთმანეთის მიყოლებით ჩნდებიან უკვე მომხდარი და გადატანილი ამბები, პატარ-პატარა ცოდვები, რომელთაც სინდისის მსუბუქი ქენჯნაც სდევთ თან. ნია ასე საკუთარ სულს რეცხავს და ცოდვებს აუზის ქლორიან წყალს ატანს. სწრაფად იქნევს ხელ-ფეხს. თითქოს ეშინია, ამბებთან ერთად ჩამხრჩვალი სინანულის უსიამო გრძნობა სადმე არ წამოეწიოს. ნიას გრძელი და მარდი ხელ-ფეხი აქვს, სინდისს კი ჯერ მასსავით ცურვა არ უსწავლია. აუზში ცურვა ნათვლასავითაა. ყოველ დილით წყლიდან დაღლილი და სველი, გარეცხილი და ახალი ნია ამოდის.

ცოტა ხნით მზეზე შრება. ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ლამაზ სხეულს შეზლონგზე აფენს და მზის სხივებს გაუმაძღარი ყვავილივით ისრუტავს. ნია ფიქრობს, რომელ ყვავილს შეიძლება ჰგავდეს. ვარდი მეტისმეტად ბანალურია, ტიტა — ნაზი და მალჭკნობადი, ია — უფერული და უპრეტენზიო, გვირილა ხომ საერთოდ ბალახ-ბულახი. ნია რამეს უფრო მძაფრს და იშვიათს იმსახურებს. ნია სარაცენიაა. ულამაზესი და მკვლელი ყვავილი. მკვეთრი იისფერი ფოთლებით და გონების დამბინდველი სუნით.

VI-VII

პაატა შამუგია

ჭრელი პეპელა ბოროტების არტისტულ ყვავილზე

ვწერ,
რომ დაცული ვიყო ნიშნებისგან და მინი
ნიშნებისგან,
რაღაც
ჩემზე
მეტზე
მინიშნებისგან
ვიყო დაცული...
ვკვებო
ეგო
წაგრძელებულ ჩრდილქვეშ მწოლმა.
ვიყო წინააღმდეგობრივი —
ვიცოცხლოც და მოვკვდეც.
სიყვარული გამოვრიცხო.
(გ)ამოვრეცხო
მოქმედების რიგიდან.
ბანალურია სიყვარული.
სიყვარული ბანალურია (მეთქი),
როცა არაა გაზავებული
სერიული მკვლელის ირაციონალურ აქტში,
როცა კლავს და ფიქრობს, რომ
დიდი წითელი პეპელა მოჩქეფს
მოკლულის ყელიდან.
სიკვდილი დაგვყურებს პეპლიდან.
ვწერ.

X

ზაზა ბიბილაშვილი

ლოცვა

ან ამდენ ხანს როგორ დამიფარე.
მე ხომ რაღაც შემიცვალეს —
ბილეთი ან ათასწლეული.

ან ამდენ ხანს როგორ დამიფარე.
მე ხომ რაღაც არ გამომატანეს —
რაღაც მომპარეს უსულგულო მებაჟეებმა,
ბარგი როცა ამოაქოთეს —
უკან აღარ ჩააბრუნეს
რაღაც ძალიან, ძალიან საჭირო.

ან ამდენ ხანს როგორ დამიფარე.
მე ხომ რაღაც მომატყუეს
იმათ, ვისაც პირველად ვენდე;
თან — ისე მარჯვედ,
რომ ახლაც მჯერა.

ამდენ ხანს როდის დაგიფარავს
ქერი — დოლაბქვეშ,
მარილი — წყალში,
თევზი — ტაფაზე.

ან ამდენ ხანს როგორ დამიფარე.

თუნდაც ასე.

ყოვლადძლიერო.

XI

ეკატერინე ტოგონიძე

ქურდობა

თავქვე სძინავს, ჩემი შვილივით. ჭამს სწრაფად, ჩემი ქმრისგან განსხვავებით. ძალაუნებურად სულ ერთმანეთს ვადარებ. ნეტა, მარტო ვადარებდე... მგონია, რომ გეგას ვღალატობ. არადა, ექვსი თვეა, დავშორდით. სინამდვილეში მეტიც, უბრალოდ, განქორწინება ოფიციალურად ნახევარი წლის წინ მივიღე.

არ გვანან. გეგა დეპრესიულია, ჩუმი. ივა — პირიქით. თუმცა დასკვნებისთვის ადრეა. გეგასგან განსხვავებით, რომელსაც ბავშვობიდან ვიცნობ, ივა პირველად ერთი კვირის წინ ვნახე. ახალ პროექტზე სამუშაოდ მოიწვიეს და ალბათ კონტრაქტით დატოვებენ. დღეს მის გვერდით რომ გამეღვიძა, უცნაური გრძნობა იყო. უდარდელად გაშხლართულს ეძინა, ოდნავ ხვრინავდა. ეს უცხო, ჯანმრთელი სხეული უცებ ძალიან ახლობელი მეჩვენა. უხერხულობის გარეშე გადავხედე არეულ ოთახს, ძირს დაყრილ საცვლებს და ღვინის წაქცეულ ჭიქას. ფეხაკრეფით ავდექი, ყველაფერი ავკრიფე და საუზმე მოვუმზადე. ჩემს თავს ვერ ვცნობ...

მე და გეგა ხელოვნების სკოლაში ვსწავლობდით. ვერ მიტანდა. ცეკვაზე წყვილებს რომ ანაწილებდნენ, გული მაგრად მიცემდა. თავდახრილი ვიდექი შავ კალგოტკებში, შავ შორტებსა და რუხ მაისურში და გუნებაში ვიმეორებდი: „ოღონდ ამასთან არა, ოღონდ ეს არა...“ ერთად დაგვაყენეს, ერთმანეთს უხდებიანო... გეგამ ზიზღით გადმომხედა, მე ასე მომეჩვენა.

მახსოვს, რეპეტიციის დროს ყველანი ფანჯარას მივცვივდით. გათოვდა. მარტო გეგა არ დაძრულა ადგილიდან, არც გაუღიმია.

კარგად ცეკვავდა. იმ ნომერში ორი რთული ილეთი იყო: ერთხელ ჩამუხლულს უნდა ავეყვანე ხელში, მეორედ ფეხზე მდგარს ავეტაცებინე და ჰაერში დავეტრიალებინე. ვღელავდი, მაგრამ როგორც კი მის ხელებში მოვხვდებოდი, ისეთ სიმყარეს ვგრძნობდი, რისთვისაც მარტო ძლიერი მკლავები არ კმარა.

XII-XIII

დასაწყისი პირველ გვერდზე

...უკვე ბინდი იპარებოდა აღმოსავლეთიდან, როცა სამზირებში გავედი... დავიწყე დურბინდში ჩითვა... ვნერვიულობდი... თუ ვერაფერი აღმოვაჩინე, ანდა ბინდში სროლაში ხელი მომეცარა, რა უნდა ვქნა?.. მთელი „ზასტავა“ მელოდება... ამ სერჟანტებსაც ველარ დააბრალებ („პოდლი“ აზრი), ზედმიწევნით ასრულებენ ბრძანებას... მერე მიზეზების ახსნას რა აზრი აქვს?.. დაჯდები ცრუპენტელად და კუანად, ვითომ „მაგარი მონადირე“...

...ნახევარ საათში თხების დიდი ჯოგი აღმოვაჩინე, თითქმის კილომეტრის მანძილზე... არავითარი შანსი აღარ იყო სხვა, ვაცების ჯოგის ძებნისა... ამიტომაც (ჩემი პრინციპის საწინააღმდეგოდ) გადავწყვიტე თხებზე მიპარვა... შევარჩიე მისაპარი გეზი და რელიეფი... გეზი მათი ძოვაძოვით გადაადგილების მიმართულების გადაკვეთაზე მიდიოდა... გააჩნია, რამდენზე მიმიშვებდნენ, ან მე რას მოვასწრებდი... მივაღწიე ორას მეტრ მანძილს... შემდეგი მიახლოვების მცდელობისას ესენი მოასწრებდნენ ჩვენი გეზების გადაკვეთის წერტილის გავლას და დაიწყებოდა სწრაფი დაშორება... ამიტომ იქვე ჩავჯექი, მოვეწყვე და დავიწყე სროლა... პირველივე გასროლაზე წავაქციე ერთი დიდი თხა და ცეცხლი გაქცეულებზე გადავიტანე... მეოთხე გასროლაზე კიდევ ერთი დავაგდე... სროლა გავაგრძელე სანამ გაქრებოდნენ, მაგრამ ეს უკვე „ნა ფუ-ფუ“ სროლა იყო და აღარც რამე შედეგი ჰქონია...

...გადავედი იქით ფერდებში და მათ საძოვარზე გავედი... მოვნახე ორივე თხა... ორივეს ბეჭებში ჰქონდა გავლილი და ორივე ადგილზე იყო მოკლული... კიდეზე მივათრიე და კულუარში გადავუშვი... ქვევით, ვიწრო ხევის ძირში მოადინეს ზღართანი... კარგა მანძილი მომაგებინა ამ კულუარმა... მერე ამ ვიწრო ხევში ვათრიე და ვაგორავე... კაი მძიმეები იყვნენ (სამოცდაათ-ოთხმოც კილომდე) და მაგრად დავიღალე... ფერდაში რომ გავათრიე, დავიწყე ყვირილი: ამოდით-მეთქი!.. ამოაღწიეს ფხოკიალით და ეხლა ამათ შევატოვე თრევა-გორება... დავჯექი და სიგარეტი გავაბოლე... ბიჭებს ფეხი უსხლტოდათ... წამდაუწუმ საჯდომით ასკდებოდნენ ძირს და თხებთან ერთად მიგორავდნენ და ასე ჩავაღწიეთ ცხენებამდე... ავკიდეთ და წამოვედით...

...გაიარა იმ ღამემ გაზავებული სპირტის სმასა და მწვადების ჭამაში... აქ მომსახურე ყირგიზს ბეშბარმაკიც გააკეთებინეს... მაგრამ ნანადირევს ხომ ცხვრის ხორცის სინაზე და ცხიმიანობა არა აქვს და იმას ვერ მიიღებ, რაც ბეშბარმაკის მთავარი ღირსებაა (პირში დნება)... ამიტომ ყირგიზმა ცხვრის დუმა ჩაათალა ყაზანში... პოლკოვნიკმა ვიქტორმა არაჟნის ჩამატებაც მოიფიქრა... ყირგიზი უარზე იყო: ხორცის გემოს გატეხავსო, მაგრამ პოლკოვნიკმა თავისი გაიტანა (და, მე მგონი, გაამართლა)... ამას დაემატა აქაური მთის კვლიავის, ქონდარისა და პიტნის საკმაზი... ამ გარეშე დანამატებმა კი არ გადაფარეს ნანადირევის საკუთარი სუნი და გემო, არამედ, გემრიელად შეერწყნენ და ძალიან კაი რამე გამოვიდა... დაიხოცა ხალხი ამისი ჭამით... იყო ხორხოცი და ტრაბახი ღამის რეიდებზე („დოზორ“) და ჩასაფრებებზე („ზასადა“), კონტრაბანდისტებისათვის მოწყობილ ხაფანგებზე, ჩინელი მწყემსებისა და მესაზღვრეების პროვოკაციებზე („მათივე მთავრობის წაქეზებითა და დავალებით“), მივარდნილ კაინდის სირტში აღმოჩენილ ოპიუმის ფარულ პლანტაციაზე და შეტაკებაზე ავტომატებით შეიარაღებულ გაურკვეველ ჯგუფთან... ხუთი მოკლული დარჩათ, დანარჩენებმა გაასწრეს... ამოუცნობი მკვდრები პრჟევალსკში წაიღეს... ვინ იყვნენ?.. ყირგიზები?.. უიგურები?.. ჩინელები?.. შეიძლება, სამივეც!.. კალაშნიკოვები კი ჰქონდათ... ეხლანდელი, ახალი „ბასმაჩები“?.. რა იცი?.. ვინაობა ვერ დადგინდა...

...მე ამ „გმირულ“ ამბებზე, ცოტა არ იყოს, ცივი წყალი გადავუვლე: „კრუტოი“ ფერდებში თქვენ დამრღვევის დამჭერები არა ხართ — მაგ კირზის ჩექმებში ორ ნაბიჯზე ისეთ თხლაშანს გაადენთ, ლაზარეთში წასაყვანი გახდებით-მეთქი... ამაზე პოლკოვნიკმა მაგრად მოიწყინა... ჰოო!.. ეს კირზის ჩექმები!.. მათ დასაცავად, აბა, რა უნდა ეთქვა და იდგა ჩუმად... „გამოდევნებას, აბა, რა აზრი აქვს, და ჯობია ეგრევე, „ბეზ პრედუპრეჟდენია“ ესროლოთ, სანამ ციცაბოში შეგასწროთ-მეთქი...

„ტაკ ი სდელაემ!.. ტაკ ი სდელაემ!..“-ო, დაიძახა გამოცოცხლებულმა პოლკოვნიკმა: მაინც ამოცნობა ვერ ხერხდება და მიდი-მოვდივარ, ერთი იქით და ერთი აქეთ, ვის რა ფეხებზე ჰკიდიაო!.. ამაზე — „ვაჰაჰაჰაო!“— დააყარეს აქეთ-იქიდან და ისევ გახალისდა კომპანია... აქ ერთმა ოფიცერმა ვიღაც ნაცნობი ქალი ახსენა და აიტაცეს ახალი თემა და წავიდა ამბები მონატრებულ ქალებზე, ხოხმებისა და ტყუილ-მართალის კორიანტელი დადგა, ტრაბახისაგან ჭერს ზანზარი გაუდიოდა...

...მეორე დღეს ორი საათი გამოვდიოდით „პახმელიას“... სურსათის საწყობში

ვაჟა გიგაშვილი

კირზის ჩექმები, ბეშბარმაკი, ნასვაი, ნურიევი და ა.შ.

მოზრდილი ბალონები იდგა კიტრისა და კომბოსტოს მწნილებით (აქვე, შინაურულად ჩადებული) და „რასსოლმა“ გაასწორა... მერე სპირტმა და შურპომაც (ცხვრის, ამჯერად ნანადირევის, სუპი ნივრით) მთლად გამოგვაკეთა... მაგრამ, მე მგონი, ისევ ავატკივე თავი პოლკოვნიკს ჩემი ჩიჩინით... გუშინდელს ვუმეორებდი, ისევ კირზის ჩექმებზე:

„...რა გახდა?.. რა გჭირთ?.. რა არი?.. ეს ეკადრება „დერჟავას“, მსოფლიოს რომ აზრიალებს?.. ამას მტკიცება სჭირდება, რომ სამთო ამუნიცია, მითუმეტეს ფეხსაცმელი, აუცილებელია, როგორც ავტომატი?.. აუცილებელია მუდმივი ალპინისტური ინსტრუქტაჟი, ძნელი მისახვედრია?.. რას უყურებ?.. მისწერე, აუხსენი და მოთხოვე იმ შენს „ვედომსტვოს“ რაც საჭიროა!..“-მეთქი, ვქაქანებდი...

...აშკარად სწყინდა პოლკოვნიკს... ოღონდ ჩემგან კი არა სწყინდა, სწყინდა თავისი საამაყო „ვედომსტვოს“ ასეთი ჩაჭრა და იაღლიში... მაგრამ ვატყობდი, რომ ცოტა მაინც აღიზიანებდა ჩემი უბოდიშო ნოტაციები...

...შემდეგ წლებში „ვედომსტვომ“ მართლაც მოაგვარა ეს საკითხები მთელ „საიუზში“... „ამუნიციაც“ და „ინსტრუქტაჟიც“...

...ესეც კირზის ჩექმების გახსენება!.. კირზის ჩექმებზე მორჩა, მაგრამ გახსენება უნებურად გაგრძელდა იმ სპირტის „პახმელიაზე“ გამოსული დღის განმავლობაზე... ...ვიქტორმა ცხენი მომცა და კიდევ ცხენიანი სერჟანტი, ჩემი ცხენის უკან დასაბრუნებლად...

...ინილჩეკის დასახლებაში მივდიოდი ივან ბრატკოს სანახავად...

...ინილჩეკის დასახლება ალიზით ნაგები ბუდრუგანების უწესრიგო გროვა იყო, მდინარისპირა ტერასაზე, „პერეპრავასთან“... „პერეპრავა“ კიდევ — მდინარეზე გადაჭიმული, სქელ, ადამიანის მკლავზე მსხვილ ფოლადის ტროსზე ჩამოკიდებული, გორგოლაჭიანი, რკინის დიდი კალათა... მთის მდინარე უძახე და, ინილჩეკი აქ უკვე ორი მტკვრის სიგანე მოდიოდა...

...ივან ბრატკო კიდევ — სახელიანი „ბარსოლოვი“ — იჭერდა თოვლის ჯიქებსირბისებს და აბარებდა ზოოცენტრში, ფრუნზეში (ეხლანდელი ბიშკეკი)... ამ ზღაპრულად ლამაზ და იშვიათ მხეცებს ძალიან ძვირად ყიდდნენ უცხოეთში ვალუტაზე... ვალუტას, რა თქმა უნდა, სახელმწიფო იტოვებდა, აქედან ბრატკოს მიზერს აძლევდნენ რუბლიკებით, მაგრამ აქაურობის პირობაზე ესეც კაი ფული გამოდიოდა...

...გავიგე, რომ ბრატკოს ახლადდაჭერილი ირბისი ჰყავდა, ზოოცენტრში ჩასაყვანად გამზადებული და მისი ნახვა მინდოდა...

...ისიც უნდა მეთქვა, რომ სწორედ ჩემი წამოსვლისას „ზასტავაში“ (ამის იქით ხომ გზა აღარაა) ამოვიდა უზარმაზარი, სამხიდიანი, სამხედრო სატვირთო — მორიგი „სნაბჟენიე“ ამოიტანა... აქაურ საშინელ გზებზე ეს მანქანები დიდი საშველია და პრჟევალსკამდე, მგონი, ერთადერთი ტრანსპორტიც ეგაა... მანქანა საღამოსთვის უკან გაბრუნებას აპირებდა... ჩამოივლიდა დასახლებაში და ჩვენც თან გაგვიყოლებდა... მე — კუიუ-კაპამდე (იქ კოსტა და პაპიკა მელოდნენ), ბრატკოს — ფრუნზემდე (ბიშკეკი)...

...ასეთი იყო სიტუაციები... ეხლა ვიჯექი განაპირას მდგარი, საღებავგადაცლილი, ჟანგიანი რკინის ვაგონის გვერდით, ქვებში... ვაგონს დიდი აცა-ბაცა ასოებით ეწერა „სტოლოვაია“ და ქვემოთ, ფრჩხილებში, მომცრო ასოებით — „ზაკუსოჩნაია“... ადრე, ერთხანს თავს ვიმტვრევდი: საიდან მოათრიეს ეს ვაგონი?.. აქ ხომ 500-600 კმ-ის რადიუსში რკინიგზის ჭაჭანება არაა, და?.. მერე, როგორც იქნა, მოვხარშე: არავითარი რკინიგზის ვაგონი ეს არაა... უბრალოდ, უჩვეულოდ დიდი „პრიცეპია“ (მისაბმელი) იმ სამხიდიანი სატვირთოებისათვის...

...ვიჯექი და ვაბოლებდი... ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს... ჯერ ხომ ძალიან კარგად, რაღაც გემრიელად გამოვედი „პახმელიას“... მერე ამ ცხენზე თქარათქურმა მთლად შესანიშნავ მდგომარეობაში მომიყვანა... ჰოდა, ვაბოლებდი და ველოდებოდი... ბრატკო აქ უნდა მოსულიყო, ვაგონთან... ვაბოლებდი და ვუყურებდი ქვემოთ, ჩავარდნილ, სწორ ადგილზე მიმდინარე პროცესს...

...რა „პროცესი“ იყო ეს?.. იმ ჩაღრმავებულში, კალოსავით მრგვალ ადგილზე დაგებული იყო თიხის მასა, სქელი ფენა, ზედ დაპირქვავებული ბზის გროვებით (გვერდზე ეყარა დაცლილი გოდრები)... წრეზე დადიოდა უღელში შებმული წყვილი ცხენი და მათ წინ უძღოდა ერთი ფეხშიშველა კაცი... იზილებოდა თიხა ბზესთან ერთად ალიზისა თუ სამანისათვის (გამოუწვავი თიხის აგური, ან ბლოკები)... მოშორებით შრებოდა უკვე ფორმაში ამოყვანილი ალიზის ბლოკების აკოკოლავებული პირამიდები... ზოგი უკვე გამხმარიც იყო... ესე იგი, ეს იყო პროცესი სამშენებლო მასალის დამზადებისა... ესე იგი, ვიღაცას დასჭირდა რაღაცის აშენება და დაუკვეთა... ვინ დაუკვეთა?.. „გამოსულმა“ ყირგიზმა, რომელსაც იურტის გარდა, „სტაციონარული“ სათავსოც დასჭირდა?.. „გააზიატებულმა“ რუსმა (თითო-ოროლა არიან)?.. ჩინელმა (ესენი რუსებზე მეტნი არიან), რომლებიც თავის ტრადიციულ „ფანზებს“ იშენებენ?.. ყოველ შემთხვევაში, ეს არ იყო საინტერესო... საინტერესო იყო ეს კაცი, ცხენები რომ დაჰყავდა და თვითონაც ზელდა თიხას შიშველი, თეთრი ფეხებით... აი, ეს სითეთრე მომხვდა თვალში, პირველ რიგში, უცხოდ და უცნაურად და მერე სხვა დანარჩენი...შარვალი აკაპიწებული ჰქონდა მუხლებს ზემოთ, წვივები — ჩამოქნილი, ვიწრო კოჭებიანი, მოლურჯო ძარღვებით ჩაწნილი, ნერვიული და დახვეწილი... ბალეტმეისტერის ნატიფი წვივები, კოჭები, ტერფები... უცებ დამაბნია, როგორღაც ამაფორიაქა ამ მოულოდნელმა, გაუგებარმა შეუსაბამობამ... ვინ არი?.. საშუალოზე ოდნავ მაღალი, გამჭვირვალე თეთრი კანის მქონე კაცი იყო... ვიწრო მენჯით, სხარტი წელით, კოხტა, ზომიერად გაშლილი ბეჭებითა და მრგვალად ამომსხდარი მხრის თავებით... ელასტიკური მუსკულატურა გამჭვირვალე, თეთრი კანის ქვეშ... ნამდვილი ბალერონის ნატიფი სხეული... ნურიევი!.. რატომღაც ნურიევი გამახსენდა... საიდან გაჩნდა ეს აქ?.. რაშია საქმე?.. მაღალი, თეთრი კისერი, კოხტად მორგებული პატარა თავი, ზედ ყურებზე და თვალებზე ბოხოხივით ჩამოფხატული წაბლისფერი თმების გროვა... თხელი, ჟღალი ბალანით შეფენილი, შევარდნილი, ფერმკრთალი ლოყები და ლურჯი, რაღაცნაირად გაშტერებული თვალები... ვერ გაიგებდი, საით იყურებოდა, არსაით გაუხედია, არც უცხო მზერა უგრძვნია, არც მოუხედავს... დადიოდა და დადიოდა წრეზე ცხენებთან ერთად... მოძრაობა გრაციოზული, ცეკვასავით... თითქოს არ იყო ეს წვრთნით დაყენებული მოძრაობა... თითქოს ორგანიზმის ბიოლოგიურ თვისებად ჩანდა, როგორც ქურციკის, ანდა ლეოპარდის მოძრაობა... თუმცა, რა ვიცი, იქნებ როდესღაც მოცეკვავეც იყო...

...სასწრაფოდ მომინდა, რამე გამეგო ამ ტიპზე... ინსტიქტურად მივიხედ-მოვიხედე, თუმცა ახლო-მახლო არავინ მეგულებოდა და... ყეე!.. ეს როდის გაჩნდა აქ?.. ჩემს გვერდით, დაბამბულ ხალათქურთუკებში შეფუთულ-გამოკრული პატარა ყირგიზი ბოღჩასავით, მრგვალად დასკუპულიყო, ფეხები შეეკეცა და არ უჩანდა, თითქოს არცა ჰქონია... ძველისძველი, ერთვაზნიანი „გეკო“ ზურგზე გარდიგარდმო გადაეხირა... მიყურებდა წვრილი, ბრჭყვიალა თვალებით... საიდან გაჩნდა?.. ხუთი წუთის წინ ხომ გარშემო კაცის ჭაჭანება არ იყო...

...ოღონდ მე, პირველ რიგში, თიხის მზელავი მაინტერესებდა და საიდანღაც გაჩენილ ყირგიზს მოუთმენლად ჩავაცივდი, ეს კაცი ვინაა, მითხარი-მეთქი... ვერ გაიგო, რა მინდოდა, მიყურებდა დამფრთხალი... რამდენიმე წუთის უაზრო მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა, დავრწმუნდი, რომ ამასთან რუსულ ლაპარაკს აზრი არა აქვს... ჩემს შეკითხვებზე შეკითხვასვე მიბრუნებდა:

„...უუუუ?..“

ანდა: „...ააააი?..“ — და მიყურებდა დადარაჯებული... ეტყობა, ელოდა, რომ ბოლო-ბოლო, მისთვის გასაგებ რამეს ვეტყოდი... ზოგჯერ უარყოფის ნიშნად, თავს აქეთ-იქით აქნევდა და:

„ნეტუ!.. ნეტუ!.. ნეტუ!..“ — იძახოდა... ეს ერთი სიტყვა იცოდა რუსულად...

...გავანებე თავი, ისევ მოვათვალიერე ცარიელი გარემო, თვალი ისევ თიხის კალოზე გამიჩერდა...

...ყირგიზმა გაიშმაშურა და შევხედე... ხელი ჰქონდა ღრმად შეყოფილი თავისი ჯუბის უბეში... რაღაცა გამოიღო... პატარა ხაპერა-გოგრა იყო (ჩვენში რომ ორშიმოს აკეთებენ), გამხმარი და ჭურჭლად ქცეული... ხის საცობი ამოაძრო და ხელიგულზე შავი, წვრილი საფანტივით მარცვლები გადმოიყარა... მეორე ხელით ქვედა ტუჩი გამოიწია და ეს მარცვლები ღრძილებში ჩაიყარა... პირი მომუწა და გაშეშდა...

...ხელით ვანიშნე, რა არის-მეთქი...

„ნასს-სს...“— ძლივს გამოცრა მომუწულ ტუჩებში...

„რაა?..“ — დაჟინებით ჩავეძიე...

„ნასს...ვაი!..“ — გამოსცრა უფრო ხმამაღლა... მომეჩვენა, რომ დაძინებას აპირებდა და უცებ რაღაც უჭკუო ბრაზმა წამომიარა, საყელოში ვწვდი და ჩავძახე:

„რა არი?.. რა?.. ამიხსენი!.. ნას-ვაი?!..“

...ხაპერა მომაჩეჩა და თავის პირზე მაჩვენა: ასე ქენიო!.. თან ხელი ამიქნია: მე თავი დამანებეო!..

...ეგრეც ვქენი... გადმოვიყარე ხელის გულზე იმდენი, რამდენიც ყირგიზმა... სპეციფიკური, თითქოს საიდანღაც ნაცნობი სუნი ჰქონდა... ისევე, როგორც ყირგიზმა, ჩავიყარე ქვედა ტუჩს შიგნით... სხვანაირად, ცუდად მწარე გემო ვიგრძენი და გადაფურთხება დავაპირე და ვახ!.. ვხედავ, ეს ყირგიზი ხელს მიქანავებს: არ ქნაო... თურმე მიყურებდა!.. მეც გავჩერდი, პირველი ზიზღი გადავიტანე, მოვითმინე... მოთმენა ლოღიკური იყო: რახან გამოცდა დააპირე, გამოცდის პირობაც უნდა აასრულო, თორემ შედეგს როგორღა გაიგებ?..

...ყირგიზი ვეღარ მხედავდა (საერთოდ, რას ხედავდა, არ ვიცი), იჯდა გაშეშებული... მეც დავჯექი და გავშეშდი... ცოტახანში წამოვიდა რაღაც ტალღა და მთლიანად მომაწვა, ზურგით მიმაკრა უკან ქვაზე... შუბლზე დიდი სიმძიმე მომაჭირეს... რა იყო?.. დიდი ჩექმა?.. დიდი უთო?.. რაღაცა... თითქოს არ გავთიშულვარ, ისევ ვხედავდი გარემოს, ოღონდ გაჩერებულს, ფოტოგრაფიასავით... გარშემო რომ ხანძარი დატრიალებულიყო, ადგილიდან განმძრევი არ ვიყავი... ვიჯექი ასე... რამდენი წუთი გავიდა, არ ვიცი... მერე თანდათან გაიარა... კადრი ჩაირთო... გამოვედი... ყირგიზს შევხედე... ისევ ისე იჯდა და თითქოს იღიმებოდა... ავდექი და სიმწარედაკარგული მასა გადავაფურთხე...

ეს რა იყო?.. რანაირი კაიფი იყო?.. არც ეიფორია, არც ჰალუცინაცია... რამდენიმე წუთი შეშად ყოფნა რა სიამოვნებაა?..

...ყირგიზთან დალაპარაკება ვეღარ მოვასწარი (ან რა უნდა დავლაპარაკებოდი?..)... ზემოდან ბრატკო მიძახოდა... ავედი... ბრატკო ფეხზე ადგა და ხის ძარას ბრეზენტი გადახადა... აბა, ხუთი სანტიმეტრი სისქის ძელაკებით შეკრულ ძარაში რა სილამაზე უნდა დაინახო?.. ირბისი ისე იყო გაჭედილი, რომ საძრაობა არა ჰქონდა... ეს საგანგებოდ კეთდება მგზავრობისას, რომ ბორგვა-გლეჯის გასაქანი არა ჰქონდეს და თავი არ დაიზიანოს... ძელაკებს შორის ზოლებად ჩანდა თეთრი ქათიბი უცნაური შავი იეროგლიფებით მოხატული, ირჩეოდა უჩვეულოდ ფართე, ყვითელი თვალები, გაისმა ხრინწიანი შიშინი, გაიელვა თეთრმა, გრძელწვეტიანმა ეშვებმა... ბრატკომ ისევ წააფარა ბრეზენტი თავის მხარეს, მოხსნა გაღიზიანების ფაქტორი... შიშინიც შეწყდა... მე დრო ვიხელთე, ძელაკებში ხელი ჩავყავი და ქათიბი მოვსინჯე... გრძელი, სუფთა, საამურად რბილი ბეწვი ჰქონდა... შიშინმაც არ დააყოვნა და ბრატკომ მითხრა:

„ნე ნადო!.. ნე ნუჟნა ემუ ლიშნაია ნერვოტრეპკა, პონიმაეშ?..“

...ძალიან ზრუნავდა ბრატკო თავის ტყვეებზე, ზედ დაჰკანკალებდა... ამას მარტო მონდომება ვერ უშველის, ცოდნა უნდა... ბრატკომ მაგრად იცოდა, როგორ უნდა ეზრუნა და მისი ირბისები ყოველთვის გამოირჩეოდნენ სიჯანსაღითა და სილამაზით...

...ზოოცენტრის კომისია ეგზემპლიარს უკანასკნელ ფრჩხილამდე და ულვაშის ღერომდე ამოწმებდა და შეფასებაც ამაზე იყო დამოკიდებული... ეს „ბარსოლოვის“ ღირსებისა და კატეგორიის სიმაღლის გარდა, პირდაპირ მოქმედებდა ფულად გამორჩენაზედაც... მაგრამ ბრატკოს, ეტყობა ცოტ-ცოტა უყვარდებოდა ყოველი თავისი დაჭერილი მხეცი და ფული რომ უკვე აღებული ჰქონდა და აღარაფერი მოეკითხებოდა, მაშინაც გული ვერ უძლებდა, არ დაეხედნა მათთვის ზოოცენტრის შიდა სამხეცეში, არ შეემოწმებინა მათი მდგომარეობა... ამიტომ ქალაქში ტრიალებდა ხოლმე, სანამ ცხოველს უცხოეთში გაამგზავრებდნენ... თურმე ეს გარემოება მოჩხრეკილი ჰქონდათ უცხოელ შემსყიდველ აგენტებს და ბრატკოს დაჭერილ ირბისში უყოყმანოდ დებდნენ დასახელებულ თანხას... ეს დეტალები შემდეგში, ფრუნზეში მიამბო რისკელდი მუკანოვმა, სხვა (ბრატკოს გამოზრდილ-გამოწვრთნილმა) „ბარსოლოვმა“...

...ვაგონ-„სტოლოვაია“-ში ჰქონდათ მხოლოდ ღორის „ტუშონკა“ (ყირგიზები ამას არ ჭამენ) და „კილკა“ ტომატში —კონსერვები... კიდევ ხარშავდნენ მაკარონს, ოღონდ, არ ვიცი, რითი ანელებდნენ... მაგრამ ჰქონდათ წასული თაობის ყველა ტომის არყისტებისათვის ასეთი ნაცნობი და ასეთი „მშობლიური“ ვოდკა „მასკოვსკაია“ მწვანე ნახევარლიტრიანებში... ორი

ბოთლი გავჭყლიტეთ ლაპარაკ-ლაპარაკში...

...ივან ბრატკოს „პერსონალურად“ ახსოვდა ყოველი თავისი ირბისი... მათი კვალში დევნის, მათი ბილიკების გამოცნობის, გამოჭერის პერიპეტიები... მათი ქცევის ნირი, განსხვავებული ფიზიკური უნარი, თუ განსხვავებული ხასიათის თვისება... ეხლაც ამ ბოლო ირბისის ისტორიას მიამბობდა... მიამბობდა დაწვრილებით, გრძლად, საფუძვლიანად...

...ერთი რამე ტეხავდა: მიდრეკილება ჰქონდა თეატრალურ-პათეთიკური გადახვევებისადმი... „...ი ვოტ!.. კაკ ია ობბრრაბოტალ ბარსა!..“ — ასეთი გამოთქმებით რომ იწყებდა ლაპარაკს, მეხამუშებოდა და ვწუხდებოდი... მაგრამ მაინც სიამოვნებით ვუსმენდი... მე ხომ ვიცოდი, რომ სრულ სიმართლეს ლაპარაკობდა...

...ისტორიის დასასრულს, მეც უკვე „პერსონალურად“ ვიცნობდი ამ ირბისს (სახელი და გვარი აკლდა), ვიცოდი ვინცაა და რა ტიპიცაა... ჰოდა, ბოლოს ვკითხე იმ თიხისმზელავზე...

„Êòî?.. Ë¸í ÿ?..“ — მკითხა ბრატკომ — „Àááà!.. ðàá!..“

„×òî?.. êàê?..“ — დავიბენი — „Êàêî é ðàá?.. Êòî î í?..“

„...Àááà!.. õóé åãî çí àåà.. Áî ì æ í ó, õàí è ãàà... Ðàáî ì î í çäåñüó ì åñòí û õ...“

...გამოირკვა ასეთი რამ: ეს ტიპი შეკედლებული ჰყავთ აქაურ ყირგიზებს, დღისით ამუშავებენ, საღამოს აძლევენ ერთ ბოთლ „რაკას“ (აქაური შინნახადი), საჭმელს, თამბაქოს, ნასვაის... აქვს თავისი კუთხე, „ტიუფიაკი“ და „ადიალა“... მორჩა და გათავდა... ვეკითხები: აქ საიდან გაჩნდა-მეთქი, „À êàê ôàì èëèÿ?..“

„...À õóé åãî çí àåò!.. Í å ñï ðàø è âàëè... È ñàì í å ãî âî ðèë, Ë¸í ÿ è âñ¸!.. À ì î æåò è Òî ëÿ... È Êî ëÿ, Õóé åãî çí àåà.. Í å çí àþ ...“ — მერე დაამატა, — „Ñàì ãî âî ðèò ÷òî Ë¸í ÿ... Í ó è Ë¸í ÿ, È ëàäí î!..“

...ვეკითხები: რამდენი ხანია, აქაა-მეთქი...

„Ãî ä í àâåðí î!.. À ì î æåò è äâà!.. Õóé åãî çí àåà..“

ყველაფერი ხუიმ იცოდა...

ცოტახანს ჩაფიქრდა ბრატკო და მერე მეუბნება:

„...À ì î æåò, áåãëû é, ï î í û ì àåù ü?..“

„...Êàê, áåãëû é?..“

„...Í óó... â ï î áåãå, í ó!.. Ì î æåò â ðî çû ñêå, ï î í û ì àåù ü?.. Ì î æåòï ðèï èçäèë ø ëþ õó-æåí ó è ñêðû âàåòñÿ.. Õóé ï î é ì ¸ø!..“

...ჰოო... ბევრი რამის დაშვება, ვარაუდი, გამოგონება შეიძლება, რა თქმა უნდა... ათასი ვარიანტია... მართლაც ხ.. პაიმიოშ!..

...გამახსენდა, ჩვენი პირველი შეხვედრისას ადრესები რომ გავცვალეთ... ფრუნზეში თავისი ბინის მისამართს წერდა... უცებ გაჩერდა და დახია... დაწერა ზოოცენტრის მისამართი და მომცა:

„Óóò çàâñåãäà ì åí ÿ íàéä¸ø ü, ýñèè ÿ â ãî ðî äå... Í å í óæí à êâàðòèðà...“

„...À ÷òî?..“ — ცოტა დავიბენი...

„ß áî ëüø å ï î ëãî äà â ãî ðàõ, ï î í û ì àåø ü?.. Âäðóãï ðèåäåø, êî ãäà ì åí ÿ í åà.. À äî ì à ó ì åí ÿ ì î ëî äàÿ æåí à... Ñèäèò, ñêó÷àåò, ï î í û ì àåø ü?..“

...ვახ!.. თუ ეგრეა, სხვა აღარ მოინახება-მეთქი?..

„Í ó è ôî ãî õâàòåò!.. À ÷åãî åù¸ ì í å ñàì î ì ó ãðóçèí î â ï î ñû ëàòü!..“

...ავოეე!.. ბრატკო იმისი ჩიტი არაა, გული გაიხეთქოს და შლიუხა-ცოლი მიაჩათლახოს... მეტი საქმე არა აქვს!.. „პუსტ ჟივეტ!..“ ბრატკო „ბარსოლოვი“-ვირტუოზია და მაწანწალაა... მაგრამ აი, იმ ლიონიასგან („ნურიევი“) ეს დასაშვებად ჩათვალა... რატომ?.. ხ.. პაიმიოშ?!..

...კიდევ ერთი კითხვა მქონდა აკვიატებული „ნურიევზე“, მაგრამ ბრატკოს არა ვკითხე, მაინც ვერ მიპასუხებდა... **რატომაა ასეთი თეთრი?..** მთელი დღე მზეზე მუშაობს... მზე არ ეკიდება?.. აქაური მზე, ამ სიმაღლეებზე, მაგრად რუჯავს კანს, რამდენიმე დღეში ბრინჯაოს ფერი გედება... ამას არ ეკიდება?.. საიდან ეს თეთრი, გამჭვირვალე კანი?.. თითქოს თვეობით არ გამოსულა გარეთ საბალეტო სტუდიის გრილი დარბაზებიდან... თუ ორმოდან?.. ბრატკო რას გეტყვის?.. ხ.. პაიმიოშ!..

...უკვე დაბინდებულზე ჩამოიარა სატვირთომ და ავბარგდით... ის პატარა, ბოღჩასავით ყირგიზიც აქ გაიჩითა... ისევ ვერ დავინახე, როდის და როგორ ამოვიდა... იყო მართლა ბოღჩასავით მიყუნჭული მანქანის ძარის კუთხეში... ბრატკოს ყირგიზზე მივანიშნე და ნასვაის ეპიზოდი ვუამბე... ბრატკომ თქვა, ეგ ყირგიზი არ არის, ეგ უიგურია, ჩინეთიდან გადმოსულიო... ეგენიც ხშირად გადმოდიან ჩინეთის ყირგიზებთან ერთად აქეთ საცხოვრებლად... ცოტ-ცოტა ყირგიზული ესმით, რუსულს კი ვერ სწავლობენ სიცოცხლის ბოლომდე და ცხოვრობენ ასე... ეტყობა, არც მანდამაინც ჭირდებათ...

...რაც შეეხება „ნასვაის“... ესაა კირის, თამბაქოს და ოპიუმის აზელილი ნარევი, დურშლაკში ჩასრესილ-გატარებული... ამიტომაა შავი საფანტის მარცვლებივით... აქაური, ყოფითი ნახევარნარკოტიკი...

...ააა?.. როგორ მაშინათვე არ გამახსენდა?.. ერთხელ, ადრე, გოვორუხინმა კონდრაბანდისტისთვის ჩამორთმეული, სეიფში შენახული ოპიუმის კვერი გვაჩვენა... მაშინ კარგად დავსუნე და თითიც მოვუსვი და გავლოკე, გემო გავუსინჯე... ნაცნობი სუნი მომეჩვენა-მეთქი... როგორ არ გამახსენდა?..

...აქ ოპიუმის ყაყაჩოს დიდი სახელმწიფო პლანტაციებია, მკაცრად დაცული, პერიმეტრზე სათვალთვალო კოშკურებით, ავტომატიანი გუშაგებით... შეგროვების პერიოდში პლანტაციაზე მომუშავე აქაურებს გაუჩხრეკავად გარეთ არ უშვებენ... მაინც ახერხებენ რაღაც-რაღაცებს... მაგალითად, ოფლიან ტანზე შეიზილავენ ოპიუმის ფიჩხებს, მერე სახლში დანით ჩამოიფხეკენ შემშრალ ოფლთან ერთად... არის სხვა ეშმაკობებიც... გარდა მაგისა, ფარულ, მივარდნილ ადგილებში გაფანტულად თესავენ რამდენიმე ძირ ყაყაჩოს... ყირგიზები ნასვაიში ხმარობენ... ჩინელები საგანგებო ჩიბუხებით ეწევიან სუფთა ოპიუმს... ყაყაჩოს ნამჯას კი ყირგიზი დედაკაცები ჩაიდ ხარშავენ ჩაიდნებში... უდგათ იურტაში, სადმე გრილ კუთხეში დიდი ჩაიდანი... გაივლიან-გამოივლიან და შიგადაშიგ წრუპავენ ჩაიდნის ცხვირიდან...

...შემდეგში, აქეთ წამოსვლამდე, ჩვენ სამმა პლანტაციაც მოვინახულეთ და ჩინურ ჩიბუხსაც გავუსინჯეთ გემო, მაგრამ ამაზე სხვა დროს...

...პრჟევალსკში ვიშოვე ნასვაით სავსე ორი ბოთლი და თბილისში წამოვიღე ძმაკაცებში „სამარიაჟოდ“...

* * *

...ჰოდა, ასე!.. მონადირის მაღაზია „დიანაში“ სუპერბათინკების „Protector“-ის ახალთახალი მოდელის სინჯვისას კონტრასტში გახსენებული კირზის ჩექმები!.. ძაფი მოიქაჩა და ამოჰყვა სულ სხვადასხვა რაღაცები... ამ ძაფს კიდევ მეორე, მესამე და მეოთხე ძაფები ებმის აქეთ-იქიდან (გაიხსენეთ ბორხესის აქეთ-იქით გაქცეული ბილიკების ბაღი)... თუ ამათგან რომელიმეს მოქაჩავ... მაგალითად, ზემოთ ნახსენები ნასვაით სავსე ბოთლების ძაფს თუ მოქაჩავ, ამოტივტივდება ტაშკენტის აეროპორტში ორი სხვადასხვა მხრიდან დატაკებული მძიმე ხიფათ-განსაცდელი და უცნაური გადარჩენა და მერე კიდევ რაღაცები... და კიდევ რაღაცები...

...ყველა ძაფს ვერ მოქაჩავ, დრო არ გეყოფა უბრალოდ... მაგრამ, ხომ შეგიძლია, ალალბედად ხან ერთი მოქაჩო და ხან მეორე?.. მოქაჩავ, ამოატივტივებ, უყურებ და ერთობი... ხიფათ-განსაცდელი ყველა უკანაა და ეხლა არხეინად შეგიძლია, ამეებით გაერთო... სხვა რა დაგრჩენია?.. ახალი განსაცდელები წინ აღარაფერია, გარდა ერთისა — მთავარი და ბოლო განსაცდელისა... მაგრამ ეგ განსაცდელადაც აღარ ჩაითვლება, რადგან ვერასდროს და ვეღარსად გაიხსენებ...

ავდგე, გავფრინდე

გააჩინე შვილი, მითხრა დედაჩემმა, გააჩინე.
აბა როგორ, ვუთხარი, აბა როგორ.
ბოლო ზაფხული გავაცილე,
ჩემი ბებერი მხრები
ფოთლების თოვლისთვის დაიხარნენ.
ბებერი დაიბადება, დედი,
როგორც მე დავიბადე შენზე ათასი წლით ბებერი.
ჩემი ღამეები შეჭამენ, დედი, ჩემი აყმუვლებული მგლები.
მდინარეში ჩამივარდება, დედი,
დამეხრჩობა,
მდინარეები გადმომდის თვალებიდან.
უსუსური ბარტყივით გაძიძგნიან
ჩემი კოშმარების ღვარცოფები.
შიმშილით მომიკვდება, დედი, სისხლს ხომ არ მოვაწოვებ,
ჩემი ღარიბი მკერდი კაბის უბესაც ვერ ავსებს.
სიცივით მომიკვდება, დედი, ყინულის სიტყვებს ვისვრი
და სიკვდილისწინა წვიმას ვცრი.
ქვა და ქვიშაა ჩემი სხეული,
ახალ ხორცად რაღა გადაზელს.
სად მოვიკიდო დედების დარდი,
სად არის ადგილი დაგრეხილ ხერხემალზე.
დამავიწყდება, ვეუბნები,
დედა დავიძინებ, დედინაცვალი გავიღვიძებ.
სადმე დამრჩება, ვეუბნები, ჩემი თავივით სადმე დამრჩება.
ვინმეს ერთ ყლუპ ძილში გავუცვლი,
ერთ ნამცეც სიზმარში გადავუცვლი.
ან სად მოვაგროვო მისთვის სამყოფი სიყვარული,
იმდენიც აღარ დამრჩა, ზამთარში ბელურებს დავუყარო.
ჩემი თვალები რომ გამოყვეს, ხომ შემომხედავს
და მომკლავს.
ისედაც კვდები, მეუბნება,
აკვანი დაარწიე,
ზიხარ და საფლავებს არწევ.
წინ ზამთარია, მეუბნება, ხანდახან ვინმემ
ხომ უნდა გაგათბოს.
ზამთარი სულ არის, დედი. არავინ არავის ათბობს.
ზამთარი სულ არის, ნახე,
რამდენი თოვლია ყვავილებში.
თუ გავაჩენ, დედი, თუ გავაჩენ,
თავი ას ნაწილად გამისკდება.
ერთზე ნაკლები უნდა გავაჩინო,
ერთი ადამიანი ბევრია მეტისმეტად.
ალბათ რამდენჯერმე უნდა გავაჩინო,
ერთხელ დაბადებული არავინ გადარჩება.
ცოცხალი არ უნდა გავაჩინო,
ცოცხლად გაჩენილი ყველა კვდება.
აბა რაღას მოვასწრებ, დედი, აბა ახლა რაღას მოვასწრებ,
ჩემი ბოლო შემოდგომაა,
უკანასკნელი მერცხლები გაფრინდნენ.
შემოდგომაა შენი დარდი,
ზამთრისწინა გაბმული წვიმა.
შემოდგომაა ეს ლაპარაკი,
დამჭკნარი სიტყვების ფოთოლცვენა.

ხის ტოტზე ვზივარ, ველოდები, ქარი ამოვარდეს,
ხელი დაგიქნიო, ავდგე, გავფრინდე.
ავდგე, გავფრინდე
ჩემი ბოლო შემოდგომიდან.

ბებერი წვიმის ამბავი

ერთხელ ერთ ქალაქში წვიმა დაბერდა.
ჩაკიდეს ხელი მოქალაქეებმა
და მოხუცებულთა თავშესაფარში წაიყვანეს.
სულ მარტო იყო.
იჯდა და ფიქრობდა სახურავებზე,
სადაც ერთხელ მაინც ეწვიმა.
იჯდა და ფიქრობდა ხეებზე და ბალახზე,
ენატრებოდა გაზაფხულის მიწა.
ენატრებოდა შემოდგომის ქუჩები,
ჯდებოდა ფანჯარასთან და წვიმდა.
სულ მარტო იყო, მეგობრობა არ გამოსდიოდა.
მოხუცებულთა თავშესაფარში ის იყო ერთადერთი წვიმა.
იჯდა სარწეველა სავარძელში,
დაბალჭერიანი ოთახის კუთხეში,
მუხლებზე ეფარა დათრთვილული პლედი
და ფანჯრის რაფაზე თვალებმიორთქლილს
კალთა ევსებოდა გამჭვირვალე წვეთებით.
ასე როგორ დავბერდი, უკვირდა.
ვის რაში ჭირდება ბებერი წვიმა.
ქუჩის მეორე მხარეს ცხოვრობდა მარტოხელა სახლი,
მასზე შეიძლება ითქვას შინაბერაც.
იყო უკვე ასაკიანი.
იშვიათად ელაპარაკებოდა სხვა სახლებს,
იშვიათად აშრიალებდა ფარდებს,
იშვიათად სტუმრობდნენ მტრედები სახურავზე.
უჭირდა თავისი სიმარტოვის მოვლა.
დღიდან დღემდე საკუთარ კიბეზე იჯდა,
ისწორებდა ყვითელი ხავსის ლაქების კაბას,
კაბის ქვეშ სიჩუმის მუხლები უჩანდა,
მუხლებზე ხელები — გაცრეცილი ყაყაჩოები,
და ფართოდ გახელილ ფანჯრებში
უჩანდა წვიმა.
სახლი იჯდა და მთელ სხეულში უჩანდა წვიმა,

ლია ლიქოკელი

რომელიც უკვე მრავალი წელი
ცხოვრობდა მოხუცთა თავშესაფარში,
აღარ დგებოდა დასაკუთრებული ფანჯრიდან,
იქვე მიირთმევდა ჩაის და ორცხობილას,
იქვე ხედავდა მოსაწყენ სიზმრებს,
იქვე ხედავდა მოსაწყენ ცხოვრებას,
და უყურებდა სახლს და წვიმდა.
სახლისთვის არ იყო ადგილი
მოხუცებულთა თავშესაფარში,
სახლისთვის არ იყო ადგილი არცერთ სხვა სახლში.
სასწრაფოდ ჭირდება ვინმე, ფიქრობდა წვიმა,
სასწრაფოდ არის წასაყვანი სახლების ექიმთან.
გვალვიანი ზაფხულის ერთ ცხელ ღამეს,
როცა უკვე ყველას ეძინა,
წვიმამ ჩაიცვა თბილად,
მხრებზე მოიხვია პლედი
(რა დასამალია და ცოტა მცივანა კი იყო)
და ფეხაკრეფით გაიარა თავშესაფრის ჭრიალა იატაკი.
მისი კვალი სწრაფად ორთქლდებოდა ივლისის სიცხეში.
ფრთხილად გააღო გასასვლელი კარი
და ჩუმი შრიალით გაიპარა ქუჩაში.
ჩუმი შრიალით გაიკვირვეს აყვავებულმა ცაცხვებმა,
გაუკვირდა ქუჩას და თენებისწინა სიბნელე
წარბივით აზიდა,
გაუკვირდა ზაფხულს და უღრუბლო ცას —
არავის ენახა ასეთი ბებერი წვიმა.
წელში მოხრილი მიცუხცუხებდა ქუჩაზე,
თეთრ, მბზინავ ნაკვალევს ტოვებდა ლოკოკინასავით.
წვალებით გადაკვეთა ქუჩა.
სახლი იდგა და უყურებდა,
იდგა და იცდიდა.
უჭრიალებდა სუსტი, გალეული სხეული.
წვიმა მივიდა და მკერდზე შეეხო წვეთის წვერებით —
ფეთქავდა სახლის გული,
გაზაფხულის მიწასავით ფეთქავდა.
წვიმა შეეხო შუბლზე და ჩაუდგა თვალებში,
სახლი იდგა და ტიროდა ფანჯრებიდან.
წვიმა წვალებით მიცოცავდა კედლებზე და კოცნიდა,
უცახცახებდა ბებერი სხეული.
მერე იწვა წვიმა სახლის სახურავზე და კოცნიდა.
მერე ლაპარაკობდა მინდვრებზე, ბალახებზე და ხეებზე
და სახურავებზე,
სადაც ერთხელ მაინც ეწვიმა.
ლაპარაკობდა სველ ქუჩებში მოცეკვავე
ყვითელ ფოთლებზე,
ლაპარაკობდა და ქრებოდა,
დნებოდა,
იღვენთებოდა აკვნესებული სახლის გადახსნილ სხეულში.
ქარი აფრიალებდა ჭაღარა წვეთებით
დათრთვილულ პლედს.
სახურავზე ამოდიოდნენ ყაყაჩოები.
თენდებოდა.
მოხუცებულთა თავშესაფარში იღვიძებდნენ
და უყურებდნენ,
როგორ ამოდიოდა მზე.

მზე ამოდიოდა და უყურებდა სახლს.
სახლი იდგა და წვიმდა.

ცხოვრება მარტოსული ქლიავის ჭიისა

ჭია, რომელიც ქლიავში ცხოვრობდა,
თავს მარტოსულად გრძნობდა.
მოსაწყენი ეჩვენებოდა ქლიავის ჭიობა.
დღიდან დღემდე მარტო იჯდა თავის მომჟავო სახლში,
ქლიავის კურკას ელაპარაკებოდა.
ატამში მაინც დავბადებულიყავი, ამბობდა,
ატმის ჭია მაინც ვყოფილიყავი.
— სულელი, სულელი, — ამბობდა ქლიავი.
— სულელი, — ამბობდნენ მეზობელი ჭიები
მეზობელ ქლიავებში.
ღამღამობით ქლიავიდან იპარებოდა,
გულაღმა წვებოდა რომელიმე მოცახცახე ფოთოლზე.
მკვახე ნაყოფივით ეკიდა მთვარე ცაში,
ბრჭყვიალებდნენ მანათობელი ჭიები.
თუ მოვინდომებ, მეც გავანათებ, ფიქრობდა.
როგორმე უნდა გავანათო.
— სულელი, — ირწეოდა ქლიავის ხე ქარში.
— სულელი, — ირწეოდა ცა ქლიავის თავზე.
სწრაფად გადიოდნენ ჭიობის დღეები,
მწიფდებოდა მისი საცხოვრებელი ქლიავი.
უმძიმდებოდა, უზანტდებოდა ტანი.
აღარსად ეტეოდა გაბერილი სული.
მალე, ფიქრობდა. სულ მალე.
ქლიავის ყვავილისფერ ფრთებს ამოვუშვებ.
ვიფრენ ათასი დღე და ვიფრენ ათასი ღამე,
ცხრა ცას გადავივლი, ცხრა ათას სამყოფელს.
მზეში შევძვრები და მზის ჭია გავხდები, ფიქრობდა,
მზეა ჩემი აღთქმული ნაყოფი.
და ერთ მშვენიერ დილას
მზით რომ გაიჟღინთა ქლიავის ვარდისფერი კედლები,
დაუბერა ქარმა და ქლიავი
ფოთლების დილისპირულში მოწყვიტა ხიდან.
ქლიავი მიწაზე დაეცა და გასკდა.
ასეთია ცხოვრება, როცა ქარია.
ჭია, რომელიც ქლიავში ცხოვრობდა, ნესტიან მიწაზე იწვა
და თავს მარტოსულად გრძნობდა.
ასეთია ცხოვრება, როცა ჭია ხარ, ფიქრობდა.
ქლიავში ცხოვრობ.
თავს მარტოსულად გრძნობ.
მერე ნესტიან მიწაზე წევხარ.
მარტო.
კვდები.

დილა არდარდისა

დილა არდარდისა, ძაღლო.
თუ ამჩნევ, გათენდა.
რა კარგია, რომ არ ლაპარაკობ,
არ მიყვარს მოლაპარაკე ძაღლები.
თუ ამჩნევ, თვალები გავახილე,
თუ ამჩნევ, დავდივარ.
რა კარგია, რომ არ იცინი,
ცუდი ნიშანია ძაღლების სიცილი.
ცხელი საუზმე, ძაღლო,
შენი ცივი ცხვირი და ჩემი ცივი ხელები.
ჩვენი სიყვარული, ძაღლო.
ბნელიდან გამოწვდილი შენი თეთრი ყელი —

შენი მოსაფერებელი სიმარტოვე — თავი.
ჩემი ყვითელი მხრები,
შენი აშლილი ბალანი.
ჩემი მაყვლის ბარდებში ჩახლართული თმა —
მწიფე ანწლის წვენივით
მიწაში ჩაჟღენთილი თმის ფერი,
არსანახავი, არმოსაფერები.
თუ ამჩნევ, რა ცოტა დავრჩი,
სიზმარ-სიზმარ გავთავდი,
აჯობებს, არ მიყურო,
არ მინდა, ძაღლის თვალებში მოვკვდე.
ცისპირს გახედე, ძაღლო,
თუ ამჩნევ, გათენდა,
თუ ამჩნევ, ადგნენ მთები,
ჩემი ამბავჭრელი მთები ადგნენ და წავიდნენ.
მიწას გახედე, ძაღლო,
გათბა მიწა.
მშიერი ბალღვით წევს მიწაზე მზე, ძაღლო,
მზეს უნდა მივუწვე.
ფხიზლად იყავი, ძაღლო, შხამი არ იყოს ჩემი რძე.
ფხიზლად იყავი, ძაღლო.
მე არ მიყურო, ჩემზე არ ილაპარაკო.
მიწა პირს რომ შეიკრავს, ჩემი კვალი ალოკე.

ბალახი ამოდიოდა

დღეს წვიმაში არ მივლია და არც წვიმას უვლია ჩემში.
ერთ ხესთანაც არ მიტირია, ერთ ხესაც არ უტირია ჩემთან.
ერთი ქვისთვისაც არ მიკოცნია, ერთ ქვასაც
არ უკოცნია ჩემთვის.
ერთი ხიდიდანაც კი არ გადავმხტარვარ,
ერთი ხიდიც არ გადამხტარა ჩემგან.
ერთ მდინარეშიც არ დავმხრჩვალვარ,
ერთი მდინარეც არ დამხრჩვალა ჩემში.
თვალები არ გამიხელია და არც თვალებს გავუხელივარ.
ერთი სიტყვაც არ წამომცდენია, ერთ სიტყვასაც
არ წამოვცდენივარ.
არაფერი გამიფიქრებია, არაფერს გავუფიქრებივარ,
დღეს ჩემი თავიდან არ გავსულვარ
და არც ჩემი თავი გასულა ჩემგან.
მიწაზე ვიწექი და მიწა იწვა ჩემზე,
ბალახი ამოდიოდა
და მზე ამოდიოდა ჩემგან.

მე საერთოდ ცუდად მძინავს

საერთოდ ცუდად მძინავს, სულ სამი საათი გადაბმით.
როგორც წესი, ნაშუაღამევს ვიღვიძებ.
სუნთქავს ჩემი სახლი, სუნთქავს ჩემი კატა საბნის ქვეშ.
ასეთი სიჩუმეა — სუნთქვით დაბურცული სიჩუმე.
ვდგები, ნაქსოვ ჟაკეტს ვიცვამ. გრილა ღამღამობით.
ფრთხილად გავდივარ ოთახიდან —
კატა არ უნდა გავაღვიძო.
სუნთქავს სოფელი, სუნთქავს არაგვი სოფლის ბოლოს.
ჯერ ტირიფს შევხედავ ეზოში, მერე ცაში უნდა ავიხედო.
დღეს ერთი ღრუბელიც არ არის.
ცა ჩამოზნექილია ვარსკვლავებით.
როცა ცა ასეთია, ზოგჯერ სახლიდან ვიპარები.
მსუბუქი ფეხსაცმელი, შარფი. გრილა აქ ღამღამობით.
ეზოდან გასვლისას ჭიშკარმა არ გაიჭრიალოს:
არ უნდა ვაღავღავო ძაღლები.
ჩემი სახლიდან დაღმართია მდინარემდე, ნახევარი
სოფელი უნდა ჩავირბინო.
სულ ერთი ქუჩაა ჩემი სოფელი.
ფეხქვეშ ქვები და გუბეები.
ბნელა. ცუდად ვხედავ. ერთი საათიც და გათენდება.
სულ სხვა ამბავია, გზაში რომ გითენდება,
ტყეში რომ გითენდება, მინდვრებში რომ გითენდება,
სულ სხვა ამბავია და სულ სხვა ამბავი ვარ
ასეთ სხვა ამბავში.
გზა ხიდს გადაივლის და ვიწროვდება.
მდინარის ნისლი ისუსხება ჭალაზე.
ხელები თბილ სახელოებში. ცხვირი საყელოში.
აქედან მინდვრებია და თითქოს
თვითონ სიბნელე მოძრაობს,
თითქოს მინდორი იზმორება.
მიხტიან მუხლები. მომწონს, რომ მეშინია. ვკანკალებ.
ფრუტუნებს სიბნელე. ცხენია. დავაფრთხე.
ერთი თეთრი მოძრავი ლაქა — თეთრი ნიშანი
ვიწრო შუბლზე.
დამშვიდდი, ვეუბნები. მაპატიე, დამშვიდდი.
აქედან ტყე იწყება.
ტყეში შესვლისას ღრმად უნდა ჩავისუნთქო. ჩვევაა.
ხეებზე ჩამოკიდებული ჩრდილები.
მე ჩემს ჩრდილზე ვარ ჩამოკიდებული, ჩემი ჩრდილი
შიშზეა ჩამოკიდებული,
ხელჩაკიდებულები დავდივართ სამივე.
მარტო ტყეში.
თენების წინ ყველა ხე მარტოა ტყეში.
მერე ცა ნაწილ-ნაწილ სკდება, მზე მოჟონავს
მოწითალო ნაპრალებიდან.
მაღლა და მაღლა, ქვევით ჯერ ბურუსში წევს ხეობა.
ტყიდან — სათიბებში: ბალახი ამოსკდა სიბნელიდან.
ყვავილები, რბილები.
შორს ჭიუხი, მზის პირველსხივშელაციცებული
დაღარული მკვრივი კლდე.
ხელებს ვშლი. მზის ხსენებისას ყოველთვის ხელებს ვშლი,
მკლავებს ვიგრძელებ.
სახლში მზის ამოსვლამდე დავბრუნდები.
მერე გზა უკან: ჩვეულებრივი გზა. ჩვეულებრივი მე.
ტყის მარწყვი გზისპირებზე —
მოვწყვიტე რამდენიმე ღერო, მწიფე ნაყოფით.
ჟოლო — მოვტეხე რამდენიმე ეკლიანი ტოტი.
მწიფეა და არ უნდა დამებნეს. რაც მწიფეა,
არ უნდა დამებნეს.
ტყე, მინდვრები და გზა. ახლა ყველაფერს ვხედავ.
ვიღაცას გვირილები უკრეფია,
ჯერ თაიგულად შეუკრავს, მერე დაუყრია
პირდაპირ გზაზე.
გავიფიქრე, რომ ვისაც გვირილები დაებნა,
ალბათ კარგად სძინავს,
ჩემგან განსხვავებით.
მე ხომ საერთოდ ცუდად მძინავს.
ისევ ცხენი: უცხო ხარ — ფრუტუნებს.
მაპატიე, ვეუბნები. მაპატიე.
სოფელი. სახლები მთქნარებით.
აღმართი. აღმართის ბოლოს სახლი, სადაც გავიზარდე.
ახლა სახლი იზრდება, მე ვპატარავდები.
მამაჩემი გაიღვიძებდა. ეზოში იქნება.
ჭიშკარს რომ შევაღებ, გაიცინებს.
მერე დედაჩემიც გაიცინებს. ეცინებათ ხოლმე ჩემზე.
ჭიშკარი. წინგაწვდილი ხელები.
მარწყვის და ჟოლოს თაიგული.
რაც მწიფეა, არ უნდა დამებნეს.
მე ხომ ისედაც ასე დავდივარ —
წინგაწვდილ ხელებში თითქოს ჟოლოს ტოტები მიჭირავს
და ვცდილობ, ერთი მწიფე ნაყოფი მაინც
მივიტანო სახლამდე.

ასეთი ზაფხული მაქვს, ასეთი ღამეები. ასეთი მინდვრები.
ერთია — მშიშარა ჩრდილი მყავს,
და ძალიან ცუდად მძინავს.

ასანთი

ასანთის კოლოფიდან ყველა ასანთის ღერი გაიპარა.
ზის ცარიელი ასანთის კოლოფი
გამორთული ტელევიზორის წინ,
უყურებს ჩამქრალ ეკრანს,
და ვერაფერს ფიქრობს, რადგან
ცარიელია და მისგან
ასანთის ყველა ღერი გაიპარა.
არ ვიცი, სად წავიდნენ ისინი.
ალბათ ვინმე იტყვის, რომ ნახა,
როგორ გარბოდნენ თავზე ცეცხლწაკიდებულები,
ალბათ ვინმე იტყვის, რომ ნახა,
როგორ გაუჩინეს ხანძარი ცას,
როგორ გაევსოთ თვალები
ცისფერი ფერფლით ადამიანებს
და ყველამ სახლში წაიღო საღამოს
თავისი წილი დამწვარი მზე.
ალბათ ამაზე ილაპარაკებენ
ჩართული ტელევიზორები,
სავსე ასანთის კოლოფები,
თვალებიანი ადამიანები,
მაგრამ მე ვერაფერს გავიგებ, რადგან
ვზივარ გამორთული ტელევიზორის წინ,
ვუყურებ ჩამქრალ ეკრანს,
რომელიც უკვე აღარ მირეკლავს,
რადგან ისეთივე ცარიელი ვარ,
როგორც ასანთის კოლოფი,
საიდანაც
ყველა ასანთის ღერი გაიპარა.



დასაწყისი პირველ გვერდზე

თეონა
დოლენჯაშვილი

ფრაგმენტი
მომავალი
რომანიდან

რეალური
არსებები

ნია სარაცენიაა და მისი მსხვერპლი ყველგანაა. აქ — გარუჯულ და მკლავმაგარ მოცურავეთა, ოფისებში – კომპიუტერების მონიტორებს მიციებულ თანამშრომლებსა თუ კაფეებში – გვერდით მაგიდებთან მსხდომ და მისკენ კისერმოღრეცილ მოსაუზმეთა შორის. ქუჩაშიც, სადაც ყოველი გამვლელი მამაკაცი უბრალოდ ვალდებულია, ნაბიჯი აერიოს და მისი შემთხვევითი და წამიერი სიახლოვისგან თავბრუდახვეული რამდენიმე წამით მაინც გაშეშდეს.

ნია კაციჭამიაა. რადგან ბავშვობიდანვე შხამიანი მცენარესავით იზრდებოდა, რომელმაც უნაყოფო მიწაზე გადარჩენის უნიკალური სტრატეგია გამოიმუშავა. ყვავილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მტაცებელია. და იმის გამო, რომ გადარჩეს, ხორცი უნდა ჭამოს. სწორედ ამათი ხორცი.

მისი სტრატეგია მარტივია. ის უბრალოდ სურნელს აფრქვევს. დანარჩენი თავისთავად ხდება. სწორედ ისე, როგორც ახლა, ფართოშუშიან სათვალეს რომ ირგებს და მზიგან მოთენთილი ნელი ნაბიჯით გასახდელისკენ მიემართება. ნიას ფეხის ტერფები რაღაცით მართლაც წააგავს ყვავილის ფოთლებს. ასხლეტილი ტანი, მზეზე ბრწყინავი ღია თაფლისფერი თმა, გამოცდილი და მაცდური მზერა გზაზე შემხვედრ მსხვერპლთ სუნთქვას უკრავთ. ეჰ, ნია, ნია... რად გინდა ამდენი გატეხილი გული. მხოლოდ იმიტომ, რომ მათზე შენი ფოთლისებური ტერფებითა და ჩვეული, მოქნილი ნაბიჯით გადაიარო? ნიას აზრებში ჩაწვდომა კი ძნელია, მაგრამ ცხადია, რომ ეს უკვე ჩვევად ექცა და ამგვარად საკუთარი მომხიბვლელობის ძალას ამოწმებს. თორემ კაცმა რომ თქვას, ეს ფეხთქვეშ გართხმული ლეგიონები ნამდვილად აღარაფერში სჭირდება.

გასახდელი ცარიელია. ნია ზანტად შიშვლდება და შხაპქვეშ დგება. თავაწეული და თვალდახუჭული სახეს წყლის გრილ ჭავლს უხვედრებს. წყალი ჯერ სახეს უსველებს, მერე მაღალ კისერსა და მკვრივ მკერდზე ევლება ნაზად, ლივლივით იკვალავს გზას წვრილი წელიდან ღამაზად გაზიდული თეძოს ხაზისკენ და ქვემოთკენ მიემართება. ოოჰ, უკვე მთელი სხეული მისია. ბედნიერი წყალი!

ტანს თეთრი, ხაოიანი პირსახოცით იმშრალებს და საკუთარი თავით ტკბობაში გართული იცვამს. ტანსაცმელი ყოველთვის ელეგანტური, ძვირფასი და გემოვნებით შერჩეულია. ელემენტალურია, რომ მკაცრი და ტანზე მომდგარი პიჯაკი უფრო სექსუალურია და ფეხსაცმლის მაღალი ქუსლიც უფრო ღრმად

ტოვებს ნაკვალევს.

ავტოსადგომზე ცხელა. მზის გულზე მდგარი უზარმაზარი ცარიელი ჯიპები მეტალის კრიალა ზურგებით და ბროლის ფარებით თავიანთ მდიდარ მეპატრონეებს გვანან. აგრესიული ფორმები და მძლავრი მასკულინური ენერგეტიკა – საუკეთესო შეფუთვა სუსტი მამაკაცებისთვის! თავადაც სწორედ ასეთი ჰყავს, მაგრამ მხოლოდ იმის ნიშნად, რომ ამ ნაზი და მსუბუქი ფაიფურის ხელით თვით ყველაზე მძიმე და დაუმორჩილებელი რკინის ულაყის მართვა შეუძლია.

ნიას ულაყი შავია, ნამდვილად სამეფო ჯიშისა და იერისა. ასეთი მანქანის ფანჯრიდან გადმომზირალ მძღოლებს მზერაც განსხვავებული აქვთ: მძიმე, კლასიკური, აი, რაღაც სხვაგვარად ქედმაღალი და შეუვალი. მანქანიდან გადმოსულთა ნაბიჯიც მძიმეა, რომელიც ალბათ ამგვარად ყველა გზაზე მავალთა თავაწყვეტილ ქროლვას აბალანსებს.

ნიას გამომეტყველებაზეც ყველაზე მეტად სწორედ ამან — კაცების კი არა, მანქანების ცვლამ იმოქმედა. სწორედ ამ გზამ — პატარა, სტუდენტური ჰეჩბეკის მინაში თავგაყოფილი ლოლიტადან იდუმალ, შავ ეტლში შეკეტილ დრამატულ კარენინამდე.

მანქანას შუადღის სიცხისგან დაცლილ ქუჩებში ნელა მიაგორებს. არ ესმის, მაინც როგორ მოხდა, რომ რომელიმე მეგაპოლისში არ ცხოვრობს და აქამდე შემორჩა მშობლიურ ქალაქს. ალბათ ესეც იმის ბრალია, რომ სარაცენიაა და ამ უნაყოფო მიწაშიც სამუდამოდ ჩამარხული გრძელი ფეხებით. თორემ ნიას აქ არავინ და არაფერი აკავებს. მშობლებს – ფსიქოპათ დედასა და უნიათო მამას ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაშორდა. არც მათ, არც ჭორიკანა ნათესავებს და მითუმეტეს, არც უცნაურ და ნახევრადშეშლილ ძმას არ ნახავდა, რომ არა ეს სავალდებულო ოჯახური შეკრებები, რომელთაც ღამის ყოველთვიურად აწყობს დედა და როდესაც ისტერიული და მომკივანი ხმით შეხვედრის თარიღს უთანხმებს, ნიას ამ ტონისა თუ ბავშვობისდროინდელი ინერციით მათზე უარის თქმა წარმოუდგენლად მიაჩნია. ისიც დათქმულ დროს მამაპაპისეულ სახლში ცხადდება და იმ სპექტაკლში, რომლის თამაშიც მშობლების თვალისასახვევად ჯერ კიდევ თორმეტი წლისამ დაიწყო, ამჯერად უკვე ბისზე გამოძახებული მსახიობივით რამდენიმე სავალდებულო სცენას ასრულებს.

ამ სპექტაკლში ნიას სანიმუშო, ფრიადოსანი გოგოს როლი აქვს. არის კიდეც ასეთი. ყავახანების კოხტა ქსელის მეპატრონე და წარმატებული ბიზნეს ლედი, რომელმაც ყველაფერს საკუთარი ნიჭისა და შრომის წყალობით მიაღწია. რაც უნდა ვთქვათ, ნია როლს ნიჭიერად თამაშობს. უბრალოდ, ავანსცენა სხვაა და კულისები — სხვა. კულისებში ნიჭი მისი სილამაზეა, რითიც ალკოჰოლურ და უალკოჰოლო სასმელების (და საერთოდ ყველანაირი სასმელების) კომპანიის მეპატრონე მოხიბლა, ხოლო შრომა — ორი დამქანცველი წლის განმავლობაში მისი ჭკნობაშეპარული სხეულის მგზნებარე ალერსი და ხანგრძლივი, ზღაპრული ორგაზმების იმიტირება.

ნიას იმ კაცის სახელის გახსენება არ უნდა. იმდენს ეცადა, შესაძლოა, მართლაც დაივიწყა. სამაგიეროდ, კარგად ახსოვს ის წლები. ახსოვს, როგორ ბრუნდებოდა სახლში სისხამ დილით დაღლილი და ნაწამები. როგორ იხეხავდა ტანს სააბაზანოში. როგორ ცდილობდა განვლილი ღამის ჩამორეცხვას და მაინც როგორ ვერ იშორებდა მისთვის საძულველი კაცის ლამის კანში გამჯდარ სუნს. ახსოვს, როგორ იწვა საწოლში საათობით გაშტერებული, ოთახის ჭერზე მზერამიციებული, ან კუთხეში მიკუნტული, თვალზე ცრემლმომდგარი და საკუთარ თავზე ერეოდა გული. გამეტებით ცდილობდა, ძალები შემდეგი ღამისთვის მოეკრიბა, მაგრამ — ამაოდ. რადგან ყოველი ახალი შეხვედრისა და პირველივე შეხებისას ეშინოდა, რომ სადღაც შიგნიდან წამოსულ გულისრევას კაცის ძვირფას პიჯაკზე ამოარწყევდა.

ნიას მხოლოდ ერთი რამ ახსოვდა. რაც უნდა მომხდარიყო, აქაც ბოლომდე უნდა შეესრულებინა საკუთარი — ერთი შეხედვით ნაზი და სურნელოვანი ყვავილის როლი. უნდა გაეძლო! სწორედ ამ დროს დაიწყო საკუთარ თავში ხარშვა და იმ უჩვეულო, ბლანტი, ნარკოტიკული წვენის გამოყოფა. საკუთარი თავისადმი ზიზღისთვის რომ გაეძლო, ეს თავი უნდა დაევიწყებინა. ტრანკვილიზატორების ყლაპვასაც მაშინ შეუდგა. რადგან ამ დროს უკვე სულერთი ხდებოდა, ვინ ულოკავდა სხეულს და მისდა გასაკვირად, ამ ამბიდან თავიდან მცირე და შემდეგ თანდათან მზარდი სიამოვნების მიღებაც ისწავლა. როგორც ჩანს, გამოცდილებამ გაზარდა, დააბრძენა და სექსის, რაღაც გაგებით, უფრო მაღალ საფეხურზეც აიყვანა, როცა უბრალოდ მთლიანად საკუთარი წარმოსახვების ტყვე ხდები, პარტნიორი ეს წარმოსახვებია და არა რომელიმე საძულველი კაცი, ან როცა სწორედ ეს საძულველი და მახინჯი ობიექტი ხდება რაღაც გაუგებარი, ასევე დამახინჯებული და პერვერსიული სიამოვნების წყარო.

საჩუქარი ოცდამერვე დაბადების დღეზე მიიღო. ბედის ირონიით სწორედ იმ ქალაქში, სადაც მსოფლიოს ყველაზე რომანტიკული წყვილი დაიბადა, სადაც კაცი სამსახურებრივი მივლინებით იყო, იტალიური ყავის მწარმოებლებთან მოლაპარაკებებს მართავდა, ხოლო ნია — პატარა ელიტურ სასტუმროში საათობით გამოკეტილი. იმ დილით საუზმობისას, ყავის ნაცვლად შამპანური რომ შეუკვეთა და საკუთარ თავს წარმატებები უსურვა, კიდევ ერთხელ შეაწუხა ბარმენი ბიჭის დაჟინებულმა მზერამ. ნიას ვერ გაერკვია, რა უფრო სჭარბობდა ამ მზერაში — ცნობისმოყვარეობა, ვნება თუ თანაგრძნობა. შამპანურს ორი აბი ვალიუმი დააყოლა და სწორედ ამ დროს დარეკა ერთადერთმა ზარმა — დაბადების დღეს მშობლები ულოცავდნენ, რომელთა მიმართაც ნიას დიდი ხნის წინ დაეკარგა ყოველგვარი კავშირი და ემოცია, მაგრამ მისდა გასაკვირად ამ ზარმა მაინც გაახარა. როგორც დასტურმა, რომ მართლა არსებობს...

კაფიდან ვერონას მზით განათებული ოქროსფერი ხედი ჩანდა, უახლოესი ტაძრიდან ზარის მელოდიური ხმა ისმოდა. ერთმანეთს ჩახუტებული შეყვარებულები ჯულიეტას აივანზე ფოტოებს იღებდნენ, ნია კი მარტოდმარტო იჯდა, გრძელი, გარუჯული ფეხები სკამზე აეკეცა და კარგად ვერ გაეგო, რაში სჭირდებოდა ან ეს სილამაზე ან ეს, ასე სწრაფმავალი ახალგაზრდობა. მზით, შამპანურითა და ვალიუმით გაბრუებულს იქვე ტერასაზე, ბალიშებზე მიწოლილს ჩაეძინა.

ნაშუადღევს მეზობელ მაგიდებთან ჩამომსხდართა სიცილისა და საუბრის ხმამ გააღვიძა, ვიდრე გაარკვევდა, სად იყო, გაკვირვებული და მტრული სახით უცქერდა მხიარულ და უცხო სახეებს. გაღვიძება საშინლად არ ესიამოვნა. ისევ უცნაურ ძილბურანში იყო. თითქმის თვალდახუჭული წალასლასდა ნომრისკენ და შესვლისთანავე საწოლზე გაიშოტა. ალბათ აღარასდროს გაიღვიძებდა, რომ არა შეუსვენლად მოწკრიალე ტელეფონი და მერე უკვე განუწყვეტელი კაკუნი ოთახის კარზე. ცხოვრება თავისას ითხოვდა... და საღამოს რესტორანში ქლოეს ასიმეტრიულ და ზურგმოშიშვლებულ კაბაში გამოწყობილი ისევ კაცის პირისპირ იჯდა და მონდომებით ცდილობდა, მის მიმართ გულწრფელი სიძულვილი დაემალა.

კაცი განსაკუთრებით ყურადღებიანი და ცოტა დაძაბული ჩანდა. მრგვალად დახვეული და ოქროსფერი ლენტით შეკრული ქაღალდიც ასეთივე სახით გადასცა. ეს ტრადიციულ, ჩვეულ საჩუქრებს არ ჰგავდა და ვიდრე ლენტს გახსნიდა და ქაღალდზე დაწერილს წაიკითხავდა, იქამდე მიხვდა, რომ ამჯერად თავისუფლებას ჩუქნიდნენ.

ნია უმადური არ იყო, მაგრამ კაცი შინ დაბრუნებისთანავე მიატოვა. მისი აზრით, ის მიიღო, რაც ორი წლის მანძილზე სამართლიანად დაიმსახურა. ამ ურთიერთობამ ორივეს ის მისცა, რაც ერთმანეთისგან სურდათ, ფარდა დაიხურა და ზედმეტი რევერანსები და გამოსამშვიდობებელი საღამოები საჭირო აღარ იყო. ამიტომ აღარც მის სატელეფონო ზარებზე უპასუხია, არც ფოსტაზე მოსულ წერილებზე. უბრალოდ და მარტივად გაქრა კაცის ცხოვრებიდან. ბუნებრივია, არც საკუთარ პასუხისმგებლობასა და იმ ილუზიაზე უფიქრია, რომელსაც კაცს ამ ხნის მანძილზე მონდომებით უქმნიდა. ილუზიაზე, რომელსაც ზოგი სიყვარულს არქმევს, ზოგი — ვნებას, ზოგსაც — მარტოობისა თუ საკუთარი თავის დასავიწყებლად სჭირდება... ან რატომ უნდა ეფიქრა? კაცს ცოლი და სამი შვილი ჰყავდა. ყოველთვის შეეძლო, ახალი, ლამაზი საყვარელი ეპოვა და საკუთარი გავლენისა და ფინანსების წყალობით ნებისმიერ, მისთვის სასურველ ილუზიასაც სიხარულით შეუქმნიდნენ.

ამაზე მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ დაფიქრდა. დეკემბრის ცივი თოვლიანი საღამო იყო. წინა დღით პირველი თოვლი მოვიდა და თოვა არც მეორე დღეს შეწყვეტილა. შებნელებულზე, მანქანის ფარების შუქზე, რამდენჯერმე მოეჩვენა, რომ მიწაზე თეთრი კი არა, ჭუჭყისგან განაცრისფერებული ფიფქები ცვიოდა. სახლში შესულმა, რადგან სიბნელისა და სიჩუმის შიში ბავშვობიდან გამოჰყოლოდა, სინათლე ყველა ოთახში აანთო და ტელევიზორი ჩართო. აბაზანაში წყალი მოუშვა და ტანსაცმლის გახდას შეუდგა. თავი სვიტერის საყელოში ჰქონდა გაყოფილი, კაცის სახელი რომ მოესმა. თავი გამოაძრო და ტელევიზორის ეკრანს მიაჩერდა. კაცს წინა ღამით თავი მოეკლა და სამართალდამცავები თვითმკვლელობის მიზეზის დადგენას ცდილობდნენ. ეკრანზე კაცის ფოტო ჩანდა. ფოტოსურათიდან ისე გულდაწყვეტილი უცქერდა, რომ ნიას შერცხვა და მუხლებზე დადებული სვიტერი უნებლიედ შიშველ მკერდზე აიფარა.

მაგრამ ეს წამით. ან რატომ უნდა ეფიქრა, რომ ამ ტრაგედიაში რამე ბრალი მიუძღოდა? კაცს უამრავი პრობლემა შეიძლება ჰქონოდა. ფინანსური, ოჯახური, პოლიტიკურიც კი. ასეთ ტიპებს ხომ ათასი თვალი დაჰყვება და ათასგვარ კომპრომატსაც უქექავენ. ან სულაც ფსიქოლოგიური — ვთქვათ, ცხოვრებისადმი გამქრალი ინტერესი ან გარდამავალი ასაკის კრიზისი. ამეებს უკვე აბაზანაში ჩაწოლილი ფიქრობდა, ქაფში გახვეულ საკუთარ დიდებულ მკერდს რომ უცქერდა... გაახსენდა, როგორ უყვარდა კაცს ამ მკერდის ცქერა. ძუძუსთავების ენით წვალება და უსასრულო, დაუღალავი ალ-

ერსი. ცივად გააჟრჟოლა და სადღაც გულის სიღრმეში იგრძნო, რომ უხარია. უხარია, რომ კაცი ცოცხლებში აღარ არის და ვეღარასდროს შეეხება.

ქაფიანი წყალი შემთხვევით გახსენებულ ცოდვასავით გულმოდგინედ ჩამოირეცხა. კიდევ რამდენიმე წუთი იდგა შხაპქვეშ მაგრად თვალდახუჭული და აბაზანის დაორთქლილ კედელზე ხელისგულებით მიყრდნობილი. ისე, თითქოს ზამთრის ცივი ღამეებისგან დასუსტებულ მცენარე სხეულს ახალი ძალითა და სითხით ივსებდა. ფანჯარაში ღამის სიბნელისგან თუ მიწის ჭუჭყისგან გამუქებული ფიფქები ცვიოდა. მოპირდაპირე სახლში ვიღაც მურნაოს ფილმებს უყურებდა და კინოს შავ-თეთრი კადრები ნიას სახლის ცარიელ ოთახებში სევდიანად ირეკლებოდა. აბაზანის ცხელ ორთქლში გახვეული ნია კი ძველი და დაღლილი სხეულიდან ახალი და უცოდველი ყლორტების ამოზრდას ელოდებოდა.

2.
NPAS 4

ნია მანქანას მრავალსართულიანი კორპუსებით გარშემორტყმულ ეზოში აჩერებს. აქ, ერთ-ერთი კორპუსის მესამე სართულზე მისი ბავშვობის სახლია. როდესაც მშობლები ჩხუბობდნენ, ნია ამ ეზოში ჩამოდიოდა და წვიმის დროს სადარბაზოს კიბეებზე, დარიან ამინდებში კი წაბლის ხეებქვეშ ლურჯად შეღებილ სკამზე იჯდა. წაბლის ხეები ისევ დგას, იმ ლურჯი სკამის ნაცვლად კი ახლა პატარა საბავშვო მოედანია, ფერადი საქანელებითა და ხის აიწონა-დაიწონათი. ალბათ ახლაც ხშირად ჩხუბობენ მშობლები და დედის ხმა მესამე სართულის ოთხოთახიანი ბინიდან ისევ ისე მჭახედ ისმის, თუმცა ნიას ეს აღარ აღელვებს. შესაძლოა, არც ბავშვობაში აღელვებდა და დედ-მამის მრავალრიცხოვანი უთანხმოებანი სახლიდან გაქცევისა და დიდობანას თამაშისთვის ზედგამოჭრილი მიზეზი იყო. უცნაურია, მაგრამ ნია ახლა მადლიერია მათი. რადგან სჯერა, რომ სწორედ მათი ეგოიზმის, უყურადღებობის და გულგრილობის გამო გაიზარდა ასეთი — ძლიერი, მოქნილი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული. მადლიერია, რომ არავის უკვებია უსარგებლო ილუზიებით, არ გამოუტენია თავი ტკბილი და მატყუარა ზღაპრებით. მარტოობაც ბავშვობიდანვე ისწავლა და სადარბაზოს ცივ კიბეებზე ჩამომჯდარმა ცხოვრება სწორედ ისეთი დაინახა, როგორიც სინამდვილეში არის და არა ისეთი, როგორიც რბილი ვარდისფერი ბალიშებით გაწყობილი საძინებლებიდან ჩანს.

ნია კარზე აკაკუნებს. კარს დედა უღებს. თხელი საზაფხულო კაბა აცვია და ხელში სიგარეტის ანთებული ღერი უჭირავს. „მოდი, საყვარელოო,“ — ამბობს, ტუჩებს სადღაც ყურთან უტკაცუნებს. მერე განზე დგება და სიგარეტიან ხელის თითებს მოცეკვავესავით ფშეკს. თან კმაყოფილი სახით ათვალიერებს ქალიშვილს. ნიას გულში ეცინება იმაზე, რომ დედა გულწრფელად ამაყობს მისით. მომხიბვლელ ახალგაზრდა ქალიშვილთან იდენტიფიცირება დედის უკანასკნელი ნუგეშია. ნია მისი განუხორციელებელი ოცნებების და წარმოსახვების ნათელი ხორცშესხმაა — ლამაზი, ჭკვიანი, მდიდარი... სწორედ ისეთი, როგორც დედას სურდა, თავად ყოფილიყო, მაგრამ ისე აეწყო, რომ ერთი ქონიანი კაცისა და დიასახლისის მოსაწყენი ცხოვრების გარდა არაფერი ერგო.

სასაცილოა, აბა, რა! ნია რომ მისი პირმშო არ იყოს, ლანა აუცილებლად ჩაწვდებოდა ამ ლამაზმანის საეჭვო წარმატების საიდუმლოს და ისიც უცილობლად იქცეოდა უცოდველი ლანას ქვების სამიზნედ. ამ ქვების გროვაში ჩაქოლვას გადარჩენილმა ნიამ ზუსტად იცის, რა სიტყვებით შეამკობდა დედა მას. მაგრამ ნია ახლა და ამ მოცემულობაში ლანას საამაყო ქალიშვილია და ეს, სხვა შემთხვევაში „უკანასკნელი კახპა“ თავაღერილი შედის ლანას არაერთხელ გარემონტებულ-გადახალისებულ მისაღებ ოთახში და ნაირგვარი კერძებით გაწყობილ მაგიდასთან ჯდება.

ბადრიჯანი ნიგვზით, ცეზარი, ვაშლისა და სტაფილოს სალათი, უნაზესი წიწილის ხორცი, ზეთისხილით გარშემორტყმული შემწვარი თევზი. „ესეც მოცარელაააა,“ — დედის გადაპრანჭული და არაბუნებრივი ხმა ჩაესმის ნიას და ხედავს, როგორ აწვდის სტუმრებს ნაირგვარი სახეობის ყველით სავსე ლანგარს. დედას მოსწონს ის, რომ ტრადიციულ კერძებთან ერთად მის სუფრაზე ამდენი დელიკატესია, თითოეულ მათგანზე განსაკუთრებული მოწიწებით საუბრობს. იქვე აკონკრეტებს, რამდენი გადაიხადა კალმარებში, რა დაუჯდა იაპონურ რესტორანში შეკვეთილი სუში და საკუთარი თავის თავადვე შურს. მამას უხერხულად ეღიმება და ჭიქებში ღვინოს ასხამს, დედის მეგობარ ქალებს მადა უათკეცდებათ.

ნიას დედის მეგობარი ქალების უმეტესობა ბავშვობიდან ახსოვს. ეჩვენება, რომ ისინი წლებია, რაც აქ არიან ჩადგმულნი — მისაღები ოთახის მრავალწლოვანი პალმებივით. დედის მიერ მოგვიანებით დამეგობრებული რამდენიმე ქალია მერე ახალი ქოთანივით შემოტანილ-შემომატებული. ყველა სხვადასხვანაირია და ამავე დროს ყველას აქვს რაღაც საერთო. ეს ალბათ სახეზე მიკრული გამორჩეულობის და უნიკალურობის იარლიყია. გამომეტყველება, რომ მათ გარეშე ვერ იარსებებდა სამყარო. ვერ იტრიალებდა დედამიწა. და ის, რომ ახლა აქ სხედან, თავიანთ ძვირფას დროს თმობენ და განუმეორებელ სხეულს კვებავენ, უდიდესი პატივია. რა თქმა უნდა, ყველა ერთხმად ლაპარაკობს და ყველაზე მნიშვნელოვანს სწორედ თავად ამბობს. ყვებიან მხოლოდ საკუთარ ამბებს მხოლოდ საკუთარ თავზე. და თუ რომელიმე წამით ჩუმდება, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვის მიერ წამოჭრილი თემა აიტაცოს, გადაფაროს და უფრო მნიშვნელოვანი და ათგზის აღმატებული მოყვეს.

ერთმანეთს გვანან, მაგრამ მაინც არიან უპირატესნი. მაგალითად, ქეთა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო მკერდი აქვს იმხელა, რამდენიც დანარჩენ ხუთს ერთად აღებულს. ნიას ეჩვენება, რომ ქეთას შავი, ტანზე მოკრული კაბიდან სანახევროდ ამომხტარი უზარმაზარი თეთრი ძუძუები ნახევარ ოთახს იკავებენ და გააჩნიათ ტენდენცია, ზღაპარში მოდუღებული ფაფის მსგავსად გაიზარდონ, აფუვდნენ, გადალახონ ყველა საზღვარი, გადმოვიდნენ და მთელს სახლში, მთელს ქალაქში გაბატონდნენ. რაც მთავარია, ქეთა განსაკუთრებულია თავისი ტრაგიკული წარსულით. ქეთა მგლოვიარეა. უკვე 15 წელია. და ხშირ შემთხვევაში შავი კაბებიც მას შემდეგ აცვია, რაც შვილი დაეღუპა. ტბაში დაიხრჩო. ნიას ცუდად დავიწყებული სიზმარივით ახსოვს ის პატარა ქერათმიანი გოგო. ტბა. წყალზე მოტივტივე ვარდისფერი ფეხსაცმელი.

მძულს ეს ქალები, მძულს ეს სახლი, მძულს ადამიანები, — ფიქრობს ნია.

სასადილო ოთახში დათუნა შემოდის. ნიას უმცროსი ძმა — უსალმო, ვიწრო მხრებში თავჩარგული. სათვალის შუშებით დაცულ მზერას ავლებს ოთახს და მაგიდიდან ღვინით სავსე ჭიქას იღებს. სახის ნაზი ნაკვთები და აჩეჩილი თმა სუსტი, ჯერ კიდევ დაუსრულებელი მოზარდის იერს აძლევს. სახელიც ბავშვობის კნინობითი შემორჩენია... ჯინსის შარვალი და თეთრი მაისური აცვია. მაისურზე მუშტად შეკრული ძლიერი ხელია დახატული და „No Pasaran!“ აწერია. ეს მრისხანე მუშტი და დათუნას სისუსტე ერთმანეთს ვერაფრით ეთავსება. დათუნაც მცენარეა, — ფიქრობს ნია, — დიდი ჩრდილის წრეში გაზრდილი სახლის კედლის კუთხეებს აყოლილი ფერმკთალი სურო, რომელიც მუდმივად კაშკაშა სინათლის მოსვლას ელოდება.

— დაჯექი და ისადილე, დათუნა, — თხოვს დედა. თხოვნით კილოში ისევე იგრძნობა ფარული მუქარა, როგორც შვილის დანაყრების სურვილში სტუმრების პატივისცემისა თუ სხვა სოციალურ-სტუმართ-მოყვარული მოტივები, მაგრამ დათუნა ყურსაც არ აბარტყუნებს, ღვინის ჭიქას უსიტყვოდ ცლის, ახალს იღებს და ოთახიდან გადის. ნიას აზრით, დათუნას მასზე მეტად სძულს ეს სახლი. სძულს მშობლები. ისეთი მონდომებით, როგორი მონდომებითაც ბავშვობაში კომპიუტერული თამაშების ყველა ტურს ხურავდა. მაგრამ რატომღაც ასეა. ყველაზე დიდი მეამბოხეებიც კი საბოლოოდ იქ რჩებიან და ყველაზე მეტად იმათ ემსგავსებიან, რასაც და ვისაც მთელი ცხოვრება უპირისპირდებოდნენ.

დათუნა თავის ოთახში შედის, ჭიქას კომპიუტერის გვერდით დგამს და მონიტორზე ანთებულ რაღაც სქემას აშტერდება. სქემა კი არა ადამიანის ტვინის დიაგრამაა, სადაც მეხსიერების უბნებია მონიშნული. დათუნა ახალ პროექტზე მუშაობს. ეს მისი პროექტია, რომელიც ჯერ არც ერთ ექიმსა და მეცნიერს აზრადაც არ მოსვლია, დათუნა ადამიანის გონებას სწავლობს. სწავლობს, რომ მერე გადააკეთოს. ისე მოაწყოს, როგორც საჭიროა. ან სულაც ახალი შექმნას.

მონიტორზე ღია ლურჯ ფერში განათებული და 3D განზომილებაში გამოსახული ტვინი ტრიალებს. დათუნა მარჯვენა და მარცხენა ჰემოსფეროებსა და ნეირონთა მიმოქცევას აკვირდება. „აქ უნდა იყოს Npas 4“, — ფიქრობს და მეხსიერების უბნებს კურსორით აწითლებს. Npas 4 მეხსიერების გენია. ტვინის ის უჯრედები, რომლებიც წარსულის მძიმე ფსიქიკურ ტრავმებს ინახავს, წლების განმავლობაში ჩაკირულ დარდებს, წყენას, ტკივილებს, ყველა იმ უსარგებლო ინფორმაციას, რომელიც არავის არაფერში სჭირდება და თუკი დათუნა მათ დაშლას და გადაკეთებას მოახდენს, ადამიანები ერთხელ და სამუდამოდ დაღწევენ თავს მტკივნეულ და დამთრგუნველ წარსულს.

„აქ არის! აქ ვერ გაივლიან! No Pasaran!“ — ფიქრობს დათუნა და გაწითლებული უბნების გამოსახულებას მაქსიმალურად ზრდის. ცდილობს, ყველაფერი უმცირეს მილიმეტრებში გამოთვალოს. „აი აქ... სწორედ, აი, ამ პატარა საშინელი უჯრედების ბლოკირება უნდა მოვახდინო...“

მუშაობას აწყვეტინებენ. ოთახში ნია შემოდის.

დათუნა ვითომ ვერ ამჩნევს, ისევ თავის საქმეს ჩაღრმავებია. ნია კედელს ეყრდნობა და გამომცდელად უყურებს. „რა ჯანდაბა უნდა?“ — ფიქრობს დათუნა, მაგრამ ისე იქცევა, თითქოს ოთახში ნიას ნაცვლად ღამის ფარვანა შემოფრენილიყოს. შემოფრინდა ფარვანა და ჭერზე დაკიდებულ ჭაღს ან რომელიმე მანათობელ ნათურას უტრიალებს. მასთან რა საქმე აქვს...

მაგრამ დრო გადის, ნია ფეხს არ იცვლის, თვალს არ აშორებს და დათუნას ეს გალიანოს შავ-ყვითელ კაბაში გამოწყობილი, გრძელთმიანი და სურნელოვანი და-ფარვანა უკვე ძალიან აღიზიანებს. ძნელია, ნიას არსებობა არ შეიმჩნიო. ეს თვით დათუნასაც კი უჭირს და თავს მაღლა წევს:

— რა გინდა? — ცრის კბილებში და ზედა ტუჩის ნერვულ თამაშზე ეტყობა, როგორ ეზიზღება ყველა, ვინც კი მის ტერიტორიულ სივრცეს და სიმშვიდეს დაარღვევს. აი, ნია კი ყოველთვის გამორჩეულად სძულდა. დათუნას ნიას სიძულვილის გაუცნობიერებელი, მაგრამ ამავე დროს სრულიად სამართლიანი მიზეზები გააჩნია. დამ წინაპრების გენეტიკიდან ყველაფერი საუკეთესო მიითვისა, ყველაფერი წაიღო და უმცროს ძმას აღარაფერი დაუტოვა, გარდა იმისა, რომ გენეტიკური ნარჩენების გროვიდან პატარა, საცოდავ კაცუნად ამოზრდილიყო.

— არაფერი... რას აკეთებ? — ჩერჩეტი გოგოსავით ეკითხება ნია, ოდნავ იხრება წინ და სამუშაო მაგიდას ლამაზი მოვლილი თითებით მსუბუქად ეყრდნობა. ისე, თითქოს კომპიუტერში ჩაჭყიტვა სურს.

ესღა აკლდა. დათუნა ახლა ჯავშანში შემალულ კუს ემსგავსება და ეკრანსაც უმალ აბნელებს. ეს რას გაიგებს, მაგრამ მაინც...

— რაღაც პროექტზე ვმუშაობ. შენ მაინც ვერ გაიგებ, — აგდებით პასუხობს და ჭიქაში ჩარჩენილ ღვინოს ცლის, — გადი რა, მაცადე!

ნიას ტუჩებზე ირონიული ღიმილი დათამაშებს. დათუნას ბეჭებში მოხრილ, სუსტ მხრებს, დაუვარცხნელ თმას და ბეცი თვალებს აკვირდება და გაბრაზების ნაცვლად გული უჩუყდება. გრძნობს, რომ ეცოდება სახლში გამოკეტილი ავადმყოფი ძმა, რომელმაც რეალობის ნაცვლად ლანდებისა და წარმოსახვების სამყარო აირჩია, რომელსაც მისგან განსხვავებით ამ ცხოვრებისგან არაფერი რგებია. სექტემბერში ოცდაშვიდი წლის ხდება და

ალბათ ჯერ ქალთანაც არ ყოფილა.

— მომისმინე. რაღაც მინდა გითხრა.

გაბეზრებული დათუნა ოხრავს. თავს მაღლა წევს:

— გისმენ!

— ერთ თვეში ხომ დაბადების დღე გაქვს?

— მაქვს. მერე?

— მერე, არ გინდა, რამე გაჩუქო?

— შეენ?! რა უნდა მაჩუქო?

— გინდა, სადმე წადი დასასვენებლად და იქ იმუშავე. ან იქნებ ფული გჭირდება მაგ შენი პროექტის და კვლევებისთვის.

დათუნას სახე ეცვლება და ნიას გაკვირვებული უცქერის. რამ წამოუარა? როდის მერე გახდა ასე კეთილი? საინტერესოა, რა ჩაიფიქრა.

— ჰო. რა იყო. დაბადების დღე გაქვს და გაჩუქებდი რამეს.

— მართლა? — დათუნას ახლა მართლა ძალიან სჭირდება ფული. ლაბორატორიის მოსაწყობი ფული უნდა, ელექტროშოკის აპარატი, ვირთაგვები. კიდევ ათასი რამე.

— ჰო, მართლა, მართლა. ფული მაქვს და მოგცემ. იქნებ მართლა გამოგივიდეს რამე, ჰა? და თუ გამოგივა, მერე ტიტრებში სადმე მიმაწერე.

მაინც რა იდიოტია ეს ნია. მეცნიერება კინო ხომ არ ჰგონია.

— მოკლედ, ახლა თუ არ იცი, რამდენი გინდა, ჩამოყალიბდი, დაითვალე და მერე მითხარი. კარგი?

— კარგი.

ნია ოთახიდან გადის. დათუნა ერთხანს მის უკან გახურულ კარს უყურებს, უყურებს... მერე მზერა კომპიუტერის მონიტორზე გადააქვს. ნეტა, მართლა ექნება ფული? რადგან უთხრა, ექნება. საშინელი გოგოა, ალქაჯია, მაგრამ მოტყუებით არასდროს მოუტყუებია. მას კი არა, რაც გაიზარდა, მშობლებსაც აღარ ატყუებს. ჰკიდია. მოკლედ, ერთ თვეში. დაბადების დღეზე. მაგარია! და რამდენი დასჭირდება ლაბორატორიას? მედიკამენტის დასამზადებელი ინგრედიენტები ძვირი ღირს. მღრღნელებისთვის სპეციალური გალიებიც შესაძენია. დათუნას გონება გამალებით თვლის საჭირო ხარჯებს, გული უჩქარდება და ცხოვრებაში პირველად უჩნდება უცნაური შეგრძნება. ეს შეგრძნება რაღაცით წააგავს რეალობასთან, ნამდვილ საქმესთან შეხებას, ოცნების ასრულებას. მზეში გასვლას. სიცხადეს.

დათუნას ეს შეგრძნება შორეულ წარსულსაც ახსენებს. სკოლა. დაწყებითი კლასები. საახალწლო საღამო, ლექსის თქმისას მისკენ მიპყრობილი ათობით უც-

დასასრული მე-15 გვერდზე

შემოდგომის პირველი ლიტერატურული თვე

მწერალთა სახლში შემოდგომა პოეზიით, მწერალთა შემოქმედებითი საღამოებით, ლიტერატურაზე საუბრებით, ახალი წიგნების წარდგინებითა და მკითხველთან შეხვედრებით დაიწყო. სასახლე ხალხით გადაიჭედა. დღეში რამდენიმე ღონისძიება იმართება. მშვიდი ზაფხულის შემდეგ განახლებულ კულტურულ ცხოვრებას დღეიდან „ლიტერატურული გაზეთიც“ გააშუქებს.

* * *

„ჩვენთვის დიდი პატივია, რომ სწორედ მწერალთა სახლში მოისურვეთ, თქვენი რჩეულის პრეზენტაცია გამართულიყო“, — მიმართა პოეტს, მთარგმნელსა და ესეისტ გივი ალხაზიშვილს მწერალთა სახლის დირექტორმა ნატა ლომოურმა. ასე გაიხსნა საღამო, რომელიც შემოქმედის ახალი წიგნის — „შენ ცოცხლობ ჩემში“ — გამოსვლას მიეძღვნა. საღამოს წამყვანმა, ახალგაზრდა პოეტმა კატო ჯავახიშვილმა წიგნი რჩეულად მოიხსენია, თუმცა თავად ბატონი გივი საკუთარ წიგნს ასე აფასებს — ყველა პოეტური წიგნიდან, რაც დღემდე გამომიცია, შევადგინე შემაჯამებელი კრებული, სადაც მკაფიოდ ჩანს რჩეულის კონტური. მწერალმა რჩეულის გამოცემა სამომავლოდ გადადო — იმ დროისთვის, როცა „ღვთის შეწევნით, სხვა წიგნებსაც გამოსცემს და არჩევანის მეტი საშუალება ექნება“.

„შენ ცოცხლობ ჩემში“ ახალი, გამოუქვეყნებელი ლექსებით იწყება, შარშან გამოცემული „ეპისტოლეთა წიგნით“ გრძელდება და ავტორის პირველი კრებულით სრულდება. იმ საღამოსაც დამსწრე საზოგადოებამ მწერლის 2013-1972 წლების შემოქმედებას გადაავლო თვალი და „აწმყოდან წარსულისკენ“ გაიხედა, რათა უკეთ დაენახა „განლილი გზა, სტილისტური, მსოფლმხედველობრივი თუ ფორმალისტური გრადაცია და შემოქმედების დინამიკა“.

წიგნი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, გამომცემლობა „საუნჯემ“ გამოსცა. წინათქმა ზაზა შათირიშვილს ეკუთვნის.

საღამოს სისავსე შემატეს ყველასთვის სასურველმა სტუმრებმა — ტარიელ ჭანტურიამ და ვახტან ჯავახაძემ. „თანამედროვე, ძალიან თანამედროვე პოეტი“— ასე უწოდა ბატონმა ვახტანგმა გივი ალხაზიშვილს — შემოქმედს, რომელმაც დიდი ხნის წინ დაწყებულ დავას ვერლიბრისა და რითმიანი ლექსების მომხრეებს შორის გონივრულად, მოხერხებულად აუქცია გვერდი და შექმნა პოეზია, რომელშიც ვერლიბრი და რითმიანი ლექსი ოსტატურადაა შერწყმული, შეზავებული. „ასეთი ლექსები, შეიძლება, სხვა პოეტებთანაც ეპიზოდურად ვიპოვოთ, მაგრამ გივი ალხაზიშვილთან ამას სისტემატური ხასიათი აქვს და ეს არა მარტო მისი შემოქმედების, არამედ XX საუკუნის პოეზიის მიღწევაც არის“, — დასძინა ბატონმა ვახტანგმა.

ბატონმა ტარიელმა გივი ალხაზიშვილის შემოქმედებითი გზის დასაწყისი, პოეზიაში გადადგმული მისი პირველი „დიდი ნაბიჯები“ გაიხსენა. პოეტის შემოქმედებაზე ისაუბრა და ბოლოს „მიგვაყენა“ იმ საზღვარს, ბორხესი მწერლის უკვდავებას რომ ეძახის. უკვდავებას, რომელიც ზოგიერთი შემოქმედის შემთხვევაში ათასწლეული გრძელდება, ზოგისა კი გაცილებით ხანმოკლეა. ზედმეტს არაფერს ვიტყვიო, — დასძინა, — მთავარია, გივი ალხაზიშვილი დღევანდელი, ცოცხალი ლიტერატურული პროცესის აქტიური მონაწილე და შემოქმედია, ის ჩემი საყვარელი პოეტი, მთარგმნელი და ესეისტია, დანარჩენს კი ცხოვრება გვიჩვენებსო.

* * *

ორი დღის შემდეგ იმავე დარბაზში ლექსები ბელორუსულ, უკრაინულ, ლიტვურ და ქართულ ენებზე გაჟღერდა. ეს ერთგვარი შეჯამება გახლდათ პროექტისა სახელწოდებით „საერთაშორისო მთარგმნელობითი მასტერკლასი პოეზიაში“, რომლის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს პენ-კლუბი (შოთა იათაშვილი, გაგა ნახუცრიშვილი, დავით რობაქიძე, ცირა ბარბაქაძე) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ოთხდღიან მასტერკლასში ოთხი ქვეყნის პოეტები მონაწილეობდნენ. საღამოს ცხრა საათზე ისინი მწერალთა სახლში ცინცხალი ბათუმური შთაბეჭდილებებითა და თარგმანებით შეიკრიბნენ. გაგა ნახუცრიშვილმა, ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და საღამოს წამყვანმა, დროა დავიწყოთო, დარბაზში მიგვიპატიჟა. მოკლედ გვიამბო ამ პოეტურ ერთობაზე და პირველი გამომსვლელიც მიიწვია მიკროფონთან. ეს ბელორუსი ავტორი ვლადიმერ ორლოვი იყო, რომელმაც სიტყვა ქართულ-ბელორუსული ისტორიულ-კულტურული კავშირების გახსენებით დაიწყო. ამ ისტორიულმა, ძალზე სიმბოლურმა ექსკურსმა თითქოს გააცოცხლა XIX-XX საუკუნეების სევდიანი თავგადასავალი, ოთხ პოსტსაბჭოთა ქვეყანას რომ აერთიანებს. გაგვახსენა საერთო დამპყრობლისგან დევნილი, გადასახლებული და იქ, უცხოობაში დამეგობრებული მწერლები. ამგვარმა ურთიერთობებმა, გარკვეულწილად, ალბათ ჩაუყარა კიდეც საფუძველი დღევანდელ პოეტურ ერთობას. უკვალოდ არ გაქრებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გიორგი ერისთავის მეგობრობა თაოდეოს ზაბლოტსკისთან, რომელიც მეფის რუსეთთან დაპირისპირების გამო საქართველოს მოქმედ არმიაში „იხდიდა სასჯელს“ და როცა ჯერ ისევ „კატორღაში“ იმყოფებოდა, ქართველმა პოეტებმა მისი ლექსების კრებულები პეტერბურგსა და პარიზში გამოსცეს.

ოთხი ქვეყნის პოეტთა გამაერთიანებელი პროექტიც, ალბათ, სწორედ მწერალთა სახლში უნდა დაგვირგვინებულიყო, სწორედ აქ უნდა წაეკითხათ ბელორუსულ და ქართულ ენებზე გალაკტიონის „ლურჯი ხომალდი“ ანდრეი ხადამოვიჩსა და შოთა იათაშვილს, რასაც ნიკა ჯორჯანელის, გაგა ნახუცრიშვილის, დავით რობაქიძის, გიორგი შონიას, ლაშა ჯაიანის, ალესია ბაშარიმოვას, ანდრეი ადამოვიჩის, ათანას იონინასის, დონატეს პეტროსიუსის, ბერუტე იონუსკაიტეს, მიხაილო მალკუშის, ოლენა გერასიმიუკისა და სხვათა ლექსები მოყვა. საღამო ტრადიციული დაჭაშნიკებით დასრულდა. პროექტი კი გრძელდება — მისი მონაწილენი მალე შემოგვთავაზებენ ალმანახს, რომელიც საქართველოში ყოფნისას თარგმნილ ლექსებს გააერთიანებს.

* * *

მწერალთა სახლში სექტემბერი ჰაინრიხ ბიოლის ფონდის პროექტით — „50 ქალი საქართველოდან“ — დასრულდა. პროექტის განხორციელება ფონდმა რამდენიმე ხნის წინ დაიწყო. საქართველოს სხვადასხვა ქალაქი საგანმანათლებლო-სალექციო კურსით მოიარა, ხოლო დედაქალაქში, მწერალთა სახლში, გამართა საღამო სახელწოდებით „ორმოცდაათი ფემინისტის მანიფესტი“. ფონდის თანამშრომლებმა საზოგადოებას წარუდგინეს ძალზე საინტერესო წიგნი-ალბომი — XIX-XX საუკუნეებში მოღვაწე ქართველი მანდილოსნების — მხატვრების, მსახიობების, მწერლების, რეჟისორების, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლების ფოტო-სურათები, რომელსაც მოკლე ბიოგრაფიები ერთვის თან. ალბომზე ათი მკვლევარი მუშაობდა, ცხრა ქალი და ერთი მამაკაცი — ირაკლი ხვადაგიანი. მათი მიზანი იყო, საზოგადოებისთვის გაეხსენებინათ ის ქალბატონები — ცნობილი, შედარებით ცნობილი და ნაკლებად ცნობილი მოღვაწეები — რომელთაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის განვითარებაში.

რატომ ფემინისტები? უხერხული ხომ არ არის, ფემინისტები უწოდო ქალბატონებს, რომელთა უმრავლესობას, შესაძლოა, ამ მოძრაობის თეორიულ საფუძვლებზეც კი არ ჰქონდათ წარმოდგენა? — ეს კითხვა, ალბათ, დარბაზში შეკრებილი სტუმრებიდან ბევრს გაუჩნდებოდა, თუმცა პროექტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა თავიდანვე განმარტა: „მივიჩნიეთ, რომ ეს ჩვენი შთაგონებისა და, გარკვეულწილად, პროვოკაციის მაჩვენებელი იქნებოდა. ჩვენ ამ ქალებს ვაფასებთ იმ დამსახურების მიხედვით, რომელიც მათ საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის წინაშე მიუძღვით“.

ძალზე სიმბოლურია, რომ 50 ქართველ ქალს სწორედ მაჩაბლის 13-ში უმასპინძლეს, რადგან ამ ქალბატონებს შორის სასახლის დიასახლისი, დავით სარაჯიშვილის მეუღლე, ეკატერინე ფორაქიშვილიცაა, რომელზეც მწერალთა სახლის დირექტორმა, ნატა ლომოურმა საინტერესოდ ისაუბრა. თბილისელი მდიდარი ვაჭრის ოჯახში დაბადებული ქალბატონი, რომელიც თანამედროვეთა შორის განათლებითა და ევროპული ენების უზადო ცოდნით გამოირჩეოდა, მხარში ედგა მეუღლეს საქველმოქმედო საქმიანობაში, მოთავეობდა მნიშვნელოვან წამოწყებებს და თავად იყო დიდი ქველმოქმედი. სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ კი წარმატებით განკარგავდა მის ბიზნეს-მემკვიდრეობას.

სასიხარულოა, რომ ეკატერინე ფორაქიშვილის საცხოვრებელ სახლში, დღეს უკვე საქართველოს მწერალთა სახლში, სარესტავრაციო სამუშაოები განახლდა. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს ვერანდის რესტავრაცია. სულ მალე დიმიტრი ერმაკოვის საარქივო ფოტომასალაზე დაყრდნობით სასახლის ვერანდა, წყარო და ხის პატარა ფანჩატური თავის პირვანდელ სახეს დაიბრუნებს. გარემონტდება სარდაფის ნაწილიც. მანამდე კი მწერალთა სახლი მორიგი ლიტერატურული საღამოების მოლოდინშია.

მოამზადა თამარ ჟურულმა



„საბას“ საზეიმო დაჯილდოვებას აქამდე არასოდეს დავსწრებივარ, თუმცა „რუსთავი 2“-ის საშუალებით ყოველწლიურად ვადევნებ თვალს. პირდაპირი ტრანსლაცია თავისებურად „გადმოსცემს“ ხოლმე ამ მოვლენას, ისეთ დინამიკაში წარმოგიდგენს, იმგვარი სახით გიჩვენებს, ისეთ ფონს გიქმნის, მხოლოდ ამ ჯადოსნურ მანქანას რომ სჩვევია და შენც ტრანსისმაგვარ მდგომარეობაში ზიხარ ეკრანთან (ცხადია, „პირდაპირი“ ყველაზე ასე პირდაპირ არ მოქმედებს) და ფიქრობ, დღესასწაული, რომელიც იქიდან იღვრება, კი არ იღვრება, სახეში რომ გცემს, სწორედ ის არის, რაც იქ, იმ წუთას, სინამდვილეში ხდება. წელს „საბას“ მე თვითონ დავესწარი და სხვა სინამდვილე აღმოვაჩინე.

საღამოს ცხრაა და რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრის შესასვლელთან უკვე ხალხია. პირველად „საბას“ ისტორიაში დაჯილდოვება შემოდგომას იმართება. როგორც საღამოს ერთ-ერთი წამყვანი, რატი ამაღლობელი მოგვიანებით იტყვის, ლიტერატურულ მოსავალს იღებენ. აი, გამოჩნდნენ წლევანდელი „საბას“ ნომინანტებიც, ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან ერთად. ყველას ცენტრალური კარისკენ გვიჭირავს თვალი, რადგან ვიცით, კარი ათის ნახევრისთვის გაიღება. უკვე ფოიეში ვარ და სწრაფი ნაბიჯით მივიწევ დარბაზისკენ, მაგრამ მოსაწვევი არ მაქვს და კარისკაცი, ზემოთ აბრძანდითო, მეუბნება. მეორე სართულის გრძელ აივანზე, რკალივით რომ ერტყმის დარბაზს, სხვადასხვა გამომცემლობის თანამშრომლები ჯგუფ-ჯგუფად სხედან. ისევ მივუყვები კიბეს და აი, უკვე ადგილზე ვარ.

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბა“ 2003 წელს დააფუძნა თიბისი ბანკმა, პენ-ცენტრმა და სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-მა“. დაფუძნა იმ მიზნით, რომ წლის საუკეთესო წიგნები გამოევლინა, შეექმნა ყველანაირი კონიუნქტურისგან თავისუფალი, ლიტერატურული პროცესების მაიმპულსირებელი სივრცე. ამ თერთმეტი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა „საბას“ მესვეურები ცდილობდნენ, არ დაევიწყებინათ ლიტერატურული პრემიის შექმნის მიზანი და თავისი თავისუფლებისა და ღირებულებების ერთგულნი დარჩენილიყვნენ. უმეტესად ახერხებდნენ კიდეც. ამიტომაც „საბა“ დღემდე რჩება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და მასშტაბურ ლიტერატურულ მოვლენად საქართველოში.

„საბასთან“ ერთად, ცხადია, ლიტერატურული ცხოვრება, ლიტერატურული პროცესებიც ვითარდებოდა. ამის დასტურია სწორედ წლევანდელი კონკურსი, რომელზეც უპრეცენდენტოდ დიდი რაოდენობის განაცხადი შევიდა — დაახლოებით 80 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან. ჟიურის თვალწინ საკონკურსო წიგნების ნუსხა სულ უფრო იზრდებოდა. კონკურსის მიმდინარეობისას ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა, რომელიც კოლეგების გარკვეულ მოსაზრებებს არ დაეთანხმა, შემადგენლობა დატოვა და ორას სამოცდა ხუთი წიგნი მხოლოდ ოთხი შემფასებლისთვის გადაიშალა. ამასობაში შემოდგომაც დადგა. წელს, 23 სექტემბერს, ლიტერატურული პრემია „საბას“ ლაურეატები სწორედ ჟიურის წევრებმა დაასახელეს. ესენი იყვნენ: პოეტი და მთარგმნელი გივი შაჰნაზარი, 2007 წლის „საბას“ გამარჯვებული ნომინაციაში წლის საუკეთესო დებიუტი — მთარგმნელი ქეთი ქანთარია, 2010 წლის „საბას“ ლაურეატი ნომინაციაში წლის საუკეთესო თარგმანი — მანანა

„საბა“ მესამე იარუსიდან

ღარიბაშვილი და 2012 წლის საუკეთესო პოეტური კრებულის ავტორი პაატა შამუგია.

ფინალისტი ავტორების ვინაობა ივნისის ბოლოს გახდა ცნობილი და სია თიბისი ბანკის შესაბამის ვებგვერდზეც გამოქვეყნდა.

ახლა ყველანი ჩემს წინ არიან, პარტერის წინა რიგებში სხედან. ელიან. დარწმუნებული ვარ, ნერვიულობენ კიდეც, თუმცა ბევრი მათგანი ამბობს, სულაც არაო. გამარჯვების მოლოდინი შეუძლებელია მძაფრ განცდებთან, ემოციასთან, ხშირ გულისცემასთან არ იყოს დაკავშირებული. მთელი წელი იშრომეს, ერთი კი არა, მრავალი წელია ირჯებიან და აი, 2013-ში საკუთარი გვარები უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მოვლენის შორთლისტში ამოიკითხეს. არაერთი მათგანი უკვე მერამდენედაა ფინალისტებს შორის. ამ ავტორების მოლოდინი ალბათ განსაკუთრებულია. პარტერში მსხდომებს მხოლოდ ზურგიდან ვხედავ, მაგრამ მაინც ვგრძნობ, რას განიცდიან. თურმე როგორი მეტყველი ყოფილა ზურგი და თითები. „პირდაპირი ეთერით“ ამდენს ხომ ვერ დავინახავდი. აქედან კი მთელი დარბაზი ხელისგულივით მოჩანს.

გამომრჩა მეთქვა, რომ თითოეული ფინალისტისთვის კონკურსში გამარჯვებისა თუ პრემიის გარეშე დარჩენის მაცნე, ჟიურის წევრი კი არ არის, არამედ წლის საუკეთესო წიგნი, რომელსაც ყოველი ნომინაციის შემდეგ, ბატონი გივი, ქალბატონი მანანა, ქალბატონი ქეთი და ბატონი პაატა გახსნილი კონვერტებიდან ამოაცურებენ, ზემოთ სწევენ გამარჯვების მაუწყებელი ბაირაღივით და მხოლოდ ამის შემდეგ ასახელებენ ავტორს. საზოგადოების რეაქციით ვხვდები, რომ ზემოთ აწეული წიგნები დარბაზში მსხდომთა უმეტესობას არაფერს ეუბნება, ეს კი ძალიან სამწუხაროა. ისინი გარეკანებს დიდად ვერ ცნობენ და გაფაციცებით ელიან დასახელებას. ამის შემდეგ კი აპლოდისმენტებს არ იშურებენ. თუმცა რამდენიმე ავტორს, მათი გვარების გაჟღერებამდე ტაშით მიულოცა გამარჯვება მკითხველმა.

„საბას,“ თავისი ისტორიის მანძილზე, ერთი და იგივე ავტორების დასახელებაც „სჩვევია“. აკა მორჩილაძეს ხუთჯერ აქვს მიღებული პრემია და ხუთჯერვე — წლის საუკეთესო რომანის ნომინაციაში. ლაშა ბუღაძე, როგორც საუკეთესო პიესის ავტორი, სამჯერ დასახელდა ლაურეატად, ხოლო ერთხელ საუკეთესო რომანისთვის გადაეცა პრემია. ერთზე მეტი „საბა“ არაერთ ქართველ მწერალს, პოეტს, კრიტიკოსს, ესეისტს, მთარგმნელს აქვს მიღებული, წელს მათ რიცხვს სხვა ავტორებიც შეემატნენ.

სცენა ისეა მოწყობილი, თითქოს თერთმეტი წლის განმავლობაში ლიტერატურულ პრემიაზე წარდგენილ ყველა წიგნს აქ მოუყარეს თავი და ჭერამდე აზიდულ „თაროებზე“ გამოფინეს. „თაროებს“ შორის კი ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრი განთავსდა და ნიკოლოზ რაჭველის ხელმძღვანელობით ბიძინა კვერნაძის არაჩვეულებრივ მუსიკას უკრავს. წლევანდელ საბაზე მხოლოდ ბატონი ბიძინას მუსიკა ჟღერს, რადგან 2013 მისი საიუბილეო წელია.

„საბა“ 10 ნომინაციით არის წარმოდგენილი. თავისი ისტორიის მანძილზე კონკურსს არაერთი ნომინაცია შეემატა. მაგალითად, 2011 წელს ლიტერატურული კრიტიკა ცალკე ნომინაციად გამოცხადდა და მისი პირველი ლაურეატები შოთა იათაშვილი და ნუგზარ მუზაშვილი გახდნენ. წელს კონკურსი კიდევ ერთმა, ძალზე საინტერესო ნომინაციამ გაამდიდრა — ქართული ნაწარმოების საუკეთესო თარგმანი, რომლის პირველი ლაურეატი ნათია მიქელაძე გახდა, თამთა მელაშვილის რომანის, „გათვლის“ თარგმნისათვის. თუმცა რიგითობით მივყვეთ:

წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტისთვის პრემია გადეცა მარინე ელბაქიძეს, ავტორს წიგნისა „გაცვლა“.

ნომინაციაში — საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა — ჟიურიმ გამოავლინა „პირველი თანასწორთა შორის“ — ელგუჯა თავბერიძე წიგნისთვის „კოლიმგრაფი“.

ნომინაციაში — ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა — ღირსეულ კონკურენციას გაუძლო გიორგი მაისურაძემ და მისმა წიგნმა „დაკარგული კონტექსტები“. პირველად კონკურსისთვის ჩვეული, აკადემიური მდინარება სწორედ ბატონმა გიორგიმ დაარღვია სამადლობელი სიტყვით: „ლიტერატურას ჯადოქრობა არ შეუძლია, არადა ჩვენს მშვენიერ ქვეყანაში, სადაც სამწუხაროდ, ისეთი კანონი მოქმედებს, რომელსაც მარიხუანას მოწევისთვის ადამიანის ციხეში გასტუმრება და გამომწყვდევა შეუძლია, სადაც პოლიტიკოსები ერთმანეთს წამქეზებლობაში ეჯიბრებიან, სადაც ამბიონებიდან ხშირად სიძულვილი და შეუწყნარებლობა იქადაგება, სადაც 17 მაისს არნახული სისასტიკის მომსწრენი გავხდით, ალბათ ლიტერატურას განსაკუთრებული ადგილი უნდა ეკავოს და განსაკუთრებული ფუნქცია ჰქონდეს. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა იმ ადამიანებს, ვინც ასეთ ვითარებაში მხარს უჭერს ლიტერატურას “.

საუკეთესო ქართულ თარგმანში ცხრა ღირსეულ ნომინანტს შორის გამარჯვებული გივი შაჰნაზარმა გამოაცხადა: „ქართული თარგმანის ნომინაციაში ზღვა მასალა და ერთმანეთზე ნიჭიერად შესრულებული ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, გაგვიძნელდა მათგან საუკეთესოს გამორჩევა... წელს ლიტერატურული პრემია „საბა“ უილიამ ფოლკნერის მთარგმნელმა ზაზა ჭილაძემ დაიმსახურა“.

ალექს ჩიღვინაძე კი წლის საუკეთესო პიესის ავტორად დასახელდა. პიესას სახელწოდებით „ქალაქის მერის ცოლის საყვარელი“ ალბათ მალე ვიხილავთ ქართული თეატრის სცენაზე. ავტორმა მოკლე სიტყვით მიმართა საზოგადოებას: „მხოლოდ ერთს ვიტყვი: ყოველთვის დავწერ იმ ადამიანებისთვის და იმ ადამიანებზე, რომლებსაც ყველაზე მეტად უჭირთ ნებისმიერი მიმართულებით“. მქუხარე აპლოდისმენტებისა და ემოციური შეძახილის გადასაფარად მომღერალ სალომე კორკოტაშვილის გამოსვლა სცენაზე და ბიძინა კვერნაძის სიმღერის „ჩემო პატარას“ შესრულება სწორედ რომ დროული იყო.

ნომინაციაში — საუკეთესო პროზაული კრებული — ღირსეული კონკურენციის პირობებში გაიმარჯვა ირაკლი სამსონაძემ წიგნისთვის „შემკრთალი ქუჩა“. პრემიის გადაცემის შემდეგ, ჟიურის წევრმა გივი შაჰნაზარმა ქართული გამომცემლობების მიერ გაწეული შრომაც არ დაივიწყა და დიდი მალობა გადაუხადა მათ, ვინც წლებია ირჯება ქართული წიგნისა და ლიტერატურის განვითარებისთვის.

შემდგომ ორ ნომინაციას — საუკეთესო პოეტური კრებული და საუკეთესო რომანი — ალბათ განსაკუთრებით ელოდნენ ისინი, ვისაც შესანიშნავ ფინალისტებს შორის საყვარელი ავტორები, ლია სტურუა და ნაირა გელაშვილი ეგულებოდათ. მოლოდინი გაუმართლდათ კიდეც, რადგან ორივე ქალბატონი სცენაზე, „საბათი“ ხელში იხილეს.

ლია სტურუა კრებულისთვის „დავიწყების დღე“ დაჯილდოვდა. ის ერთადერთი იყო წლევანდელ ლაურეატებს შორის, და ვფიქრობ, ზოგადად, „საბას“ ისტორიაშიც, ვინც მადლობით გაიხსენა სულხან საბა ორბელიანი, რომლის სახელსაც ლიტერატურული პრემია ატარებს: „...ჩვენ ძალიან ხშირად ვამბობთ, რომ მშვენიერება გადაარჩენს სამყაროს. სულხან საბამ კი ჯერ კიდევ როდის თქვა, მშვენიერი არს ყოვლის კეთილით შეფერებული, არ დაეზარა მე-17 საუკუნიდან ჩვენთან მოსვლა და ესთეტიკური სათნოების მოტანა, ამიტომ მადლობა სულხან საბას, იქ, მაღლა, მეცხრე ცაზე, სადაც მკვდარი პოეტები ცხოვრობენ“.

ნაირა გელაშვილს „საბა“ რომანისთვის „მე ის ვარ“ გადაეცა. ის იმ ავტორთა შორის იყო, მკითხველმა დასახელებამდე, ჟიურის წევრის მიერ ზემოთ აღმართული წიგნის დანახვისთანავე რომ ამოიცნო. ალბათ ბევრი საღამოს კულმინაციად მწერლის მიერ წარმოთქმულ სიტყვას ჩათვლიდა: „...მინდა, პრემიის ნაწილი ხაიშის საბავშვო ბაღსა და საშუალო სკოლას გადავცე. ცოტა ხნის წინ, სამოქალაქო სა-

→



მოხუცი და სხვა

პაატა შამუგია

მე მეთევზე ვარ
და როგორც კი საღამოვდება,
მოვიგდებ ანკესს გამხმარ ზურგზე
და მივდივარ მდინარის პირას
(ანკესი გრძელი უნდა იყოს,
სიმი კი მძლავრი,
ხომ შეიძლება, რამე დიდსაც გამოჰკრა კავი).
გავმართავ ანკესს,
და სანამ ტივტივა წყალში წრეს მოხაზავს,
„ჩესტერს“ გავუკიდებ რიტუალურად,
სიმი იძაგრება,
ხელის ერთი მარჯვე მოსმა და,
კავს მოჰყვება მოზომილი მეტაფორა,
სხმარტალებს, სხლტება თითებშუა...
შორს ვერ წავა, სანდო ხელშია.
მართალია, წვრილ-წვრილი მეტაფორები ისედაც
საკმარისად დამიგროვდა,
მე უფრო ვეშაპივით შედარებას მოველოდი,
მაგრამ ესეც საქმეა,
მთლად ლიტოტესიც ხომ არაა!
წეროებმა ხმაურით გადაიფრინეს,
მაღლა ფრენენ —
ეს კარგია
და ეს იცის კარგმა მეთევზემ.
თუ წეროები დაბლა უხმაუროდ და სწრაფად დაფრენენ,
ეს ცუდ სათევზაო ამინდს ნიშნავს.
დღეს მიმართლებს.
სალამი, მეგობარო წეროებო.
ბევრი არ აქცევს ყურადღებას ასეთ დეტალებს,
და ეს ცუდია
და ეს არ იცის ცუდმა მეთევზემ.
აი, ახლაც გატოკდა ტივტივა,
სიმი ისე დაიძაგრა,
მგონი, მკვირცხლი ირონია მოვიგდე,
მაგრამ, ბედის ირონიით, ცარიელი ნემსკავი ამომაქვს,
ვერა და ვერ მოვიხელთე,
ხელიდან სხლტება გამუდმებით.
არადა, იცოცხლე, ფასი ადევს ირონიას,
უკეთ იყიდება,
და მე რომ მკითხო, კარგიცაა,
მართალია, ფხიანია,
მაგრამ უფხო ირონია ვის რად უნდა!
არა უშავს, სიმბოლოსაც დავჯერდები,
ოღონდ დროზე შებინდდეს,
ღამით იცის სიმბოლოები — ნასუქები, ნაღდები...
როგორც კი ბნელდება,
ამოდიან ფსკერიდან და ანკესზეც იოლად ეგებიან.
არსად მეჩქარება,
ვიჯდები ჩემი ქვეცნობიერის
ნოტიო ნაპირზე,
გავაბოლებ
და ვიფიქრებ სიმბოლოების უშქარ ლაშქარზე.
მოვლენ, მოვლენ უეჭველად...
მაგრამ როგორ გინდა, სიმბოლოებით არჩინო ოჯახი?
მალე ილევა, ბარაქა არ აქვს,
გამუდმებით უნდა ცვალო,
ეფექტი რომ ჰქონდეს.
ბავშვები შემომღნავიან,
ბოლო მეტაფორა წუხელ გამოხრეს,
სიმბოლო კი სიმბოლურად დილისათვის გადაინახეს.
ცოლიც ბუზღუნებს:
აგერ, შენს კოლეგას ااااامხელა ჰიპერბოლები
დაუჭერია —
ხელით ხაზავს ტრაექტორიას —
მთელი პრესა მასზე წერდა,
ბედნიერი მისი ცოლი!
შენ კი რას მიკეთებ,
ბავშვებს ალეგორიებისგან კუჭი გამოუშრათ
და ძალიან ცუდი კაკაშკები აქვთ,
ექიმმა მეტონიმია დაუნიშნა.
მე უხერხულად ვიმართლებ თავს,
რომ მთავარი ზომა არაა,
რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს,
რომ, ცოტაც დამაცადონ და,
აი, ნახავენ,
აი, ნახავენ,
მეც მოვიხელთებ ზორბა ჰიპერბოლებს,
მხეც მეტაფორებს,
სხარტ ეპითეტებს
და კაი დახლიც დამიდგება,
აი, დამაცადონ...
მდინარე ღუღუნებს, როგორც ჩიტი.
ეს არ არის კარგი შედარება,
ეს საერთოდ არ არის შედარება,
ეს მდინარეა, რომელიც ღუღუნებს, როგორც ჩიტი.
სად არიან თევზები, თევზები სად არიან,
გავალ, გავიხედები...
ანკესს გვერდზე ვდებ,
ვთვლემ და ვისიზმრებ
შორეულ ქვეყნებს
და ლომებს, ნაპირზე რომ გამოდიან.

ბავშვიყლაპია

ეს ლექსი დაიწერა, როცა გოგიტა აბაშიძე შიმშილით გარდაიცვალა. დავწერე და კარგა ხნით დავივიწყე, მეშინოდა, პათეტიკური არ გამოსულიყო. არც შევმცდარვარ – პათეტიკურია. ანუ ისაა, რასაც გამუდმებით გავურბივარ წერის დროს. მაგრამ, ვფიქრობ, არის მომენტები, როცა გარდაუვალია, იყო პათეტიკური. ავტოაპოლოგია გამომივიდა. ზოგჯერ ეგეც გარდაუვალია.

ის (ბავშვი) შიმშილით მოკვდა.
შემასმენელმა შემასმინა, რომ
ერთპირიანი ზმნა ორპირია.
ენობრივი ლოგიკიდან გამომდინარე,
მე ვზივარ ორპირ ქარში
და პირი თოთო ბავშვებით მაქვს სავსე.
ოჯახის ექიმის რეკომენდაციით,
კარგად ვღეჭავ, მადიანად ვტკვირავ ქორფა ძვლებს,
ხორცს ვაგემოვნებ, სასაზე ვიდნობ,
რათა მომნელებელმა სისტემამ საიმედოდ აითვისოს.
ყველაფერი კარგად არის,
ტუჩებზე შერჩენილ ნამცეცებს ვიწმენდ (ჰიგიენა
მნიშვნელოვანია)
და ძვლებს ხმაურით ვაფურთხებ.
კარი გამიღე, სამშობლოვ,
ძუძუებით რძე მომაქვს, პირით – ბავშვები,
შენ კვება გჭირდება,
შენ ავად ხარ!

„საბა“ მესამე იარუსიდან

დასასრული

ზოგადოების ერთმა პატარა ჯგუფმა ამ სოფელს გმირი სოფლის წოდება მივანიჭეთ, რადგან უკვე ოც წელიწადზე მეტია ხაიში კლდესავით დგას. როცა ირგვლივ ამდენმა გაყიდა სულიერი ღირებულება, როცა აღარავის უნდა ეს საქართველო და აქედან გარბის, ამ სოფლის მცხოვრებლებს სთავაზობენ ყველაფერს ადამიანური ღირებულებების, თავინთი საფლავების, ეკლესიების, სავარგულების, სიწმინდეების სანაცვლოდ. ხაიში კი, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული დღემდე, ზეწოლის, გადაბირების, მოსყიდვის, დაშინების მიუხედავად დგას მტკიცედ, მიტოვებული საქართველოსგან, დედაქალაქისგან, მწერლებისგანაც. 2012 წელს საქართველოს პენ-ცენრტმა გამოაქვეყნა მკაცრი საპროტესტო წერილი მაშინდელი ხელისუფლებისადმი, იმ ბარბაროსული პროექტების განხორციელების მცდელობისა და სურვილის გამო, რომელიც დღევანდელ საქართველოში აპოკალიფსურ მასშტაბებს იღებს. თუ ისინი განხორციელდა, მთელი სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი და შემდეგ უკვე სხვა რეგიონებიც კატასტროფის პირას აღმოჩნდება, ათიათასობით ჰექტარი მიწა წყალში ჩაიძირება და ჩვენ შეგვრცხვება, რომ ამ დროს ვცხოვრობდით, მწერლები გვერქვა და პრემიებს ვიღებდით. რად გვინდა პრემია, ტექსტები ან ლიტერატურა თუ ირგვლივ ჩვენს მიწაწყალს, ჩვენს ულამაზეს ბუნებას, რომელსაც უმღერდნენ ილია, ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი წყალი დაფარავს და ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს საცხოვრისი აღარ ექნებათ? ისე როგორც რამდენიმე დღის წინ, ახლაც მოგიწოდებთ მწერლებს ხმა აიმაღლოთ და ჩვენს პროტესტს შემოუერთდეთ. მწამს, ამას გააკეთებთ. დიდი მადლობა“.

„საბა“ ტრადიციულად დაგვირგვინდა. „თიბისი ბანკის ხელმძღვანელმა მამუკა ხაზარაძემ ვახტან ჭელიძის, ბაჩანა ბრეგვაძის, ოთარ ჩხეიძის, ანა კალანდაძის, თამაზ ჩხენკელის, ვახუშტი კოტეტიშვილის, ჭაბუა ამირეჯიბის, გურამ დოჩანაშვილის, ვახტანგ ჯავახაძისა და რეზო ჭეიშვილის შემდეგ, ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ლიტერატორი, მთარგმნელი ზურაბ კიკნაძე დაჯილდოვა. ბატონმა მამუკამ თავისი სიტყვა მადლობით დაიწყო. მეც ასე დავასრულებ. განსაკუთრებულ მადლობას ვეტყვი ჟიურის უხუცეს წევრს, ბატონ გივი შაჰნაზარს, რომელმაც საოცრად საინტერესო კომენტარებით, გამარჯვებულებისა და მათი ტექსტებისადმი დამოკიდებულებით, პრემიების გარეშე დარჩენილ ფინალისტებზე საუბრით, მათი საკონკურსო წიგნების მიმოხილვით სხვა სახე შესძინა ამ მოვლენას, კიდევ უფრო გააცოცხლა, გაამდიდრა და გაათბო საღამო. მესამე იარუსიდან ასე დავინახე. თუმცა, ვინაიდან ყველაფერი მაინც ინდივიდუალურად აღიქმება, იმ საღამოს ალბათ ყველამ „თავის“ „საბას“ უცქირა.

მოამზადა ***თამარ ჟურულმა***

ზაზა ბიბილაშვილი

გამოცხადება

თითქოს სულაც არ არსებობდე,
ამდენ ფოთოლს ქარი ბერტყავდეს,
ამდენ თმას — წლები,
ტაძრის შენება ტაძრობანას თამაში იყოს,
იქ სიარული — შესვენება
მობეზრებულ ცოდვათა შორის...

მაგრამ მე გიცნობ.

მე დაგინახე მიწისძვრისას
სხვების თვალებში და ჩემს გულში.

მე დავინახე, როგორი ხარ:
დიადი და ძლევამოსილი —
როგორც ხავსი,
სასოწარკვეთის მდინარეში
უკაცური და უდაბური ნაპირიდან
ჩაკიდებული.

* * *
წაშალა ღამემ სოფელი —
დაიწუნა,
რაც სოფლის მანათობელი
გაიწურა.

ბნელს მთვარე ისე მოუხდა,
მოეწონა —
უდედო თიკანს მოუნდა,
მოეწოვა.

* * *
ისევ ჩართო
მზემ
აისის ვიდეო,

მთვარეს უთხრა,
ჩადი —
ამოვიდეო,

თუმცა მერე
ესეც აღარ აცალა —

ღამის ჯამი
მთვარიანად
დაცალა.

ვუდუმისტერია

სდის უჩინარი სისხლი
საწოლ-საკიდარ-სავარძლებს.
აქ ვეღარაფრით იხსნი —
იკვლება, სადაც წავასწრებ.

არ მოსწრებია ტროა
და ვატერლოოს ველობი:
ყოველი წამი დროა
ახალთახალი მკვლელობის.

ან თავის ქალას ვუფშვნი,
ან დანა უნდა გავჩარო...
არა — ბარში ან კლუბში,
განა — გარეთ და საჯაროდ —

სასაკლაოა სადა —
ხრუშჩოვკის გვამი წყეული.
როგორც გუდაში კატა,
ისე მყავს გამომწყვდეული.

გარაზულია კარი,
ამოქოლილი — ფანჯარა.
მიდი — ჰკალი და ჰკალი,
ნება-ნება ან ჩქარ-ჩქარა —

ამ კედლებსა და ამ ჭერს
ვერ გაექცეს და, ამავ დროს,
ნაკლავიც აქვე დარჩეს —
ლპობის სურნელით დამათროს.

ვიქნევ, ვაძგერებ, ვისვრი —
რომ ელავდეს და ღელავდეს
უჩინმაჩინი სისხლი
კოჭებამდე ან ყელამდე.

...
ასე, ასი წლის მიღმაც
ამას ვლამობდი ამაოდ —
ვიდრე მეტყოდა ვიღაც —
ლეღვის გეყოფა ჭამაო;

აკი ჯახირი ამის
შენც უკვე ყელში ამოგდის —
რაკი გამოგდის ლამის
და არა და არ გამოგდის —

დღემდე ვერაფრით ჰქენი,
რასაც ყმაწვილიც ელტვოდი —
ანუ საქმეა შენი —
შენი არ არის მეთოდი.

ქადილი გექცა კვეხნად,
რაკი — თანახმად ჭკვიანთა —
ღონემ ხერხობა ვერ ქნა,
მოჩქარეს მოგიგვიანდა...

მოგისკაბრეზებ: ხის თლა
არის ეგ შენი ტაქტიკა;
არ გინდა ეგრე ხისტად,
ეგრე ხაზგასმით სასტიკად.

ჯობს — რიგიანთა რიგზე —
თავი (ანებო ძველ ჰონორს
და) მოგვაჩვენო ისე,
გიყურებდეთ და გვეგონოს —

მოგწყინდა ტვინის მხვრელი
ყველა ალიხე-მალიხე
და მოცარული ხელი
ჩაიქნიე და აიღე...

ამ დროს, აიწყო საქმე:
ვინ თქვა მდინარე უფონო —
სინჯო სამიზნე — სადმე
სუსტი წერტილი უპოვო,

სული უპოვო უკვდავს —
ნემსი, ბუმბული, ულვაში —
მტრედის, ხარის ან თუნდაც
რკინა-ბეტონის გულგვამში,

და თუ აქამდე სცემდი
სპილოს, ვეშაპს და დინოზავრს,
სულის მიუდგე წერტილს,
მიადგე — ურტყა რბილოსა...

ვიდრე ეგ მოვა გონზე,
შენი დადგება დიდება —
ზღვა დაილევა კოვზით...
ქვა წვეთით გაიხვრიტება...

...
კეთილი სული იყო,
თუ — მისი ავი ვიზავი,
საქო, სიკო თუ ნიკო,
იქნებ თვითონაც ვიყავი,

ქლესა თუ — ბარტყის გულა,
ქოსა თუ — ჯილა ულვაშით...
ვინ იცის, არც კი თქმულა —
მე კი დამიჯდა ჭკუაში:

ვცადე — ნაკლებად ხისტად,
ვითომ ნაკლებად სასტიკად...
და სტრატეგიად იქცა
ჩაფლავებული ტაქტიკა...

...
მორჩა ჰაერის დღვება,
ფუყე ფუყვა თუ ფერება.
და ილეწება წყებად
და ეფინება ფენებად.

ალალ-მართალი ხოცვა
არას მიქენჯნის-მისევდავს —
ვინ რა მომკითხოს, როცა
მკვდარი ჰგონიათ ისედაც.

გინდა, გაჭერი შვიდად —
განა შეიგნებს, რა მოსდის —
თვალებს დახუჭავს მშვიდად,
სული კრავივით ამოსდის.

გრიმასა ტვინს არ ჭამს და
გულს არ აწყალებს ვოკალი.
ამ დროს, იმდენი, ანდა
უფრო იმდენჯერ მოვკალი...

თუ გეზარება დაღლა,
თითის არ უნდა განძრევა —
ხან თუ — დაბლა ან მაღლა,
ზოგჯერ საერთოდ განზე ვარ.

არ გაბეზრდება ნერვი —
არ ახტება და დახტება;
ხვდება, ამასთან, ვერვინ,
სინამდვილეში რა ხდება... —

აბა, წეღან რომ თითქოს
ბოროტ ბოტს კოპი უტევდა,
ვინ მიხვდა, რომ მე იმ დროს
დროს ვკლავდი კომპიუტერთან?

...
რომ ასე მძლე და მჭრელი
და ისე მჭლე და შიშველი
შეჭიდებულან ჩემი
ხმალი და დროის კისერი;

არა მწერების ხროვა,
რა ნადირი და რა კრავი —
ჩვეულებრივი დროა
ჩემი რჩეული საკლავი;

რომ ასე იღბალკრული,
ზემალალი და ზერბილი,
დროა ნაძებნი სული,
ნაპოვნი სუსტი წერტილი; —

რათა გულმშვიდად მემტრო
და გამარჯვებით მეომა...

...
რომ ჩემი დროა ეს დრო;
უფრო მარტივად — მე რომ ვარ?



დასაწყისი პირველ გვერდზე

ეკატერინე ტოგონიძე

ქურდობა

მიწაზე დაშვებისას ქორეოგრაფი გოგოებს გვიყვიროდა, ძირს ნუ იყურებით, პარტნიორს შეხედეთო. მეც ვუყურებდი გეგას, ვუყურებდი გაყინულ, წყლისფერ თვალებს... და ვგრძნობდი, როგორ კრავდა წრეს მისი გრძელი, თბილი თითები ჩემი ნეკნების ქვეშ.

გარეთ აღარ ბარდნიდა. ეზო გადათეთრებულიყო, სახურავებსა და მანქანებზე უკვე კარგად დაედო. მკერდში ძლიერად მომხვდა რაღაც. გუნდა იყო, ყინულიანი. არ ვიცი, გეგამ არ დამიმიზნა სახეში, თუ შემთხვევით ამცდა. ცრემლები წამსკდა.

პრემიერაზე დალია. კულისებში ისე შემომხედა, მსუბუქმა ჟრჟოლამ დამიარა. სულ ვფიქრობდი, როგორ შეეძლო ასე, ერთდროულად ცივიც ყოფილიყო და მოულოდნელად თბილი, სანდო, საიმედო. როგორ შეეძლო, ასე მაგრად მოეკუმა პირი, ტუჩის კუთხეები თითქოს დამცინავად ჩამოეწია დაბლა და მთელი ძალით შემოეჭდო ჩემთვის გახურებული მტევნები, მუსიკის ფონზე ისე მოეხვია მკლავები, თითქოს გაშვებას აღარ მიპირებდა... კარგად ცეკვავდა...

ტაში დიდხანს არ შეწყდა. ყვავილები ორივეს მოგვართვეს. ცალყბად გადმომხედა და თავისი თაიგული გვერდზე მდგარ გოგოს მიაჩეჩა, სხვის მეწყვილეს.

გასახდელში უკნიდან ვიგრძენი მისი მზერა. მივიხედე და სწრაფადვე ამარიდა თვალი, დაუმშვიდობებლად წავიდა.

ქორეოგრაფი რომ შენიშვნას მაძლევდა, გეგა იძაბებოდა. თუმცა მაშინ უფრო იძაბებოდა, როცა მაქებდნენ. ყველაზე მეტად ნაკვთები იმ დროს ეჭიმებოდა, ქორეოგრაფი ცოტა ხნით გვერდზე რომ გასწევდა და ახალ ილეთს ჩემთან წყვილში აჩვენებდა დანარჩენებს.

აუხსნელი გრძნობა მქონდა — დანაშაულის. სულ ვფიქრობდი, რა ვაწყენინე. რეპეტიციის მერე ბიჭებთან ერთად იდგა, ეწეოდა და ხარხარებდა. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ჩემზე იცინოდა.

გასტროლებზე მხოლოდ ნახევარი ჯგუფი წაგვიყვანეს. მონახაზიც ამის გამო შეცვალეს, გადააკეთეს.

უკვე სრულწლოვანები ვიყავით. უმრავლესობა პირველად ტოვებდა ქვეყანას.

თვითმფრინავში ბიჭებმა დალიეს. გეგამ თითქოს გამიღიმა ან რაღაცაზე იცინოდა და ამ დროს შემომხედა. ქორეოგრაფი კი აშკარად მე მიღიმოდა. ჩემი ზურგჩანთაც მას მოჰქონდა, მეხმარებოდა. საფრანგეთში ტრანსპორტი სამჯერ გამოვიცვალეთ. მატარებელში მოსაწევად გავედი და გამომყვა. ხელი კისერზე მომკიდა, მერე ზურგზე, წელზე...

„სოლო შენია. სხვა რამეც გინდა?“ — კუპეში დაბრუნებულს წამისისინა გოგომ, რომელიც, ერთხელ, ავად რომ ვიყავი, ჩემს შემცვლელად დააყენეს.

სცენაზე გასვლის წინ ფორმა დავკარგე. ნამდვილად მქონდა, ცალკე პარკში მედო, ქიმწმენდიდან ახალი გამოტანილი. ისიც მახსოვს, თეატრში როგორ მივიტანე და ისიც ვიცი, გასახდელში სად მივუჩინე ადგილი. აღარ დამხვდა. კანკალმა ამიტანა. ქორეოგრაფი შეშლილი სახით მომაშტერდა. „დრო აღარ არის!“ — დაიღრიალა. გეგაც იქვე იდგა, ისიც წყრომით მიყურებდა. ჩემმა შემცვლელმა გოგომ უდარდელად გადაისვა ფუნჯით ფერუმარილი. სარკეში შევხვდი მის უტიფარ თვალებს. ყელში რაღაც მომაწვა. „რა უყავი?“ — ძლივს წარმოვთქვი. „მეე?“ — აწეული წარბებით შეტრიალდა ქორეოგრაფისკენ და გეგას გადახედა. „ეგ რა შუაშია?!“ — გამოესარჩლა გეგაც. ცრემლები ვეღარ შევიკავე და ოთახიდან გავვარდი. უცებ ისე გამომეცალა ძალა, მეგონა, წავიქცეოდი.

ქორეოგრაფმა მკლავში ჩამავლო ხელი და გარდერობში შემარბენინა. კაბა ავარჩიეთ, ვიღაც ქალს ინგლისურ-ფრანგულად ვუხსნიდი, რომ სასწრაფოდ მჭირდებოდა მოკლე, მომდგარი ტანსაცმელი. სხვისი ტყავივით მოვირგე ნახევრად გამჭვირვალე ქსოვილი. ხელები მიკანკალებდა, კაბა ზურგზე ქორეოგრაფმა შემიკრა. „სოლისტი ხარ და წავა, იქნებ უკეთესიცაა, განსხვავებული იქნები...“ — კმაყოფილმა შემათვალიერა.

კულისებში გეგა გოგოების მხარეს დამხვდა. სუნთქვას ალკოჰოლის სუნი ამოაყოლა. ხუთი წუთი რჩებოდა გასვლამდე. ბოთლით კონიაკი გამომიწოდა. არ გამოვართვი, ხელებში ძალა არ მქონდა. პირთან უხეშად მომიტანა, დალიეო. წყალივით მოვიყუდე. მიყურა, მიყურა და შემაწყვეტინა, ბოთლი ძირს დადგა კუთხეში. ორ წუთში კულისების მეორე მხარეს გამოჩნდა, საიდანაც ბიჭები გამოდიოდნენ. წყლიანი თვალები ჰქონდა, თბილი, სიბნელეშიც კი ჩანდა. მუსიკა დაიწყო. ვიგრძენი, სასმელი როგორ დაუყვა სისხლძარღვებს. ტუჩები დამიბუჟდა, წონა დავკარგე. როგორ ვიცეკვე, არ ვიცი. თქვეს, რომ ძალიან კარგად.

ჩემი ფორმა მეორე დღეს გამოჩნდა, დაჭმუჭნული და მტვრიანი. ის გოგო დერეფანში შემხვდა, „რა კარგია, რომ იპოვე! სად იყოო,“ სხვათაშორის მკითხა და გზა გააგრძელა, მერე მობრუნდა, „ამით თბილისში დარეკვა შეგვიძლია მშობლებთანო,“ ხელში თეთრი და ყვითელი ბარათები მაჩვენა, რაღაცნაირი ნიშნისმოგებით მელაპარაკებოდა ყოველთვის, „ერთი ზედმეტი მომრჩა, გეგას მაინც არ სჭირდებაო“.

მაშინ, იქ, იმ დერეფანში გავიგე, რომ გეგას მშობლები ყრუ-მუნჯები იყვნენ. ენაჩავარდნილი კედელს მივეყრდენი. მერე ოთახში შევიკეტე და დილამდე ვიტირე.

საუზმეზე გეგას დანახვისას ჭიქა გამიტყდა. ნამსხვრევები მიმტანმა აკრიფა. მთელი დღე ვცდილობდი, როგორმე ყურადღება გამომეჩინა, რამე გამეკეთებინა გეგასთვის. ერთი-ორჯერ გაკვირვებულმა შემომხედა, დაეჭვებით დამაკვირდა. რეპეტიციაზე ისე ვეცეკვე, სხეულის ყველა მოძრაობით სითბო გამომეხატა.

ბოლო გამოსვლა მეორე დღეს გვქონდა. მესამე დილით სასტუმროს ვცლიდით და საღამოს თბილისში მოვდიოდით. მომეჩვენა, რომ მიყვარდა.

ქორეოგრაფმა ღამით, თერთმეტის ნახევარზე ჩვენი ნომრები შეამოწმა, კონცერტის წინ ადრე დაძინებას გვაიძულებდა. გოგოები ლოგინებში ტანსაცმლიანად ვიწექით. მისი ფეხის ხმა რომ მიწყდა, ოთახებიდან გამოვძვერით. ზედა სართულზე ავიპარეთ, გეგას ნომერში. კარტში წავაგე, ყურადღება მეფანტებოდა. სასმელი უცებ მომეკიდა. აივანზე გავედი. ორი ღერი მოვწიე, გადავწყვიტე, სანამ არ გამომაკითხავდა, იქ ვმდგარიყავი, თუნდაც დილამდე. გამოვიდა.

„ასე აღარ შემიძლია!“ — ვთქვი და საკუთარი ხმა ისე უცხოდ ჩამესმა, თითქოს ჩემი პირით სხვა ლაპარაკობდა. „რა აღარ შეგიძლია?“ — რატომღაც გაეღიმა გეგას. პასუხი არ მქონდა. სიჩუმე გოგო-ბიჭების ფრანგულმა ლაპარაკმა დაარღვია. მე და გეგამ აივნიდან გადავიხედეთ. ჩვენი ტოლები იქნებოდნენ, ლუდის ბოთლებით მოდიოდნენ, მოირწეოდნენ. დროდადრო ხარხარებდნენ და მათი მხიარული ჩრდილებიც აცა-ბაცად ეფინებოდა ქვაფენილს. აივნის მოაჯირი ჩვეულებრივზე დაბალი იყო, წელსქვემოთ მწვდებოდა. გეგამ ხელი მომკიდა და უკან გამომწია. მოდი, გავისეირნოთ-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ ესღა ვკითხე: „დაღლილი ხარ?“ „ისე რა...“ — მხრები აიჩეჩა და ოთახში მის ლოგინზე ჩამომჯდარ, მოყაყანე ბიჭებს გახედა, — „რამდენ ხანსაც გინდათ იყავით, არაა პრობლემა...“ — თქვა და შიგნით შევიდა. მომენტი გავუშვი. მე თვითონ არ ვიცოდი, რისი თქმა მინდოდა. წარმოდგენა არ მქონდა, რითი უნდა ამეხსნა ჩემი გულაჩუყება. გავიგე, მშობლები მუნჯები გყოლია და ამით ყველაფერს გაეცა-მეთქი პასუხი, ვერასდროს ვეტყოდი. ეს, რა თქმა უნდა, არც ცოლქმრობისას მითქვამს. მშობლებზე საერთოდ არასდროს დაგვიძრავს სიტყვა. პირქუში, მაღალი ქალი და ასაკთან შედარებით მოტეხილი კაცი რამდენჯერმე მყავს ნანახი, სულ რამდენიმე საათით და გეგას იძულებითი თარჯიმნობით... თავს ისე უხერხულად ვგრძნობდი, მეც ვმუნჯდებოდი.

სცენის განათება თვალს მჭრიდა. მაყურებლებს საერთოდ ვეღარ ვხედავდი, უბრალოდ ვიცოდი, რომ ამ მჭახე სითეთრის მიღმა სავსე, განაბული დარბაზი იყო. ვგრძნობდი, რომ ხალხი სუნთქვაშეკრული გვადევნებდა თვალს. ვიცოდი, რომ იმ ტრიალსაც კარგად გავაკეთებდი, რომელიც მუდამ მეშლებოდა... და თუ ვერ გავაკეთებდი, მაყურებელი აუცილებლად მაპატიებდა. ჰაერი ადრენალინით იყო გაჟღენთილი. ჩემი და გეგას უსიტყვო ემოცია ყველანაირ არტისტიზმს სცდებოდა. ჩვენ ძალიან კარგად ვცეკვავდით... კი არ ვცეკვავდით, ვლაპარაკობდით... ჩვენ სხეულებით ვამბობდით ყველაფერს, რაც სიტყვებით ვერც მანამდე და ვერც მას მერე ვეღარ ვუთხარით ერთმანეთს.

ჰაერში რომ ამიტაცა, ისეთი სიმსუბუქე ვიგრძენი, როგორსაც ვერანაირი ალკოჰოლი ვერ მომანიჭებდა. ეს იყო ნამდვილი უწონადობა, გეგას ხელებზე გადატანილი ჩემი სიმძიმე, მის მხრებზე გადადებული ჩემი ყველა ტვირთი... მიწაზე რომ დამაბრუნა, ხელი ოდნავ გვიან გამიშვა, ტაქტი დაარღვია. ამ ცეკვაში ბევრი ისეთი მოძრაობა გაიპარა, რომელიც ქორეოგრაფს არ დაუდგამს. ჩვენ ვიპარავდით წამებს, ვიპარავდით ჩასუნთქვას, ამოსუნთქვას, მზერას... უცხო ქვეყნის უცხო სცენაზე თავისუფლებაც მეტი იყო, ჩვენ თითქმის დავივიწყეთ მაყურებელი.

ტაში იმაზე დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე ოდესმე. გეგამ ხელი ჩამკიდა. მეგონა იმ გუგუნს ჩემი გულისცემა ფარავდა.

ღამით დიდი წვეულება გაიმართა, ფესტივალი დასრულდა.

***

კორპორატიულ ფართიზე ივას ჩაცმულობა ყველას თვალში მოხვდა. რესტორანში ჯინსებითა და სპორტული მაისურით მოვიდა, უკვე ნასვამი. მაინც ყველაზე სიმპათიური იყო, ყველაზე სასურველი... მის დანახვაზე მაჯისცემა ისე მიჩქარდებოდა, ლამის ერთ გაბმულ გონგად ქცეულიყო. მიკვირდა... ვბრაზობდი ჩემს თავზე. რას მელაპარაკებოდა, არც კი მესმოდა. ვიდექი თავბრუდახვეული და უაზრო ღიმილით ვაყოლებდი თვალს მის მოძრავ ხელებს, აქტიურ ჟესტებს, რომლის დროსაც ზოგჯერ ოდნავ მეხებოდა მხარზე. ერთი სული მქონდა, მთელი ძალით მივკვროდი მის მაღალ, გამართულ, პროპორციულ სხეულს.

აივანზე ცოცხალი მუსიკა უკრავდა. გარშემო ყველა ბედნიერი მეჩვენებოდა. ივამ მოულოდნელად მაისური გაიძრო და იარლიყი მაჩვენა. თვალი თანაბრად გარუჯულ კანზე უფრო დამრჩა, მაგრამ ბრენდის ნიშნის დანახვაც მოვასწარი — „Adidas“.

პირველად ივა ჩემს უფროსთან ვნახე კაბინეტში. უტოპიურ დავალებას გვაძლევდნენ — სარეკლამო და საკომუნიკაციო კამპანია უმოკლეს დროსა და თანხებში უნდა დაგვეგემა. თავი უკმაყოფილოდ გავაქნიე და თანაგრძნობის მოლოდინით ახალ კოლეგას გადავხედე. ივამ კი ხმამაღლა განაცხადა, რომ ჩემნაირ გოგოსთან მუშაობა მხოლოდ ბედნიერებაა და „შეუძლებელი არაფერია“. ყველამ გაიცინა. რომ გამოვედით, მითხრა — „Adidas“ და თვალი ჩამიკრა.

დაბნეული ჩემს კომპიუტერს მივუჯექი და ბიუჯეტის ფაილის ნაცვლად გუგლის ფანჯარა გავხსენი. ჩავწერე „Adidas“. ლოგოტიპებთან და ფეხსაცმელ-ტანსაცმელთან ერთად გამოჩნდა სლოგანი: nothing is impossible!

იმ წვეულებაზეც არაფერი აღმოჩნდა შეუძლებელი, არც „Marni“-ს კაბით აუზში, უფრო ზუსტად კი პატარა შადრევანში ივასთან ერთად ბანაობა და არც საეჭვო რეპუტაციის სასტუმროში ნომრის აღება. ისეთი ნასვამი არ ვიყავი, რომ ეს ყველაფერი ინერციით მეკეთებინა, უფრო თავს ვიკატუნებდი პასუხისმგებლობის შესამცირებლად... თუმცა ეს სიტყვები მაინც წარმოვთქვი: „ბეჭედს უბრალოდ ველარ ვიხსნი... თორემ ისე დიდი ხანია, გაშორებული ვარ.“

ივასთვის სულერთი იყო.

***

არ ვაპირებდი... მაგრამ გეგა მაინც მოვატყუე ორი უზარმაზარი ტყუილით. ორივეჯერ იმიტომ, რომ ძალიან მინდოდა მასთან ყოფნა.

ფესტივალის დასახურ წვეულებაზე მეჩვენებოდა, რომ იმ დარბაზში მსოფლიოს ყველაზე თვალისმომჭრელი ქალები შეკრიბეს, ფრიალა კაბებითა და ბრჭყვიალა სამკაულებით. ყველა ანსამბლს თითო მაგიდა მოგვიჩინეს. ჩვენ კორეელების გვერდით მოვხვდით. პირველად ვხედავდი ამდენი სხვადასხვა ფერისა და ეთნოსის ადამიანს. პირველად ვსინჯავდი ამდენ უცნაურ კერძს, ფერად ხილსა და კოქტეილს, კამათლისოდენა მწვადებსა და ყველის დესერტს. თავი კინოში გვეგონა. ქორეოგრაფი ოდნავ დაძაბული იყურებოდა აქეთ-იქით. ეტყობა, ღელავდა, ეტიკეტი ან რომელიმე დაუწერელი წესი არ დაერღვია. ალბათ ასეთ გარემოში ასეთი ასაკის ქართველ კაცს ჩვენზე ბევრად მეტად უჭირდა ადგილის პოვნა და საკუთარი მნიშვნელობის შეგრძნება. სასმელსაც ამ განცდისგან გასათავისუფლებლად მიეტანა. შეზარხოშებული უკეთ ახერხებდა დამტვრეული ინგლისურით ლაპარაკს და ჩემი დახმარების გარეშეც შეეძლო ადამიანებთან ურთიერთობა.

გეგა თავისი სიმაღლით, თავდაჯერებული დგომის მანერითა და სიტყვაძუნწობით ყველა სიტუაციაში ინარჩუნებდა ღირსეულ იერს. ახლაც ნელა დააბიჯებდა დარბაზში, ცალი ხელი ჯიბეში ედო, მეორეთი სასტუმროდან მოპარულ სიგარას ეწეოდა. რამდენჯერმე თითქოს ვიღაც უცხოელსაც გამოელაპარაკა, წარმოდგენა არა მაქვს, რა ენაზე.

ქორეოგრაფმა ისე მითხრა, ვიცეკვო-

თო, თითქოს სასწრაფო დავალებას მაძლევდა. ისედაც დათრგუნულს იმის გაკეთება, რაც მართლა შეეძლო, შველასავით ესაჭიროებოდა. ტანგოს მელოდიაზე მოცეკვავე წყვილებს რომ შევერიეთ, გეგას გაბრაზებულ მზერას გადავაწყდი.

დიდხანს ვეძებე მერე გეგა. ბოლოს აივანზე გავედი, სხვადასხვა ფორმაზე გაკრეჭილ გაზონებს გავყევი და ულამაზეს ეზოში აღმოვჩნდი. სიგარეტი მოვიმარჯვე და ხეებთან მინაბული ჩემი შემცვლელი გოგო დავინახე. ჩემკენ ზურგით მდგარ გეგას ლოყაზე ნაზად ეფერებოდა. უცებ ყელში სპაზმი ვიგრძენი, გულისრევის მაგვარი. არ გავქცეულვარ... ფეხები მიწაში ჩამიქვავდა. ის ღერი გაჭირვებით მოვწიე და მეორესაც მოვუკიდე. ფეხსაცმლის ქუსლებით ისედაც ოდნავ ვეფლობოდი რბილ ნიადაგში და ახლა თითქოს ფესვებიც გამედგა. ვიდექი გახევებული ხეებს შორის და სულ სხვა მხარეს ვიყურებოდი. პირიდან განუწყვეტლივ ამომდიოდა კვამლი — ჩემში გაჩენილი ხანძრის ხილული ნიშანი. არ ვიცი, მერამდენე, ალბათ მეოთხე ან მეხუთე ღერზე შეხება ვიგრძენი. მანამდე თურმე მეძახდა გეგა, მე არ მესმოდა. როგორც ზღაპრებში ხედ გადაქცეულ ადამიანს ერთი შეხებით ხსნიან ჯადოს, ისე ჩამედგა ხელახლა სული და გამოფხიზლებულმა თითებში მხრჩოლავი ნამწვი გადავაგდე. გეგას რომ შევხედე, ენაზე მომდგარი სიტყვები ველარ შევიკავე. იმ ჩემს შინაგან ცეცხლში გადამდნარი თუ ერთმანეთზე შედუღებული აზრებით რაღაც ისეთი წარმოვთქვი, რაც მერე ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა... ჩემზეც და გეგაზეც.

„მე ავად ვარ!“

სიკვდილი — ეს ერთადერთი გამოსავალი ყველას და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევდა და თავის ადგილზე დაალაგებდა. მე ვთქვი, რომ სისხლის გათეთრება მაქვს და ალბათ მალე მოვკვდები.

***

— თქვენი სისხლის ჯგუფი იცით? — ცხვირზე ჩამოცურებული სათვალიდან გადმოხედა ივას თეთრხალათიანმა ქალმა.

— რეზუს უარყოფითი, პირველი. აგერ მაქვს შიდსის, ჰეპატიტების და ყველაფრის პასუხები. აი, ნახეთ, ჯანმრთელი ვარ! — ჯინსის უკანა ჯიბიდან ფურცლები ამოაცურა ივამ.

— გეტყობათ, პირველად არ ხართ... თქვენი ჯგუფი ყოველთვის დეფიციტია. ბოლოს როდის ჩააბარეთ? — ანალიზების პასუხებში თავი ჩარგო ქალმა.

— ერთი თვის წინ, — მოიტყუა ივამ და ხელი მექანიკურად ნაჩხვლეტ ვენაზე დაისვა.

კლინიკასთან ძმაკაცი ელოდებოდა. ბოლთას სცემდა და ქაღალდის კუპიურებს უკვე მერამდენედ ითვლიდა. ივა რომ გამოვიდა, ამ დროს ტელეფონმა დაურეკა.

— არა, ბიჭო, ჯერ რა ვიშოვეთ?! — თქვა, ივას ხელიდან ოცდაათი ლარი გამოსტაცა და უკვე ათასჯერ გადათვლილ ფულს შეუერთა, — გაბო თამაშობს ისევ? იქნებ იმას მაინც გაუმართლოს დღეს, ამის დედაც...

ივამ შოკოლადი მოკბიჩა და მაშინვე გადმოაფურთხა.

— ფუ ჩემი, ეს რა გიყიდია?! რა მწარეა?!

— ე, ბიჭო, ეგეთი უნდაო, ვა... შავი შოკოლადი უნდა!

— შენ მასწავლი, რა უნდა?! წამო, წესიერი შოკოლადი მაჭამე და ერთსაც გავქაჩავ... — ვენაზე დაიხედა ივამ.

***

გეგა თითქმის ერთი თვის უნახავი მყავდა. ძალიან მრცხვენოდა ჩემი სიტყვების და მასზე ვერც ვბრაზობდი, რომ ერთხელ არ გამოჩნდა, ერთხელ არ მომიკითხა, თუნდაც დღეები მართლა დათვლილი მქონოდა.

სიკვდილი მერჩივნა იმ წუთის წარმოდგენას, როცა ჩემი ტყუილის გამო ბოდიში უნდა მომეხადა. ერთი პირობა ვიფიქრე, ცეკვისთვის თავი დამენებებინა, გეგა აღარასოდეს მენახა.

გრძელი დერეფნის ბოლოში დავინახე და გაკვეთილზე მის გარეშე არ შევედი. ვიდექი თავდახრილი და ველოდი. გეგა თავისებური თავდაჯერებული ნაბიჯით მიახლოვდებოდა და თითქოს რაღაცის სათქმელად ემზადებოდა. მე იატაკზე ჩვენს შორის დარჩენილ მანძილს მივშტერებოდი, ღრიჭოებიან პარკეტს ვითვლიდი და სულ უფრო მეკვროდა სუნთქვა. ბოლოს თვალი მოვწყვიტე გეგას ფეხსაცმლის წვერებს, რომლებიც ჩემსას პირისპირ გაუსწორდა — ზუსტად ასე ცეკვის დაწყების წინ ვდგებოდით — და სახეში შევხედე. ისეთი თბილი და კეთილი მეჩვენა, ლამის იმ ერთ წუთად მიღირდა ის უგუნური გამონაგონი... „შენთან საქმე მაქვს“, — მითხრა რბილი, იმედიანი ხმით და კარში გზა დამითმო.

პირველმა გაკვეთილმა ძირითადად სიცილ-ხარხარში ჩაიარა. გასტროლების ამბებმა და შთაბეჭდილებებმა მთელი დრო წაიღო. მე არაფერი მესმოდა. გეგას ვუყურებდი და ვრწმუნდებოდი, რომ ჩემი ავადმყოფობა დაიჯერა. მისი ხანმოკლე, თანაგრძნობით და სითბოთი სავსე გამოხედვაც კი მოწმობდა ამას. უცებ თავიდან დავიწყე იმის გააზრება, რაც გასტროლებზე ვუთხარი. რაღაცნაირად გამიხარდა კიდეც, რომ არდადეგებმა იმ წელს ზღვის გარეშე ჩაიარა და ხელოვნების სკოლაში მარილივით თეთრი, ჩემი ჩვეული ანემიისგან ცოტა ფერმკრთალი დავბრუნდი. ვიგრძენი, რომ ძალაუნებურად როლში შესვლა დავიწყე და... შემეშინდა.

***

სამსახურში გავიგე, რომ ივა ცოლს შეურიგდა. იმდენად გავოგნდი, ხეირიანად ვერც კი გავბრაზდი... თან ანდროს ბაღიდან დამირეკეს, სიმღერის მასწავლებელი იყო, ბავშვი ვერ არის კარგადო. ყველაფერი დავყარე და გავიქეცი. ივა კიბეზე შემხვდა, გაყვანა ცალყბად შემომთავაზა. ტაქსით წავედი.

თავიდან გვეგონა, რომ ანდრო ცუდად ყოფნას ცეკვის გაკვეთილებისგან თავის დასაძვრენად იმიზეზებდა. ბაღის ექიმმა რამდენჯერმე გასინჯა და ვერაფერი დაუდგინა. იმ დღეს სკამიდან იატაკზე ჩამომძვრალა, სკამზე თავი დაუდია და თვალები დაუხუჭავს. ანდრო შუადღეს არასდროს იძინებდა. ლოგინში ჩაუწვენიათ და ჩემი მისვლისთვის უკვე გამოცოცხლებული დამხვდა. ბაღში მაინც აღარ დავტოვე, სახლში წავიყვანე და ბევრი ვითამაშეთ. მერე მამა მოისაკლისა. გეგასთან დამარეკინა. გეგა შაბათ-კვირას ზოოპარში წაყვანას დაპირდა. რომ დავაძინე, დედაჩემს დავურეკე, გამოსვლა ვთხოვე. მე ჩემს ახალ ბინაში წავედი, რომელიც ბაბუასგან დამრჩა და თითქმის სამი წელი ცოტ-ცოტას ვარემონტებდი. საღებავის ყუთები, შპალიერის ნაგლეჯები თუ მეტლახ-კაფელის ნარჩენები ჯერ კიდევ ძირს ეყარა. ორ საათს ვალაგებდი იქაურობას. თან დედას ვურეკავდი, ანდრო როგორ არის-მეთქი. ბავშვს ღრმად ეძინა.

***

„შენი მშობლები ალბათ ისედაც ყველაფერს აკეთებენ შენთვის,“ — დაიწყო გეგამ. ხელოვნების სკოლის ეზოში მაგიდაზე ვისხედით. ისეთი გვიანი იყო, დარაჯსაც ეძინა. „მამა არა მყავს,“ — გავაწყვეტინე ცივად. გეგა მომაჩერდა. გაუკვირდა, რაღაცის კითხვა დააპირა, მაგრამ ეტყობა, მოერიდა და განაგრძო, — „მოკლედ იმის თქმა მინდა, რომ ეს ჩვენი ექიმები არ ინდობიან.“ ვიცოდი, რომ ჯანმრთელობის თემას შეეხებოდა, მაგრამ მეგონა, მე მომიწევდა კითხვებზე პასუხი. თითქმის მზად ვიყავი სიმართლის სათქმელად, ათასი ბოდიშის მოსახდელად, ყველაფრის სიმთვრალისთვის დასაბრალებლად... მაგრამ გეგა მონდომებით, გაუჩერებლად ყვებოდა: „ძალიან ხშირად ცდებიან. ბებია პრაქტიკულად მაგათ მომიკლეს. ჩემს ახლობელს საერთოდ კიბოს დიაგნოზი დაუსვეს და ქალი ჯანმრთელი აღმოჩნდა!“ შემცბარი ვუსმენდი, ველარც შევაწყვეტინე... „ეგ პასუხი უნდა გადაამოწმო. ჩემი ნათესავი ექიმია გერმანიაში, უკვე ათი წელია... ამათნაირი კი არა... იმას ვთხოვ და ყველაფერს ზუსტად გაიგებ.“

პირი გამიშრა. გონებაში უამრავი ვერსია მიტრიალებდა, როგორ ხელახლა და სამუდამოდ შემიძულებდა გეგა, მეტყოდა რაიმე ძალიან ცუდს, შეურაცხმყოფელს, აღარ მოუსმენდა ჩემს თავისმართლებას ან დამცინავად ჩაილაპარაკებდა, რომ ერთი წამითაც არ დაუჯერებია ჩემთვის... ის კი ჩემ წინ იჯდა ჩემს ტყუილში მორჩილად გაბმული და გამოსავალს თვითონვე მთავაზობდა.

გული ყელში მომებჯინა. ხელები სახეზე ავიფარე და ერთადერთი სიტყვა ვთქვი: „ვაიმე!“

„ნუ გეშინია! არ იქნება ეგრე... აი, ნახავ!..“ — თავზე ხელი დამადო და გულზე მიმიხუტა.

***

— რეზუსი მონაგონია, შენს სპერმაზე ისეთი მოთხოვნა იქნება... ქერა, ცისფერთვალება, ხარივით ჯანმრთელი... ჰა-ჰა-ჰა! — ხარხარებდნენ ივას ძმაკაცები, — თან, ბიჭო, ფეხზე რო ველარ იდექი იმ დღეს, აქ ერთს ჩამოკრავ და ეგაა, ჰა-ჰა-ჰაა! მადლობას გეტყვიან!

ივას წამით არ მოუწყვეტია თვალი აიპედისგან. კომპიუტერულ თამაშში იყო ჩართული.

— ღადაობთ თუ მართლა ამბობთ? — მეორე ოთახიდან გამოსძახა ივას უფროსმა ძმამ, რომელიც სიგარეტს ფანჯარაში თავგაყოფილი ეწეოდა.

— არა, რას ვღადაობთ, ტელევიზორში იყო! — ახმაურდნენ ბიჭები — რასაც ივა უფასოდ არიგებს?! — სიცილისგან სიტყვა უწყდებოდათ, — წამო, თუ გიტყდება, ერთად ჩავაბაროთ! ჩვენც არა გვიშავს, რა გინდა? ერთ დღეში კაი ხუთი ათასს ვიშოვით! — აიპედი გამოგლიჯეს ივას ხელიდან.

— ხუთს არა ოცდახუთს! აღმოაჩინეს ამერიკა! — დასცინა ივამ, — 100 ლარს იძლევიან. მთელი დღე იქ უნდა დაეყუდო, ანალიზები, ტესტები...

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

— შენ რა იცი? — გაოგნება ვერ დამალეს.

— რა ვიცი და დამესიზმრა... — აიპედი უხეშად დაიბრუნა ივამ.

კედლიდან სინდი კროუფორდი იღიმებოდა რეკლამისთვის „Adidas“.

***

მე და გეგამ ჩემი გამოჯანმრთელება, უფრო სწორად კი „ქართველი ექიმების საბედნიერო დაუდევრობა“ მეგობრებთან ერთად აღვნიშნეთ. იმათ, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ, რა მიზეზით სვამდნენ, თუმცა სიამოვნებით დაგვთანხმდნენ. კონცერტებიდან უკვე ჰონორარებს ვიღებდით და რუსთაველის თეატრიდან პირდაპირ კაფეში წავედით. იმ სუფრასთან აღმოვაჩინე, რომ გეგას მეგობრებისთვის ჩვენ არა მხოლოდ სცენაზე გვერქვა წყვილი. შემთვრალმა ბიჭებმა შეპარვით, მაგრამ აშკარად ერთად გვადღეგრძელეს. გულწრფელად გამიკვირდა. მგონი, გეგასაც.

ფაქტი იყო, რომ გეგას მანამ არ ჰყოფნიდა გამბედაობა, სანამ მის სატკივარზე უარესი არ დავიბრალე. ან იქნებ ასე დარწმუნდა ჩემს სიყვარულში?! იქნებ თავიდანვე იცოდა, რომ ტყუილს ვამბობდი?! ვცრუობდი, რომ არ დამეკარგა. ამ ეჭვებით კარგა ხანს ვიტანჯებოდი. ზოგჯერ გულშეკუმშული ველოდი, ახლა მკითხავს სისხლის გათეთრებაზე, აი, ახლა... გეგა დუმდა. არ ვიცი, იქნებ მართლა მიმიხვდა...

წლების განმავლობაში გასახდელში დაკარგული სირცხვილი გეგას კოცნისთანავე უცნაურად დამიბრუნდა. კონცერტებზე ზოგჯერ ერთი ნომრიდან მეორემდე სულ რამდენიმე წამი გვქონდა და ფორმას ფართხა-ფურთხით პირდაპირ კულისებში ვიცვლიდით. ახლა კი კაბა რომ შემიხსნა, ისეთი ალმური მომედო, თითქოს ზეპირად არ სცოდნოდა ჩემი უკვე გაზრდილი და მომწიფებული სხეული, ზუსტად არ ხსომებოდა ყველა კუნთი და ნაკვთი, სურნელი და ემოციისგან წამოწითლებული კანი... გეგა ისედაც პირველი მატყობდა თითო დაკლებულ ან მომატებულ კილოგრამს, ოდნავ დაჭიმულ კისერს ან თვეში ერთხელ ატკიებულ მუცელს...

***

ივას იმ დღეს უარი ვუთხარი, მაგრამ აღარ მომეშვა. ანდროსთან ისევ დედა დავტოვე და ახალ სახლში ავედით. აუცილებელი ნივთები უკვე გადატანილი მქონდა. ყავა, ჩაი და სიგარეტი კი ერთად ვიყიდეთ.

ივამ ფული მესამე შეხვედრაზევე მთხოვა, ხელფასამდე მასესხეო და მას მერე

→

ეკატერინე ტოგონიძე

ქურდობა

დასასრული

ყოველ დღე ვაძლევდი. ვიცოდი, არასდროს დამიბრუნებდა, მაგრამ არ ვბრაზობდი. საერთოდ არაფერს ვითხოვდი მისგან, უბრალოდ ძალიან კარგად ვიყავი. უჩვეულო სიმშვიდეს გრძნობდი, როცა ბოლომდე შიშველი ზემოდან ვაწვებოდი, თვალებს ვხუჭავდი და სხეულის ყველა ნაწილით მის სხეულს ვეხებოდი. ვერ ამიხსნია, რატომ ან როგორ, მაგრამ ივას სუნთქვა, დაცვარული კანი და ცოტა ბავშვური, სუფთა სუნი რაღაცნაირად ჩემი იყო, ძალიან ჩემი...

***

გეგა, მგონი, ყოველთვის მიყვარდა, გაცნობის წუთიდან ბოლომდე... ჩემს ცხოვრებაში არსებობდა მხოლოდ ცხრა თვე, როცა სიყვარული შეწყდა ან უბრალოდ გაჩერდა. ორსულობის პირველ ტრიმესტრში გავაჩუქებინე ორივე ოდეკოლონი. ველარ ავიტანე მისი შეხება, სითბო და მიხვრა-მოხვრაც კი. დროებით დედაჩემთან გადავედი და მშობიარობამდე შევრჩი. მთლიანად ჩემს შვილს ვეკუთვნოდი, მარტო ჩემსას...

დაოჯახების მერე გეგა ცეკვისთვის ნაკლებად იცლიდა. კონცერტებიდან მიღებული ჰონორარით ორ კვირასაც ვერ ვიცხოვრებდით, უნდა ემუშავა. პირველად რომ მის შემცვლელთან ვიცეკვე, ძალიან გავწვალდი. მერე ნელ-ნელა შევეჩვიე და შევეწყვე. წამით არ მიფიქრია, რომ ამით გეგას ვაწყენინებდი.

გეგამ შვილზე ლაპარაკი რომ წამოიწყო, სიყვარულის გამოვლინებად მივიჩნიე. მესიამოვნა, გავიღიმე... მერე დავფიქრდი, დავფიქრდი და ორი საშინელი სიზმარი ამეკვიატა:

ერთში სცენაზე ვიდექი, ვცეკვავდი, მერე უცებ ბუშტივით ვიბერებოდი და ისე ვმძიმდებოდი, იატაკი ველარ მიძლებდა. სცენა ვარდებოდა და მეც დაბლა მითრევდა ელვის სისწრაფით. დარბაზში ტაში ქუხდა. შიშისგან მეღვიძებოდა და მერე გაჭირვებით ვიბრუნებდი ძილს.

მეორეში თეთრხალათიან ქალს ჩემთან ბავშვი მოჰყავდა, რაღაცნაირი სახით მიყურებდა, თითქოს ვეცოდებოდი. ბავშვს ვართმევდი და ვხედავდი, რომ ჩემს შვილს არ აქვს პირი და ყურები. პატარა თეთრ სახეზე მხოლოდ დიდი, შეშინებული თვალები იყო განლაგებული. ამ დროსაც მეღვიძებოდა. მერე ველარ ვიძინებდი. აკანკალებული გეგას ვეკვროდი და ვიცოდი, რომ ჩემი შიშების გამხელას ვერასდროს შევძლებდი.

ხელოვნური განაყოფიერება მოსალოდნელზე ძვირი აღმოჩნდა. სახლიდან გეგას ნაჩუქარი ბეჭედი გავიტანე, უფრო სწორად კი მისი მშობლების ერთადერთი სახსოვარი. მაინც ვერაფერში ვიყენებდი. გეგას ეძინა. ხმაურზე ოდნავ შეიშმუშნა, ჩემს ბალიშს ჩაეხუტა და ძილი ტკბილად განაგრძო. ქერა თმა ოდნავ შევერცხლოდა, ჩალისფერად უბზინავდა. ვუყურებდი და მიყვარდა.

მე ყველაფერს გეგასთვის ვაკეთებდი.

***

ივას ფულზე უარი მაშინ ვუთხარი, როცა ანდროს ექიმებში ტარება დავიწყეთ. მე და გეგა მარტო ანალიზებს და გამოკვლევებს ველარ ავუდიოდით, არათუ მკურნალობის ხარჯებს. თან გეგას გართულება ქართველ ექიმებზე ერთათად გამძაფრდა. თითო ანალიზს რამდენიმე კლინიკაში ამოწმებდა, საზღვარგარეთ გზავნიდა, ინფორმაციას ინტერნეტში ეძებდა, ბოლომდე არავის ენდობოდა.

სართოდ გეგა მაშინ გახდა მამა, როცა ბავშვის ჯანმრთელობის პრობლემები დაიწყო...

ანდროს რაღაც რომ აწუხებდა, ხმას არ იღებდა. ვერ ვიტანდი ამ დამუნჯებას. მოკუმავდა პატარა პირს და შეკრავდა კოპებს. მაშინაც ასე მოიქუფრა სამზარეულოს პატარა სკამზე. სამჯერ ვკითხე, რა გჭირს-მეთქი. პასუხი არ გამცა, მარტო ერთხელ დაიზმუვლა: „მმმ..“

„რა არის გაუგებარი, მუცელი სტკივა,“ — ჩაილაპარაკა გეგამ და სამზარეულოდან გავიდა.

მე და გეგა ბავშვმა თითქოს დაგვაშორა. გეგა უფრო ჩაკეტილი და გულგრილი გახდა. სულ ვფიქრობდი, ანდრო ჯერ პატარაა, ცოტა წამოიზრდება, ამდენს აღარ იტირებს... და მერე გეგაც მოთბება, მოეფერება, მიეჩვევა-მეთქი... ჯერ ანდრო სიტყვას ვერ ამბობს, მარტო ხელებს იშვერს, მალე ლაპარაკს დაიწყებს, ფეხს აიდგამს და გეგაც ჩაჰკიდებს ხელს, გაასეირნებს, თავისუფალ დროს სულ თან ატარებს-მეთქი...

იმედი ორი წლის მერე გამინელდა. ანდროს დაბადების დღეზე ჩვენთან მეგობრები, ბავშვები მოიყვანეს. ტორტი და ხაჭაპურები მქონდა. გეგასთვის ლიმონათზე ჩასვლა მინდოდა მეთხოვა, ოთახში შევიხედე და არ დამხვდა. არც ტუალეტში იყო. მისი ტელეფონი ტელევიზორთან იდო, იტენებოდა. სტუმრებს მოვუბოდიშე, გეგა ცოტა ხნით გასაქცევი გახდა-მეთქი. ლიმონათი ანდროს ნათლიამ ამოიტანა.

ვიმღერეთ დაბადების დღის სიმღერა, ტორტზე ჩავაქრეთ სანთლები, საჩუქრები დავათვალიერეთ. ბავშვებმა ითამაშეს, იჩხუბეს, შერიგდნენ... სტუმრები წავიდნენ. გაწვიმდა. მეტირებოდა. გეგა სველი დაბრუნდა. სიგარეტზე გავედიო, მარტო ეს თქვა.

ბავშვი რომ სრულფასოვანი დაიბადა, გეგას თითქოს საკმარისად არ გაუხარდა. არ მეყო მისი ბედნიერება, მეცოტავა სიხარული... მაშინ ვიფიქრე, რომ გეგა ყრუმუნჯ შვილს უფრო შეიყვარებდა.

მას აღიზიანებდა ანდროს უზუსტესი სმენა და სუფთად ნამღერი სიმღერები. ბავშვისთვის არასდროს უყიდია სათამაშო გიტარა, ფერადი ქსილოფონი ან პატარა დოლი. გეგა მუსიკალურ სათამაშოებს ყრიდა, ძალიან ხმაურობსო. ანდრო თითქმის არასდროს მიჰყავდა ბებიასთან და ბაბუასთან... დროდადრო მხოლოდ დედაჩემი გვეხმარებოდა.

გეგა ისე იქცეოდა, თითქოს იცოდა, რომ ანდრო მისი არ იყო.

ახლა ყველაფერი სხვანაირადაა... ექიმების მიერ ლეიკემიაზე გამოთქმული ეჭვის შემდეგ დაიწყო გეგას დაავადებასავით პროგრესირებადი, ძლიერი სიყვარული.

***

ანდრო ქაღალდისფერია. ამ რამდენიმე დღეში ალბათ რამდენიმე კილო დაკარგა. დიდ თეთრ ლოგინზე ძალიან პატარა ჩანს. სახიდან თვალს არ ვაშორებ. დროდადრო ახელს ზღვისფერ, ფართე თვალებს და მალევე ელულება. ოქროსფერი თმა ოფლისგან შეწებებია. ვუყურებ და მახსენდება:

— თვალის ფერი?

— ამის არჩევაც შეიძლება?

— დიახ, თმისაც...

— სულერთია... — მხრებს ვიჩეჩავ.

— მითხარით, ფასი იცვლება.

მექანიკურად საფულეში ვიყურები და გეგას ფერებს ვასახელებ.

— თმა ქერა, თვალები ნაცრისფერი.

— გარანტიას არ ვიძლევით, მაგრამ ალბათობა დიდია.

მინდოდა, რაც შეიძლება, მალე დამთავრებულიყო ყველაფერი. მინდოდა, სახლში გავქცეულიყავი და გეგასთვის მეთქვა, რომ ყველაფერს, რასაც ვაკეთებ, საერთოდ ყველაფერს... ვაკეთებ მისთვის.

ზოგჯერ ისე ვიღლები, ანდროს სასთუმალთან მეძინება. მიკვირს, საერთოდ როგორ შემიძლია ძილი ან ჭამა. ყველაზე საშინელი კი ისაა, რომ დაღლილობისგან ზოგჯერ ივასთან გავრბივარ, ვიხდი და ვწვები.

***

— მაგარ პრობლემებში ვიყავი. ეხლა გამოვდივარ რა ნელ-ნელა... სამსახურმა მაგრა გამომიყვანა! — დაბოხებული ხმით ლაპარაკობდა ივა, — კაზინოსკენ გახედვა აღარ მინდა... თან შენ რო გაგიცანი... — თავს მექანიკურად ვუქნევდი.

ისევ ფულს მთხოვდა და მე ისევ ვერ ვაძლევდი. წამოსვლა მინდოდა. აბაზანაში შევედი წყლის გადასავლებად.

ივამ ჩემი ჩანთა გახსნა. რომ ვერაფერი იპოვა, მეორე ოთახში დაიწყო ძებნა. იმ სახლიდან გასატანი არაფერი იყო. დივანზე სხვა ჩანთა ეგდო, ძველი საფულით.

პირსახოცშემოხვეული გამოვედი აბაზანიდან. თმა აღარ გამიშრია, სწრაფად ვიცვამდი. ივა ოთახის შუაგულში იდგა. დაბნეული მიყურებდა. ხელში ჩემი საფულე ეჭირა. მგონი, აღარც მალავდა, რომ ფულს იღებდა... ან უბრალოდ გადაავიწყდა...

— რას აკეთებ? — ვკითხე გაოგნებულმა.

— მე? — შემომიბრუნა კითხვა, — ეს სურათი საიდან გაქვს?

ძველი საფულიდან ანდროს სურათი ამოეღო. მივვარდი და გამოვტაცე.

— ჩემი სურათი საიდან გაქვს? რა-რა სურათია ეს? — ენა დაება ივას.

***

— დონორი უნდა იპოვოთ! ახლა ესაა მთავარი!

— ჩემი... ჩემი წაიღეთ... — ალბათ უკვე ვბოდავდი. სისხლს კი არა, სულს გავიღებდი.

— თქვენი არა, ბავშვს რეზუსი უარყოფითი აქვს!

რეანიმაციაში შეყვანამდე ანდროს პატარა ხელი დავინახე, ფერდაკარგული მტევანი ბორბლებიანი საწოლიდან უმწეოდ იყო გადმოკიდებული. გავეკიდე, არ შემიშვეს, ცხვირწინ მომიკეტეს კარი. სადღაც შიგნით ისეთი ტკივილი ვიგრძენი, იქვე ჩავიკეცე. ვიღაცამ წამომაყენა, სკამზე დამსვეს.

საავადმყოფოში სალოცავი კუთხე მოეწყოთ. იქვე ეკლესიასაც აშენებდნენ. ბენზინგასამართი სადგური, აფთიაქი, რეკლამები და მშენებარე ეკლესია ჭრელი, უგემოვნო სურათივით იჯდა კლინიკის ფანჯრის ჩარჩოში. ხატებს ავხედე. ყველა წმინდანს სევდიანი და დაღლილი სახე ჰქონდა. მომეჩვენა, რომ ათასი უიმედო თხოვნით იყვნენ დაქანცულები.

რაღაც უნდა გამეღო. ისე ვერ ვითხოვდი ყველაზე დიდს, ყველაზე ძვირფასს, შვილის სიცოცხლეს.

მოსაცდელ ოთახში ერთი ქალი ტიროდა. მეორე გვერდზე მჯდომ კაცს იყო ჩაბღაუჭებული და გაფითრებული ნაცრისფერ კორიდორს გაჰყურებდა. მოშორებით ბიჭი იჯდა ხელებში თავჩარგული, ოდნავ ირწეოდა. არ ვიცი, ვის ელოდნენ, ვის დარდობდნენ და ვის გამო შეეძლოთ სიცოცხლის დაუფიქრებლად გაღება... როგორც მე.

იმ წუთას ისეთი ადვილი იყო სიკვდილი, ისეთი გაუფასურებული... უფრო დიდ მსხვერპლზე დავიწყე ფიქრი.

„...რას გავიღებ? ყველაფერს... მაგრამ მაინც რას? რა ყველაფერს?“ — ვეკითხებოდი საკუთარ თავს და პასუხის ძიებაში თვალებს უაზროდ ვაცეცებდი.

ტელეფონმა დამირეკა. ივას სამსახურის ფული აუღია და დაკარგულა. მეკითხებოდნენ, ბოლოს როდის ვნახე. „არ ვიცი, ანდროა რეანიმაციაში,“ — ვთქვი და გავთიშე. ჩემს გონებაში უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა. ფიქრი შეწყდა. ერთი წინადადება, ერთი სიტყვაც აღარ მომდიოდა თავში. სიცარიელე ვიგრძენი, უიმედობა. შემეშინდა. იმაზე მეტად შემეშინდა, ვიდრე წეღან რეანიმაციის კართან. ფეხზე წამოვხტი. ხატებთან მივედი და ვთქვი:

— აღარ ვიქურდებ!

არ ვიცი, იქნებ უცაბედი წამოდგომისგან, გული კინაღამ ამომივარდა. თავბრუ დამეხვა, კედელს მივეყრდენი. ჩემს გონებაში სიჩუმე დაირღვა: „ოღონდ არ წამართვა და... აღარაფერს მოვიპარავ!“ თავისთავად გაჩნდნენ სიტყვები: „არავის სიხარულს... არავის სიცოცხლეს... არავის სიმართლეს...“ — გაჩნდნენ წინადადებები:

„აღარ ავიღებ, რაც არ მეკუთვნის... აღარ ავიღებ ჩემს თავზე ამდენს... არ დავუწერ ადამიანებს ცხოვრებას, არ გადავუკეთებ ბედს, იღბალს, გენეტიკას...“ — უხმო ფრაზები ცრემლებად მდიოდა, გამწყდარი მძივივით ცვიოდა ჰაერში.

„აღარ შევხვდები სხვის ქმარს, თუნდაც ის ჩემი შვილის მამა აღმოჩნდეს...

აღარ ვეტყვი ანდროს, რომ საქმე მაქვს და უჩემოდ დაიძინოს ღამის პაემანზე გაპარული ან რეპეტიციის მერე გაბუღულ ბარში გვიანობამდე შერჩენილი... არც მისთვის შეპირებული კარვის ფულს ვაჩუქებ ჩემზე უმცროს საყვარელს, რომელსაც უარს ვერაფერზე ვეუბნები...

გეგა თუ ოდესმე კიდევ მკითხავს, აღარ მოვატყუებ, რომ ცეკვას მხოლოდ ვარჯიშის მიზნით ვაგრძელებ... მე ყურადღებას ვერ ველევი, თუნდაც სარდაფში ან ცეკვის კლუბში დაკრულ ტაშს...“

არ მახსოვს, ასე რამდენ ხანს ვიდექი. ვიდექი და ვუსმენდი საკუთარ თავს...

„მე აღარ ვეტყვი დედას, რომ არ მცალია, როცა თავისი ერთფეროვანი სიზმრების მოყოლას ისევ დაიწყებს...

ანდრო... გეგა... დედა... ვნანობ და ვინანებ ყოველ წუთს, რომელიც მათ დავკელი...

ვერ შევიყვარე გეგა ბოლომდე, ვერ შევიყვარე ისეთი, როგორიც არის, თავის სიჩუმით, სიფიცხით, სიამაყით და სადღაც ძალიან ღრმად ჩაბუდებული, ჩასაფრებული სიმუნჯით...“

ექთანმა ხელით მომატრიალა, ლამის შემაჯანჯღარა, რეზუს უარყოფითის დონორი გამოჩნდაო.

გეგას ტელევიზიაში და ინტერნეტში გაუვრცელებია სასწრაფო განცხადება და ახალგაზრდა ბიჭს დაურეკავს, რამდენს გადამიხდითო...

რეალური არსებები

თეონა დოლენჯაშვილი

დასასრული

ნობი თვალი და ფეხებს შორის შარდად გამოჟონილი სუნთქვაშეკრული მღელვარება... თანაკლასელთა ხარხარი, დედის მწარეზე მწარე ხელის წამორტყმა ქეჩოში, ტუალეტში შეკეტვა და სველი, ფეხებზე მიწებებული შარვალი... ოჰ, ეს მოგონებები. ეს აუტანელი Npas4.

3.
რინგი

სუფრას ალაგებს. დასარეცხ ჭურჭელს მანქანაში აწყობს, საჭმელს — მაცივარში. ტელევიზორში ამინდის პროგნოზს აცხადებენ. „სექტემბერი ისეთივე ცხელი იქნება, როგორც აგვისტო“, — ამბობს რომელიღაც თავდაჯერებული სინოპტიკოსი და ეკრანზე ლურჯ-წითლად დახატული გაუგებარი სქემა — ცივი და თბილი მუსონები მოძრაობენ. ლანა კონდიციონერს რთავს და ფანჯრებს აღებს. ოთახში საღამოს სასიამოვნო ნიავი იჭრება. ფოთლების შრიალს ვიღაცის მიერ ფორტეპიანოზე ბავშვურად დაკაკუნებული მელოდია უერთდება. აივანზე გადის და ეზოში იყურება. მიკას მანქანა ჯერ ისევ არ ჩანს. სტუმრები წაიყვანა, სახლებში დაარიგებს და მერე სასურსათო მაღაზიაშიც გამოივლის. ახლაღა გაახსენდა, რომ მინერალური წყალი აღარაა. ტელეფონზე ურეკავს, მაგრამ მიკა არ პასუხობს. ან როგორ უპასუხებს, საჭესთან იქნება... სამზარეულოში გადის და მანქანიდან ახლადდარეცხილი ცხელ-ცხელი თეფშები ამოაქვს. ყველაფერს კრიალი გაუდის. ლანა კმაყოფილია. მოსწონს ეს სიმშვიდე, ეს ოჯახური იდილია. ამ მხიარული სტუმრიანობის, გართობისა და სიცილ-კისკისის მერე. ყველაფერი იდეალურადაა. ბრწყინვალედ! ყველაზე მდიდრული სახლი აქვს, ყველაზე ლამაზი ქალიშვილი ჰყავს და ყველაზე მზრუნველი ქმარი. ლანა ბედნიერია. იმდენად ბედნიერი, რომ უნდა, ეს ახლადდარეცხილი ფაიფურის თეფშები კედელს მიალეწოს. სათითაოდ მიაფშვნას. უნდა, ეს სარკეები, უზარმაზარი ჭაღი, ოვალური შუშის მაგიდა — ყველაფერი ნამსხვრევებად აქციოს. მერე ასანთი აანთოს და ყველაფერი გადაწვას. გადაბუგოს!!! ფარდებს მოუკიდებს ცეცხლს და სხვა დანარჩენი თავისთავად აბრიალდება. სულ ახალი ფარდებია. ღია ოქროსფერი ორგანზა. აგარაკიდან დაბრუნების მერე შეიძინა. ორგანზას ცეცხლი ალბათ იოლად ეკიდება და ლამაზადაც იწვის.

ლანა ასანთის კოლოფს ეძებს. ღერს გაჰკრავს, ცეცხლის პატარა მოთამაშე ალს უყურებს... მერე იქვე დაგდებულ სიგარეტს უკიდებს და ღრმად სუნთქავს. ეჩვენება, რომ ბოლს ყურებიდანაც კი უშვებს. სარკეში საკუთარ ორეულს ხედავს. რა მშვენიერია! ეს გამხდარი, თვალებჩამქრალი არსება თავადაა — ეს ხმელი, თხელტუჩა, შუახანს გადაცილებული ქალი აკანკალებულ თითებში გაჩრილი სიგარეტის ღერითა და მრისხანების ღრმა ნაოჭით შუბლზე.

შემოსასვლელსა და მისაღებ ოთახში სინათლეს აქრობს. კაბას იხდის. ლიფს იხსნის და კარადის უჯრაში აგდებს. ცდილობს, გვარიანად მოშვებულ მკერდს და საძინებლის მაღალ სარკეში არეკლილ საკუთარ შიშველ ორეულს აარიდოს თვალი. საღამურს იცვამს და წვება. ცოტა მეტი უნდა დაელია. უფრო იოლად დაიძინებდა. ახლა კი მისი გონება მოგზაურობას იწყებს. ქმრის მანქანაში უხილავ მგზავრად ჯდება და ყველაფერს უყურებს. ხედავს, თუ რატომ დააგვიანა მიკამ მთელი საათით. მაშინ, როდესაც ყველა სტუმარი ახლომახლო, ერთ უბანში ცხოვრობს. ირა თავისი მანქანით იყო. ბაიას მოაკითხეს. ალბათ ჯერ ელა დატოვა, მერე — ნატა. ისე, თითქოს, იქამდე ქეთას სახლი არ ყოფილიყო. ბოლოს ქეთა და თავადაც იქ დარჩა... გამოდის რომ ისევ უდგება იმ სილიკონების გროვაზე. ნეტა სახლში ადიან? თუ იქვე ჟიმავს მანქანაში? მანქანაში. ჰაჰაჰაა. ეს საცოდავი. ვითომ უსახლკარო ვნებიანი სტუდენტია. ბებერი სირი! დარწმუნებულია, რომ აქაც ბევრჯერ ეყოლება მიქინძული. აქ — მის საწოლში. ლანას ლამის გული აერიოს. ყველგან ქეთაა. ყველგან! მის მანქანაში, მის სახლში, მის საწოლში. ყველა კუთხე-კუნჭული მარტის ამძუვნებული კატასავით აქვს მონიშნული.

ხელს ტუმბოს უჯრაში აფათურებს, სადაც წამლები ყრია. დამამშვიდებლები. სედატიურები. ვალიუმის ერთ აბს სვამს. მეორეს ენის ქვეშ იდებს და თვალებს ხუჭავს. იმედია, ძილი იქამდე მოვა, ვიდრე მიკა.

და ლანა კვლავ სიზმარში ცხადს და ცხადში სიზმარს იმეორებს.

* * *

მანქანაში ახლა მარტო მირიანი და ქეთა სხედან. ცხადია, უხილავი ლანა სათვალავში არაა. მიკა უხმოდ ატრიალებს საჭეს. ქეთაც ერთობ იდუმლად დუმს. მიკა მანქანას ქეთას სახლის ეზოში აჩერებს. ძრავას რთავს...

— არ ამოხვალ? მარტო ვარ.

— სად არის?

— რა მნიშვნელობა აქვს. სახლშიც რომ იყოს, მაინც მკვდარივით გალეშილი ეგდება.

მიკას სინდისი ქენჯნის. კაცური სოლიდარობის, სიბრალულის თუ რაღაც თანაგრძნობისმაგვარი განცდა უჩნდება ქეთას ქმრისადმი. შეიძლება, გაუგებარია, მაგრამ ქეთასთან წოლას ახლა თენგოსთან სმა ურჩევნია. ნამდვილად ურჩევნია.

— გვიანია. ის სახლში წამებსაც მითვლის. ხომ იცი.

ასეთ დროს მიკა ლანას სახელს არასდროს ახენებს. უხსენებელივითაა. ან თითქოს სახელის ხსენებით თანამეცხედრეს სულის გამოძახების ეშინია. რას გაიგებ...

— დაგვიანების მიზეზების მოფიქრებას რა უნდა. ამოო რაა... — მართლა კატასავით კრუტუნებს ქეთა და თითებს მაისურის ქვეშ უცურებს. პატარა სრიალა გველებივით. ბრრ. მიკა უსიამოდ იშმუშნება.

— გეყოფა.

ქეთა არ ჩერდება. ხელს ახლა ქვემოთ აცურებს. ცდილობს, თითებით შარვალში ჩაუძვრეს. არა, ასე არ გამოდის. ქამარზე ეჭიდება. უხსნის.

— რას შვები? გადაირიე? შუა ქუჩაში ვართ!

— აბა, არ ამოდიხარ და... — უკვე სადღაც მიკას მუცელთან ბურტყუნებს ქეთა და შარვლიდან გამონთავისუფლებულ მამაკაცურ ღირსებას კაბიდან ამოყრილ ძუძუებს შორის იქცევს.

– გაჩერდი. ხალხია...

– ხალხია... თორეე... – ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ჭაში ჩავარდნილივით ყრუდ ისმის ქეთას ხმა.

მიკას ეჩვენება, რომ ქეთას თავთან ერთად მანქანაც ირწევა. მიკას „ჭიდან“ მხოლოდ თეთრად მანათობელი და რძიანი ფაფასავით აფუებული მკერდი ჩანს.

— მმ... რას აკეთებ?..

ქეთას, რაღა თქმა უნდა, საპასუხოდ აღარ ცალია. მეტისმეტად დაკავებულია.

* * *

ქეთა ყოველთვის დაკავებულია. სამსახური, სახლი, ფიტნეს-ცენტრი, სილამაზის სალონები, გოგოები, კაფეები, საქმეები... და ბებე. ქალიშვილი, რომელიც ისევ ხუთი წლისაა. და რომელიც ტბის ფსკერიდან უყურებს. მღვრიე წყლის გამო ქეთას ვერ გაურკვევია, რა ჩანს ბებეს მზერაში — წყენა, სინანული, იმედგაცრუება თუ მადლიერება. მადლიერება იმის გამო, რომ იქ დატოვეს.

ყველაფერი ასე იყო. ზუსტად ასე! და არ არსებობს ცასა და მიწაზე სულიერი, ვინც ქეთას ამ ფაქტების უტყუარობაში ეჭვს შეატანინებს. მართალია, დროთა განმავლობაში ტრაგედია ახალი დეტალებით ივსება, ხოლო ქეთას ტკივილები თანდათან ყუჩდება, მაგრამ თავიდან, როდესაც ქუჩაში მოულოდნელად შვილის კბილა პატარას გადააწყდებოდა, ან რომელიმე კარადაში შემთხვევით შეჩურთულ ბავშვის სათამაშოს იპოვიდა, ქეთას ტკივილი და ბრაზი ახრჩობდა. გამწარებით ითხოვდა დაკარგულის დაბრუნებას. პირველ რიგში, მთავარი დამნაშავე კაცებისგან, მაგრამ ისე მოხდა, რომ წლები გავიდა და ვერც მიკამ და ვერც თენგომ მისი განაყოფიერება ვერ მოახერხეს და, შესაბამისად, ქეთამ ვერ შეძლო ახალი ბებე ეშვა.

ახალი ბავშვი, ახალი ქმარი, ახალი სახლი ქეთას არ ერგო. ყველაფერი ისევ ლანას დარჩა. დარჩა ნია, რომელიც ბებესგან განბავშვობაში. ტბაში, რომლის ნაპირზე თამაში ასე ძალიან მოწონდა. ამ უკანასკნელზე ფიქრი ქეთამ ბოლო დროს დაიწყო, როგორც ჟანგბადზე, მახრჩობელა წყლით ამოვსებულ სივრცეში ამოსუნთქვის საშუალებას რომ აძლევს.

„ჩემი უმანკო გოგოს სული ცაშია,“ — ასე ამბობს ქეთა და სევდიან თვალებს ცას მიაპყრობს, მაგრამ ასე არ არის. ბებე ტბის ფსკერზე ზის და ფერად კენჭებს ეძებს, რომლებიც წყალში ყოველთვის უფრო ლამაზი ჩანს, ვიდრე — ნაპირზე. ბებე კენჭებს ამჯერად დედისთვის აგროვებს, რადგან მას ახლა ყველაზე მეტად სჭირდება ეს ქვები. კენჭები, რომელთაც ქეთა სხვის ბოსტანში ისვრის. ასეა. ქეთამ ხომ მაშინვე იპოვა შვილის სიკვდილში დამნაშავენი. პირველი — მირიანი! საუკეთესო მეგობრის, ლანას ქმარი, რომელმაც ძალიან თხოვა და ქეთაც სულ ოციოდე წუთით იქვე, ახლომახლო, რაღაც საყიდლებზე გაჰყვა. არა, განა ბავშვი უყურადღებოდ დატოვა. ბავშვი დააძინა და სასტუმროს ნომერიც საგულდაგულოდ ჩაკეტა. აბა, ტბის ნაპირზე მარტოდმარტო როგორღა მოხვდა? რა თქმა უნდა, მისი ლოთი ქმრის წყალობით, რომელსაც ოთახში ბავშვთან ერთად ეძინა. ხოლო მერე ნაბახუსევზე თავგასიებულმა რომ გაიღვიძა, უაზრო და გათიშული დასალევად წავიდა და ოთახის კარიც ღია დატოვა.

ყველაფერი ასე იყო. ზუსტად ასე! და არ არსებობს ცასა და მიწაზე სულიერი, ვინც ქეთას ამ ფაქტების უტყუარობაში ეჭვს შეატანინებს. მართალია, დროთა განმავლობაში ტრაგედია ახალი დეტალებით ივსება, ხოლო ქეთას ტკივილები თანდათან ყუჩდება, მაგრამ თავიდან, როდესაც ქუჩაში მოულოდნელად შვილის კბილა პატარას გადააწყდებოდა, ან რომელიმე კარადაში შემთხვევით შეჩურთულ ბავშვის სათამაშოს იპოვიდა, ქეთას ტკივილი და ბრაზი ახრჩობდა. გამწარებით ითხოვდა დაკარგულის დაბრუნებას. პირველ რიგში, მთავარი დამნაშავე კაცებისგან, მაგრამ ისე მოხდა, რომ წლები გავიდა და ვერც მიკამ და ვერც თენგომ მისი განაყოფიერება ვერ მოახერხეს და, შესაბამისად, ქეთამ ვერ შეძლო ახალი ბებე ეშვა.

ახალი ბავშვი, ახალი ქმარი, ახალი სახლი ქეთას არ ერგო. ყველაფერი ისევ ლანას დარჩა. დარჩა ნია, რომელიც ბებესგან განსხვავებით არ მომკვდარა და გაიზარდა. ქმარი, რომელიც მართალია, ღალატობს, მაგრამ ყოველ ღამით მაინც ლანას გვერდით წევს. სახლი, სადაც ლანა სტუმრებს, მათ შორის ქეთასაც, იწვევს... უკვე მერამდენე რაუნდია, ქეთა აგებს. აგებს მწარედ. მტკივნეულად. მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელდება. წარსულის ტკივილებს მომავლის სიხარული გადაფარავს. ქეთა მთავარი ბრძოლისთვის ემზადება. ვიდრე ჯერ კიდევ აქვს დრო, ისევ ყვავილობს მისი სხეული.

სწორედ ამიტომ ბებე ცაში ვერ მიდის, ტბის ფსკერზე ზის და დედას უყურებს. მისთვის არა მხოლოდ კენჭებს აგროვებს, გაჩერობანასაც თამაშობს. ბებეს ახლა შეუძლია დრო არა მხოლოდ წუთებით, თვეობითა და წლობით შეაჩეროს. და ამ გაჩერებული დროის წყალობით დედას ყოველთვის შეეძლება იმის თქმა, რომ ხუთი წლის შვილი ჰყავს. და ასე, დედაც თვეობით, წლობით, მარადიულად ახალგაზრდა დარჩება.

და რას გვასწავლის სიკვდილი? არაფერს. გარდა იმისა, რომ საკუთარი დროის ხანმოკლეობასა და სწრაფმავლობაზე გვაფიქროს. ქეთა გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადება. ვიდრე მისი გონგისთვის შემოუკრავთ, ვიდრე ლანასგან განსხვავებით სილამაზე და თავისუფლება აქვს, ვიდრე ბებეს წყალობით დროის გაჩერება შეუძლია.

„ლიტერატურული გაზეთის“ ანკეტა

1. რას ნიშნავს თქვენთვის მაჩაბლის 13?

2. როგორ წარმოგიდგენიათ მწერალთა სახლის მომავალი?

ბექა ქურხული

1. მაჩაბლის 13 ბავშვობიდან მახსოვს. დედაჩემს დავყავდი პატარაობისას ხელჩაკიდებული. აქეთ კედელზე ვეფხვის ფიტული იყო, იქით — ლომის. ვეფხვიც და ლომიც მხოლოდ წინა მხრიდან ჩანდნენ. წინა თათები, მკერდი, მხრები და თავი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს კედლებიდან გადმოდიოდნენ. მე ვეფხვი უფრო მომწონდა, უფრო ვძმაკაცობდით.

ვეფხვთან და ლომთან ერთად რატომღაც დამამახსოვრდა, როგორ უნდა აერჩიათ ჩემი საყვარელი მწერალი და მეზობელი რეზო ინანიშვილი მწერალთა კავშირის მდივნად და როგორ აპროტესტებდა ამ არჩევანს თავად ბატონი რეზო: „არ მინდა, კაცო, რა მინდა მე მდივნადო“. თან გაბრწყინებულ თვალებზე ეტყობოდა, რომ შემოთავაზება და ყურადღება სიამოვნებდა, მაგრამ კიდევ უფრო სიამოვნებდა, მწერალთა კავშირის მდივნობაზე უარს რომ ამბობდა. ახლაც არ ვიცი, რა არის ან რა იყო ეს მწერალთა კავშირის მდივნობა. ოტია იოსელიანის იმერული გაცხარებაც მახსოვს გვიშტიბში, 1999 წლის დეკემბრის ბნელ ღამეს: „რაის მწერალთა კავშირი? აფერი არ მინდოდა მაგნების მე არასოდეს. ვინც მიყვარდა, იმათ ქე ვნახულობდი და მეტი ფეხს არ ვადგამდი შიგ. მწერალთა კავშირი არა იგი, გადააშენე... აფერი მწერალთა კავშირი არ სჭირდება წერას. ტყუილია!“

მაჩაბლის 13-ში მიიტანა პაოლო იაშვილმა ორლულიანი თოფი, მეორე სართულზე გამოუშალა ჩახმახი და აიხადა თავის ქალა. არსებობს ლეგენდა, რომ პარკეტს ძალიან დიდხანს ვერ ამოარიდეს უზარმაზარი სისხლის ლაქა, ისევე, როგორც საფრანგეთში, ბლუას სასახლეში, ვერ ამოშალეს 1589 წელს ჰენრიხ III ვალუას ბრძანებით, ღალატით მოკლული ლოთარინგიელი ჰერცოგის ჰენრიხ დე გიზის სისხლი. ჰო, ეგეთი რამეები არ იშლება, ისევე, როგორც არ გამქრალა პაოლო იაშვილის თვითმკვლელობით თავზარდაცემული მიხეილ ჯავახიშვილის მიერ, იქვე, იმ დერეფანში რამდენჯერმე ლოცვასავით გამეორებული: „ვაჟკაცი ყოფილა, ვაჟკაცი ყოფილა, ვაჟკაცი ყოფილა...“ და ფრაზა: „ეს შენი ბოლო ხულიგნობაა, პაოლო...“

კარგი. ეს შენობა, მაჩაბლის 13, მთელი ისტორიაა და ისტორია, ყველგან და ყოველთვის, განსაკუთრებით კი ჩვენში, სამწუხაროდ, ბევრი სისხლის, ბევრი ტრაგედიის მომსწრე და მოწმეა. თუმცა მაჩაბლის 13-ზე, ყველაზე ხშირად, რატომღაც, ილია ჭავჭავაძისა და ამ სახლის ძველი და ნამდვილი პატრონის, ცნობილი მეწარმისა და მეცენატის დავით სარაჯიშვილის გემრიელი და სასაცილო დავიდარაბა წარმომიდგება ხოლმე. დავით სარაჯიშვილი სულ იმას ჩხუბობდა -— „ქართველებზე უმაქნისი, უქნარა და წელმოწყვეტილი ხალხი არ არსებობს, არავის ხელის განძრევა არ უნდა, არაფრის გამკეთებლები არ არიან და ყველაფერი მუქთაზედ და მზამზარეულად უნდა მიართვა, როდემდე ვარჩენ ეს ერთი კაცი ამოტოლა ქვეყანასო“. ილია ჭავჭავაძე ამაზე ძალიან ბრაზდებოდა და ბოლოს ერთი კარგად განრისხდებოდა ხოლმე: „რა არის, რომ ამ სახლში ქართველების ღანძღვა-გინებისა და ქართველობის აუგის მეტს კაცი ვერას გაიგებს. მორჩა, დღეის ამას იქით ჩემი ფეხი აღარ დაიდგმება აქაო!“ დაიმხობდა იმ მოზრდილ თავზე ცილინდრის ქუდს, ჭურვივით გამოვარდებოდა ამ ჩვენი მაჩაბლის 13-დან, შეხტებოდა ეტლის საფეხურზე, სიმძიმით კარგადაც გადასძალავდა თავისკენ, აღშფოთებული ჩაემხობოდა „სიდენიაზედ“ და მთვლემარე მეეტლესაც ტროსტს ატაკებდა ბეჭებში — „ჰა, გარეკე ახლავ გარეკე, დროზე გამაშორე აქაურობასა!“ ისე ალალად გაბრაზდებოდა და გადაეფარებოდა ხოლმე დალოცვილი ამ თავის „ქართველობას,“ თითქოს „ბედნიერი ერი“, „კაცია-ადამიანი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“ და „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“ მისი დაწერილი არ ყოფილიყო და მთელი ცხოვრება, მოღვაწეობის დაწყების დღიდან ბოლომდე, ამ თავის „ქართველობას“ გამწარებული თვითონვე არ აგინებდა სულ თავანკარა კახურით პატრონ დედას.

თვითონ კი აგინებდა, მაგრამ სხვისგან ვეღარ იტანდა სალანძღავ სიტყვას, თუნდაც სამართლიანად ნათქვამს და თუნდაც დავით სარაჯიშვილისგან. აეგრეა, დიდი ადამიანებიც ხანდახან მხოლოდ ადამიანები არიან და მე რომ მკითხო, მთელი ხიბლიც ეგ არის.

ეს ამბავიც მაჩაბლის 13-ში ხდებოდა და რატომღაც ამ სახლზე ყველაზე ხშირად სწორედ ილია ჭავჭავაძის და დავით სარაჯიშვილის შეხლა-შემოხლა მახსენდება და კეთილად მეღიმება — „ჩემი ფეხი აღარ დაიდგმება აქაო...“ უკურთხავდა, მგონი, გემრიელად, სოლოლაკიდან ვარანცოვამდე.

პირადად ჩემთვის, მაჩაბლის 13 რა არის და, სოლოლაკში რომ გადავდიოდით საქმეზე, ან ქვემოთ კლორთაღში და მეიდანზე ახლობლებთან, მაჩაბელზე რომ მოვხვდებოდით და გავივლიდით მანქანაში ჩაპრესილები, იმ სიბნელეში ცერად ვუყურებდი და ზუსტად ვეღარც ვარჩევდი კონკრეტულად რომელი შენობა იყო, სადაც დედაჩემს ხელჩაკიდებული დავყავდი და სადაც ვეფხვი და ლომი ცხოვრობდნენ, რომ სადღაც, გულის კუნჭულში, წამით მაინც გაჩენილიყო ბავშვობისდროინდელი სითბო, რომ იქვე გამქრალიყო და მივიწყებულიყო, ვიდრე მარცხნივ თათრის მოედნისკენ ჩავუხვევდით.

რავი, სულ რაღაც საქმეები გვქონდა ვითომ... მაჩაბლის 13 კი ჩაბნელებული და გამქრალი იყო. აღარ არსებობდა. ახლა რაღა დარჩა იმ საქმეებიდან? მაჩაბლის 13 კი ისევ გამოჩნდა, განათდა და დგას!

კარგია, იდგეს!

ის ვეფხვი და ლომი კი წასულან სადღაც...

2. არ ვიცი. მართლა. საერთოდ, ნებისმიერი მწერალთა გაერთიანებისაგან ძალიან შორსა ვარ. პირადად მე (უკაცრავად, საკუთარ თავზე რომ ვსაუბრობ) ნამდვილად არანაირი გაერთიანება, კავშირი ან კლუბი არ მჭირდება იმისათვის, რომ ვწერო ან არ ვწერო და საკუთარი თავის მწერალთა კავშირიც, პენ კლუბიც, კულტურის სამინისტროც და პაპა რიმსკიც თავადვე ვარ, მაგრამ ეს უბრალოდ ჩემი პირადი დამოკიდებულებაა და მეტი არაფერი. შეიძლება, ვცდები კიდევაც, შეიძლება არც ვცდები... ვნახოთ!

ერთ რამეში კი მაინც ღრმად გახლავართ დარწმუნებული — რომ მაჩაბლის 13-ში და მწერალთა სახლში არავის თავისი პერსონალური კაბინეტი, სეიფი, მაგიდა — არც უჯრებიანი და არც უუჯრებო, კარადა და, ბოდიში და, კბილის ჯაგრისი არ უნდა ჰქონდეს (როდესაც ანა ახმატოვას ევგენი ევტუშენკო პირველად წარუდგინეს, საწყალი ევტუშენკო ამ შეხვედრისთვის საგანგებოდ გამოეწყო სმოკინგში და შთაბეჭდილების მოსახდენად პიჯაკის გარე ჯიბეში ოქროს კალმისტარიც ჩაიკვეხა. ანა ახმატოვამ შეხედა, წყნარად, მომხიბლავად გაუღიმა და ჰკითხა — „პარდონ, ა გდე ვაშა ზუბნაია შჩოტკა?”)! ვფიქრობ, ევტუშენკოების, ოქროს კალმისტრებისა და ყველა არსებული მიწიერი თუ ზეციერი მთავრობების შპიონების ამბები ერთხელ და სამუდამოდ უნდა მორჩეს. როდისმე მაინც!

მწერალთა სახლი უნდა ეკუთვნოდეს მწერლებს — ყველას ერთად და არავის კონკრეტულად! ნებისმიერი პრეტენზია მწერალთა სახლის რაიმე ქონებაზე, მემკვიდრეობაზე, კაბინეტზე თუ ინვენტარზე არა მარტო უზნეობაა, არამედ უარესიც — სასაცილოა!

ბოლოს კი, თქვენის ნებართვით, მწერალთა სახლს და მის დიასახლისებს, ნატაშა ღომოურს, ღელა შუბითიძეს, ქეთი ჩიქოვანსა და სხვებს ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს და ამ ძალიან დიდი, დიდი ისტორიის მქონე სახლის ღირსეულად პატრონობას!

გამოთხოვება

ისე, როგორც თორღვა ძაგანი

მამუკა წიკლაურის ხსოვნას



ის იყო პოეტი, დაბადებული სიტყვის სამსახურისთვის და მან ღირსეულად აღასრულა თავისი ვალი ლიტერატურის, ქვეყნისა და სინდისის წინაშე.

მამუკა წიკლაური — გამორჩეული სახელი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, შემოქმედი და მოღვაწე, პიროვნება და მოქალაქე, რომელმაც თავისი ცხოვრებით გვიჩვენა მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ადამიანმა დაიცვას პრინციპები ისე, რომ არ გაიბზაროს, არ გატყდეს და არ დაგაეჭვოს ერთგულების გასაოცარ ძალაში.

მან თავისი ქვეყნის ბედით იცხოვრა. ჩუმად, მდუმარედ, სრულიად უხმაუროდ შეალია სიცოცხლე თავის მრწამსს, მცნებას, იდეას.

თავდაუზოგავი იყო ცხოვრებაშიც, ლიტერატურაშიც.

მამუკა წიკლაური თავისი თაობის ერთ-ერთი ლიდერი იყო, მაგრამ არასოდეს უცდია ამის აფიშირება, რადგან იცოდა, ხედავდა, გრძნობდა.

თვალშისაცემი იყო მისი ტალანტი: დახვეწილი გემოვნება, აზროვნების მაღალი კულტურა და მოვლენათა ანალიზის არაჩვეულებრივი უნარი. რასაც უნდა შეხებოდა მისი კალამი, იცოდა, რომ იქ იყო ქმნადობის მიზეზ-შედეგობრივი წესრიგი და ურღვევი ჰარმონია.

მამუკა წიკლაური არ წერდა შემთხვევით ან შემთხვევით თემებზე. ელოდა შთაგონებას, როგორც შემოქმედების ეთიკურ ბაზისს. მიაჩნდა, რომ შთაგონების გარეშე წერა უზნეო ახირებაა, რომელსაც საერთო არაფერი აქვს შემოქმედებასთან.

ჰქონდა ხანგრძლივი პერიოდები, როდესაც სტრიქონსაც არ წერდა. თითქოს შეგნებულად გაურბისო პოეტურ მუზას, მაგრამ უეცარი აფეთქება იცოდა. ასე იყო სამოცდაათიან წლებში, ასე იყო ოთხმოციანებშიც, ასე იყო აგერ, ახლახან, როდესაც „ლიტერატურულ გაზეთსა“ და „ჩვენს მწერლობაში“ რეგულარულად დაიწყო გამოქვეყნება ერთმანეთზე უკეთესი ლექსებისა და ესეისტური ჩანაწერებისა. გეგონებოდა, სიცოცხლეს ახლიდან იწყებსო. თურმე ეს გედის სიმღერა იყო, რაღაცნაირი გამონათება, გამოსალმების შუქი. სანთელმაც ხომ ასე იცის, სანამ ბოლომდე ჩაიწვებოდეს, წამით დიდ, ღვთაებრივ ნათელს გამოსცემს.

მამუკა წიკლაურის პოეტური აზროვნება მთის ამაღლებული და იდუმალი სამყაროდან იღებს სათავეს და ამიტომაც არის მის ლექსებში ესოდენ დიდი, მძაფრი და რთული განცდები.

„მე და არაგვი ბურსაჭირის მთებში ვიწყებით“, — წერდა ერთ ლექსში და ამით თითქოს საკუთარ სულს მიეზიდებოდა დაკარგული სამოთხისკენ, სადაც იშვა მისი პოეტური მუზა და სიცოცხლის სიყვარულის სევდიანი საგალობლები.

ფიქრსა თუ ოცნებაში, სიზმარსა თუ ცხადში იქ იყო, მთაში, თავის საარაგვოზე, იქ ტრიალებდა მიტოვებულ, დანგრეულ სახლთან, თავის სიყვარულთან და ტკივილთან.

ტკივილი იყო მისი შემოქმედების მთავარი გმირი.

ტკივილისგან გამოძერწა თორღვა ძაგანიც, რეალურ-მითოლოგიური გმირი, რომელიც სიკვდილის შემდეგაც ცოცხალია, „იქაც“ ფიქრობს და იბრძვის:

დრო მიდის,
მიდის, მიდის და მიდის —
ირწევა ჩვენი რკინის აკვანი
და მარადიულ ბრძოლაში იბრძვის
მარადიული თორღვა ძაგანი.

ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რისთვის დააბრუნა ლიტერატურაში ხევსურული პოეზიის ეს პოპულარული პერსონაჟი, რომელსაც მარცხენა ბეჭზე მზე აქვს გამოსახული, მარჯვენაზე — მთვარე, ბეჭებს შორის კი — ჯვარი. ვაჟასეული კაი ყმის იდეალს აცოცხლებდა ჩვენი საზოგადოების შეგნებაში. ამ რომანტიკული წადილის ერთგული დამცველი იყო ბოლომდე და, სხვათა შორის, ვინც მამუკას კარგად იცნობდა, მას არ შეიძლებოდა არ შეემჩნია, თუ როგორ ერთგულებდა ის მთვარის, მზისა და ჯვრის საკულტო ტრადიციას.

ისე, როგორც მამა-პაპანი.

ისე, როგორც თორღვა ძაგანი. მარადიული თორღვა ძაგანი.

ზაალ სამადაშვილი, როსტომ ჩხეიძე, ანდრო გედუკაძე, უჩა შერაზადიშვილი, ვანო ამირხანაშვილი

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com